სტრატეგიული განვითარების სამოქმედო

გეგმის მონიტორინგისა და შეფასების

ა ნ გ ა რ ი შ ი

საანგარიშო პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი
ანგარიშის შედგენის თარიღი	2022 წლის 30 აგვისტო

აქტივობა 1.1.1	**საერთაშორისო აკრედიტაციის მისაღებად შესაბამისი ორგანიზაციის შერჩევა და პროცედურის ორგანიზება**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ. მონიტორინგის ჯგუფმა საკვლევი საკითხის შესასწავლად და შესაფასებლად გამოიყენა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდი: სტრუქტურირებული ინტერვიუ. დახურული კითხვარის მეშვეობით ონლაინგამოიკითხა სამიზნე პოპულაცია / საერთაშორისო ინტეგრაციის ცენტრისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პასუხისმგებელი პირები, დეკანები (10).
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	მიმდინარეობს პარტნიორების მოძიების პროცესი. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის აღნიშნული პუნქტი არ შესრულდა.**

აქტივობა 1.1.2	**პროგრამებისა და მათი განხორციელების ხარისხის შეფასება და უკუკავშირის უზრუნველყოფა**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ

კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ, დოკუმენტების ანალიზი. მონიტორინგის ჯგუფმა საკვლევი საკითხის შესასწავლად და შესაფასებლად გამოიყენა ონლაინგამოკითხვის მეთოდი (სტრუქტურირებული ინტერვიუ), გამოიკითხა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სკოლების სწავლების ხარისხზე პასუხისმგებელი პირები, დეკანები (51). გაანალიზდა შეფასების ფორმები.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	კვლევებით დადგენილია, რომ საანგარიშო პერიოდში, მომზადდა და აკრედიტაცია მიენიჭა ტურიზმისა და საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო პროგრამებს. განხორციელდა აკადემიური პროგრამების შიდა და გარე შეფასება. ხარისხის გარე შეფასების მიზნით, ზემოაღნიშნული პროგრამები შეაფასეს შესაბამისი დარგის ექსპერტებმა/დოქტორებმა, რომელთა მიერ გამოთქმული რეკომენდაციები პროგრამის შემმუშავებელმა ჯგუფებმა გამოიყენეს პროგრამის გასაუმჯობესებლად. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის/აკრედიტაციის საბჭოს მიერ გამოთქმული რეკომენდაციები/შენიშვნები უმეტესწილად გაიზიარა უნივერსიტეტმა და მოახდინა მათი იმპლემენტაცია შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებში. ხარისხის შიდა შეფასების განსახორციელებლად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად იყენებს უნივერსიტეტის როგორც ადამიანურ, ისე, საინფორმაციო და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ პროგრამის (ნექსუსი) მეშვეობით მიიღო და გაანალიზა აკადემიური პროგრესის შესახებ საჭირო ინფორმაცია, დაადგინა სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის კომუნიკაციის ხარისხი (ელექტრონული პროგრამის ფარგლებში); სხვადასხვა ფორმატის (მათ შორის, ელექტრონული) კითხვარებით, რეგლამენტით დადგენილ ვადებში, გამოიკვლია კურსდამთავრებულთა, სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილების ხარისხი. პროგრამების განხორციელების ხარისხის შეფასების და კვლევების შედეგად, ვლინდება დადებითი ტენდენციები, რომელთაგან აღსანიშნავია სტუდენტთა პოზიტიური შეფასებები უნივერსიტეტში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების დასაქმების/მოწვევის შესახებ, ადმინისტრაციული პერსონალის მხარდაჭერისა და ინდივიდუალური მიდგომის შესახებ, ონლაინ ბიბლიოთეკის დახმარებით სასწავლო მასალაზე მარტივი წვდომის შესახებ და სხვ. ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ ლექტორები ინფორმირებული არიან სტუდენტთა შეფასების შედეგების შესახებ და გამოთქმული აქვთ საკუთარი დამოკიდებულება ამ შედეგების მიმართ. მათი

	აბსოლუტური უმრავლესობა იღებს სტუდენტთა შეფასებას და გეგმავს გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებას. შეფასებაში ჩართულია სტუდენტთა 25 პროცენტზე მეტი. დადებით ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის გაძლიერება მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით, რასაც ყველა პროგრამის სტუდენტი არაერთხელ აღნიშნავს თავიანთ კომენტარებში. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.1.3	**სტუდენტთა სწავლის შედეგების ანალიზი დიაგნოსტიკური მატრიცების საშუალებით და, შედეგების საფუძველზე, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი/ ივლისი, 2022
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა, დოკუმენტების ანალიზი სწავლის შედეგების შესასწავლად და შესაფასებლად გამოყენებულ იქნა ონლაინგამოკითხვის მეთოდი (სტრუქტურირებული ინტერვიუ) და დოკუმენტაციის ანალიზის მეთოდი. გამოიკითხა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სკოლების სწავლების ხარისხზე პასუხისმგებელი პირები, გაანალიზდა შეფასების ფორმები.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებით, უნივერსიტეტი ყოველწლიურად აუმჯობესებს სწავლის ხარისხს, რაც მისი თანმიმდევრული საგანმანათლებლო პოლიტიკის შედეგია. რთულ ეპიდემიოლოგიურ ვითარებას გრუნიმ ღირსეულად გაართვა თავი და არა მხოლოდ შეინარჩუნა სწავლა-სწავლების არსებული მაჩვენებლები, არამედ გააუმჯობესა კიდეც, რაც შესაბამისად აისახა შეფასების ფორმებში/დიაგნოსტიკურ მატრიცებში. 2021-2022 სასწავლო წლების მიხედვით სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასების ანალიზმა გვიჩვენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების დაძლევის ხარისხი, ზოგადად, დამაკმაყოფილებელია.

შეფასება	2018-2019	2019-2020	2020-2021	2021-2022
A	8%	11%	18%	11%
B	15%	18%	23%	17%
C	22%	22%	23%	23%

D	25%	24%	18%	24%
E	29%	24%	16%	25%
F-FX	1%	1%	2%	2%

ყოველი სემესტრის დასრულების შემდეგ, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მდგომარეობას განიხილავს უნივერსიტეტის აკადემიური კომიტეტი, სკოლები.

დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.

აქტივობა 1.1.5	**ხარისხის უზრუნველყოფის პლატფორმის შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი/ ივნისი, 2022
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა საკითხის შესასწავლად და შესაფასებლად გამოყენებულ იქნა ონლაინგამოკითხვის მეთოდი (სტრუქტურირებული ინტერვიუ). გამოიკითხა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სკოლების სწავლების ხარისხზე პასუხისმგებელი პირები.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	პროგრამა რამდენიმე ბლოკს მოიცავს. მომზადებულია ორი ბლოკი, მიმდინარეობს მუშაობა შემდეგი ბლოკების მოსამზადებლად. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი (ერთი წლის ფარგლებში) შესრულდა ნაწილობრივ**

აქტივობა 1.1.6	**პროგრამების განხორციელების ხარისხის შესახებ ინფორმაციის მომზადება და წარდგენა აკადემიური კომიტეტის სხდომებზე.**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი/ 6 თვის შედეგებით
კვლევის მეთოდი	დოკუმენტაციის ანალიზი შემოწმდა აკადემიური კომიტეტის ოქმი

კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	აკადემიური კომიტეტის სხდომა გაიმართა 2021 წლის ოქტომბერში. სხდომაზე განიხილეს ინფორმაციები სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მინიჭებისა და ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების შესრულების შესახებ. კომიტეტის გადაწყვეტილებები შესასრულებლად გადაეცა სამართლის სკოლას. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.1.7	**ინტეგრირებული და ერთობლივი საგანამანათლებლო პროგრამების რაოდენობის გაზრდა და განხორციელება (სამართალი, საერთაშორისო ურთიერთობები, ბიზნესის ადმინისტრირება, ფსიქოლოგია)**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ. მონიტორინგის ჯგუფმა საკვლევი საკითხის შესასწავლად და შესაფასებლად გამოიყენა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდი: სტრუქტურირებული ინტერვიუ. დახურული კითხვარის მეშვეობით ონლაინგამოიკითხა სამიზნე პოპულაცია / საერთაშორისო ინტეგრაციის ცენტრისა და საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პასუხისმგებელი პირები, დეკანები (16).
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	საერთაშორისო ინტეგრაციის ცენტრი განაგრძობს მუშაობას პარტნიორი საგანმანათლებლო დაწესებულების მოსაძიებლად. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის აღნიშნული პუნქტი არ შესრულდა.**

აქტივობა 1.1.8	**შრომის ბაზრის კვლევის ჩატარება, ანალიზი და პროგრამებში კორექტივების შეტანა**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი/ ივნისი, 2022

კვლევის მეთოდი	**გამოკითხვა** მონიტორინგის ჯგუფმა საკითხის შესასწავლად გამოიყენა ონლაინგამოკითხვის მეთოდი (სტრუქტურირებული ინტერვიუ), გამოიკითხნენ: დეკანები, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, დასაქმების კოორდინატორი, სკოლების დასაქმების კომიტეტის პასუხისმგებელი პირები.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	კვლევის შედეგები ასეთია: საანგარიშო პერიოდში, აღწერის პრინციპის საშუალებით, განხორციელდა საჯარო მმართველობის სფეროში მოქმედი დამსაქმებლების გამოკითხვა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 15-მა დაწესებულებამ. კვლევის შედეგები გადაეცა საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლას. გრუნის მედიცინის პროგრამას შემოაქვს ახალი სასწავლო კურსი **„მედიცინა გენდერისა და სქესის თავისებურებებით“,** რომელიც ევროპის უნივერსიტეტებისთვისაც ახალია. ამ დისციპლინას წაიყვანს გერმანელი პროფესორი **ბეტინა პფლეიდერერი** და გრუნის პროფესორი ხათუნა კალაძე. https://gruni.edu.ge/main/news/1646457182 საანგარიშო პერიოდში ბიზნესისა და მართვის სკოლამ დაასრულა მუშაობა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2018 წლის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის გამარჯვებულ საგრანტო პროექტზე - “უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის თანამშრომლობის კვლევა საქართველოში“ (FR-18-6156), პროექტის ფარგლებში განხორციელდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის არსებული თანამშრომლობის მდგომარეობის შესწავლა, გამოვლინდა ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის ფორმები და მოდელები. 2022 წელს გამოიცა კვლევა, რომლის მიგნებები რეკომენდაციის სახით მიიღო უნივერსიტეტმა. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად**

აქტივობა 1.1.9	**ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერება/ ინტეგრირება**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი/ ივნისი, 2022

კვლევის მეთოდი	გამოკითხვა საკვლევი საკითხის შესასწავლად და შესაფასებლად გამოყენებულ იქნა ონლაინგამოკითხვის მეთოდი (სტრუქტურირებული ინტერვიუ) და დოკუმენტაციის ანალიზის მეთოდი. გამოიკითხა სტუდენტები, პროგრამების ხელმძღვანელები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სკოლების სწავლების ხარისხზე პასუხისმგებელი პირები.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებით, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი საგანმანათლებლო საქმიანობას წარმართავს პრინციპით „თანამედროვე განათლება- თანამედროვე უნივერსიტეტში“ და სწავლა-სწავლების პროცესში ინოვაციური და პრაქტიკული კომპონენტების გააქტიურება/გაძლიერებით უპრეცედენტო შესაძლებლობებს უქმნის სტუდენტებს საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომის ბაზრებზე ინტეგრირებისათვის. საანგარიშო პერიოდში პრაქტიკული კომპონენტები გაძლიერდა სხვადასხვა სასწავლო კურსების დანერგვით ან არსებულ სასწავლო გეგმებში ცვლილებების შეტანით (მაგალითად .: ა) დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაში გაძლიერდა კლინიკური უნარ-ჩვევების განმავითარებელი კომპონენტი, განახლდა პროფესიული პრაქტიკის ობიექტებთან დადებული ხელშეკრულებები, კიდევ უფრო გაუმჯობესდა OSCE-ის ჩატარების პროცესი, სისტემატურად ტარდება OSCE-ს შესაბამის აქტორთა ტრენინგი. უნივერსიტეტმა გააფართოვა სასწავლო-კლინიკური რესურსი, ამ მიზნით შეიძინა მულტიპროფილური კლინიკა, პინეოს 40%-იანი წილი, საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში შექმნა უნიკალური კლინიკური უნარების ცენტრი, რომელიც აღიჭურვა თანამედროვე ტექნიკითა და სახარჯი მასალებით, პერიოდულად ხორციელდება სასწავლო კურსებით გათვალისწინებული ლიტერატურის განახლება. ბ) სამართლის მიმართულებით გაღრმავდა ურთიერთობები საბაზო იურიდიულ კლინიკებთან; გ) ჟურნალისტიკის მიმართულებით შეიქმნა მულტიმედია პლატფორმა, სადაც თავსდება სტუდენტური პრაქტიკული პროექტები). უნივერსიტეტი განაგრძობს სასწავლო ლაბორატორიების აღჭურვას თანამედროვე ტექნოლოგიებით და აფართოებს თანამშრომლობას პარტნიორებთან. კერძოდ: 2021 წლის 12 ნოემბერს გრუნიმ მედიცინის სფეროს სტუდენტთა დარგობრივი უნარების განვითარებისა და გაღრმავების მიზნით თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა კლინიკა „რეიმანთან“, თანამშრომლობის მიზანია ხელი შეუწყოს დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი

	სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამის უცხოელი და ადგილობრივი სტუდენტების კვალიფიკაციის ამაღლებას, პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას და მათი პრაქტიკული სწავლების განხორციელებას კლინიკის სამედიცინო დაწესებულებებში. დღეისათვის ამ მიმართულების სტუდენტები 5 სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში გადიან პრაქტიკულ სწავლებას. https://gruni.edu.ge/main/news/1636707471 2021 წლის 1 ნოემბერს კლინიკა „უნიქალმედი" გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტთან აფილირებული სამედიცინო დაწესებულება გახდა, რომელიც უზრუნველყოფს სამედიცინო პროფილის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას. https://gruni.edu.ge/main/news/1636681339 2022 წლის 11-12 თებერვალს მედიცინის სკოლის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჰიბრიდული ფორმატით ჩატარდა ტრენინგი *სამედიცინო განათლების მოდერნიზაციის ძირითადი ასპექტები - (OSCE/OSPE)* ტრენინგზე დიდი ადგილი დაეთმო სტუდენტის კლინიკური უნარების შეფასების ოქროს სტანდარტის OSCE-ს და მისი ერთერთი მოდიფიკაციის OSPE-ს დაგეგმვის, ორგანიზების და იმპლემენტაციის ძირითადი პრინციპების განხილვას. https://gruni.edu.ge/main/news/1644849111 2022 წლის 16 მარტიდან უნივერსიტეტი ამერიკის საელჩოს დახმარებით ახორციელებს ასისტენტ პროგრამას (ETA), რომელიც პრაქტიკული ინგლისურის მაღალი ხარისხით სწავლებას ისახავს მიზნად. ამერიკელი ენის სპეციალისტი ბრენდონ ჰარდინგი დასაწყისისთვის ინგლისური ენის ლექტორებთან ერთად იმუშავებს სტუდენტებთან როგორც თბილისის, ისე ბათუმის წარმომადგენლობაში პრაქტიკული კომპონენტების გასაუმჯობესებლად, https://gruni.edu.ge/main/news/1647526993 https://gruni.edu.ge/main/news/1658819592 სტუდენტების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობის ბაზაზე გაიხსნა იმიტირებული სასამართლო პროცესის დარბაზი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით და საშუალებას იძლევა, ამგვარი პროცესები წარიმართოს

	დადგენილი წესებისა და პროცედურების სრული დაცვით. 2022 წლის 18 ივნისს გრუნის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორის - თამარ კერძაიასა და ბათუმის წარმომადგენლობის ხელმძღვანელობის ინიციატივით, გაიმართა იმიტირებული სასამართლო პროცესი შრომის სამართალში. https://gruni.edu.ge/main/news/1656653434 2022 წლის 15-17 ივნისს, პირველად საქართველოში, რამბამის (ისრაელი, ჰაიფა) სამედიცინო-სასწავლო ცენტრმა უპრეცედენტო პროექტი განახორციელა გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტთან, ჯანდაცვის პროფესიონალთა ფონდთან და ამერიკულ ჰოსპიტალთან ერთად: „მასობრივი კატასტროფების მართვა პრეჰოსპიტალურ და პოსპიტალურ ეტაპზე“. ტრენინგი მიზნად ისახავდა საგანგებო სიტუაციების მართვაში ჩართული პერსონალისა და სტუდენტების პროფესიული უნარ-ჩვევების უწყვეტ განვითარებასა და გაღრმავებას, თანამედროვე მიღწევებზე დაფუძნებულ პრაქტიკულ სწავლებას. მასობრივი კატასტროფების მართვის 3-დღიან იმიტირებულ სწავლებას ატარებდა რამბამის ტრავმაცენტრის ხელმძღვანელი, **პროფესორი მიხეილ ჰელბერტალი** და ტოპ ტრენერთა 5 -კაციანი ჯგუფი. https://gruni.edu.ge/main/news/1655702417 სტუდენტების პრაქტიკული ცოდნისა და უნარ - ჩვევების გაძლიერების მიზნით გრძელდება მნიშვნელოვანი აქტივობები (კურუკულუმს გარეთ აქტივობები), როგორებიცაა: ონლაინმასტერკლასები, მოწვეული პრაქტიკოსებისა და საერთაშორისო დონის ქართველი და უცხოელი ექსპერტებისა ლექციები, სასწავლო-პრაქტიკული მეცადინეობები, იმიტირებული პროცესები და ა.შ. დეტალური ინფარმაცია მოცემულია ვებგვერდზე (www.gruni.edu.ge) **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად**

აქტივობა 1.1.10	**კარიერისთვის მომზადების სასწავლო კურსის შემუშავება, საგანმანათლებლო პროგრამებში ინტეგრირება სასწავლო დისციპლინის სახით**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ

კვლევის მეთოდი	**გამოკითხვა** შეჯამდა და გაანალიზდა დეკანების, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პასუხისმგებელი პირების, დასაქმების კოორდინატორის (19) ონლაინგამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაცია.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებით, გრუნი ყოველდღიური საქმიანობით ადასტურებს მზადყოფნას, აღზარდოს კონკურენტუნარიან სპეციალისტთა თაობა, რომელიც შეძლებს ინტეგრირებას საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე. ამ მიზნის მისაღწევად საანგარიშო პერიოდში არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა, კერძოდ: სოციალურ დისციპლინათა მოდულში გათვალისწინებულია საუნივერსიტეტო სასწავლო კურსი „კარიერული უნარ-ჩვევები“, სალექციო კურსის მომზადება უკვე დასრულდა და 2022-2023 სასწავლო წელიდან დაიწყება სწავლება, რომელსაც უხელმძღვანელებს პროფესორი თენგიზ თაქთაქიშვილი. ამასთან, უნივერსიტეტი ახალგაზრდებს მუდმივად სთავაზობს განვითარების სხვადასხვა პროგრამას, კერძოდ: ამერიკის მთავრობის გაცვლითი პროგრამების საქართველოს მონაწილეთა ასოციაციამ (ეპაგი) პირველი პროექტი, რომელიც უნივერსიტეტის სტუდენტებს შესთავაზა - მენტორობის პროგრამაა. პროგრამის მიზანია, მენტორების მეშვეობით ხელი შეუწყოს სტუდენტებს მომავალი კარიერისთვის უკეთ მომზადებაში, დაეხმაროს პერსონალური განვითარების გეგმის შემუშავებასა და პროფესიის მიმართ სწორი მოლოდინის ჩამოყალიბებაში, პროექტში ბაკალავრიატის მე-3 და მე-4 კურსების 7 სტუდენტი ჩაერთო. https://gruni.edu.ge/main/news/1645000537 2022 წლის 21 იანვარს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ჩატარდა მასტერკლასი თემაზე - როგორ მოვემზადოთ პირველი გასაუბრებისთვის. ტრენინგს უძღვებოდა HR მენეჯერი სალომე გოძელანძე, რომელსაც 10- წლიანი გამოცდილება აქვს ადამიანური რესურსების მართვის სფეროში ტალანტების მოზიდვის, პერსონალის მართვის და HR ადმინისტრაციული პროექტების მენეჯმენტის მიმართულებით. ღონისძიების ფარგლებში, სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ პრაქტიკოსისაგან მოესმინათ რჩევები CV-ის შედგენის სწორი მეთოდოლოგიების, ადამიანური რესურსების მენეჯერებთან კომუნიკაციისა და პირველი გასაუბრების ტაქტიკების

	შესახებ. https://gruni.edu.ge/main/news/1643081707 “პროფესიონალური გუნდი თუ ბიზნესმოდელი“ - ასეთი თემა შესთავაზა დაზღვევის გენერალურმა დირექტორმა პაატა ღაძაძემ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის სტუდენტებს. მან ახალგაზრდებს გაუზიარა პროფესიული გამოცდილება, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით მართვის თანამედროვე პროცესების შესახებ, რომელიც ამარტივებს და ხელმისაწვდომს ხდის მათ პროდუქტს მომხმარებლისთვის. სტუმარმა ასევე გააცნო სტუდენტებს ის ახალი მიმართულებები და პროდუქტები, რომელიც დაზღვევის პროცესების ხარისხის განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორია. https://gruni.edu.ge/main/news/1636681862 საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ნიჭიერი სტუდენტების მხარდასაჭერად დაიწყო ახალგაზრდა ეკონომისტების კონკურსი. გამარჯვებულ კანდიდატებს შესაძლებლობა მიეცემათ საქართველოს ეროვნულ ბანკში 3-თვიანი ანაზღაურებადი სტაჟირება გაიარონ. https://gruni.edu.ge/main/news/1636707795 **2022 წლის 20-22 ივლისს,** გრუნის ბათუმის კამპუსში დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის წარმატებით ჩატარდა 3 - დღიანი კარიერული განვითარების სასერტიფიკატო ტრენინგი: ***ბიზნესკომუნიკაცია: როგორ გავხდეთ სტუდენტიდან დასაქმებულად.*** ტრენინგის განმავლობაში მსმენელები ინტენსიურად იყვნენ ჩართული პრაქტიკულ სწავლებაში - მოდელირებული სიტუაციების გათამაშებაში, დოკუმენტების შედგენასა და სხვა საინტერესო აქტივობებში. ტრენინგი დაეხმარება მონაწილეებს, უფრო თავდაჯერებულები იყვნენ ახალი სამსახურის ძიების პროცესში და ეფექტიანად წარმართონ კარიერის დაწყება და შემდგომი ეტაპები. ღონისძიებას უძღვებოდა ლიანა ყანჩაველი, დიდი გამოცდილებისა და კომპეტენციის სპეციალისტი. https://gruni.edu.ge/main/news/1659417361 ამერიკის მთავრობის გაცვლითი პროგრამების საქართველოს მონაწილეთა ასოციაცია 2022 წლის იანვრიდან გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პარტნიორია. პირველი პროექტი, რომელიც თანამშრომლობის ფარგლებში დაიგეგმა, მენტორობის პროგრამაა, რომლის გახსნის ვირტუალური ცერემონია 2022 წლის 11 მარტს გაიმართა. პროგრამა გულისხმობს მენტორის, მრავალწლიანი გამოცდილების მქონე წარმატებული სპეციალისტის, თანამშრომლობას მისივე სპეციალობის სტუდენტთან, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებასა და კონსულტაციის გაწევას, დახმარებას

	პროფესიულ დაოსტატებაში, პიროვნული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და მომავალი კარიერისათვის უკეთ მომზადებაში. მენტორობის პროგრამის მეორე ნაკადისთვის გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტიდან 11 სტუდენტი შეირჩა, ისინი მენტორებთან ერთი სემესტრის განმავლობაში იმუშავებენ. https://gruni.edu.ge/main/news/1647350455 უნივერსიტეტი ახალგაზრდებს მუდმივად სთავაზობს განვითარების, სტაჟირების, დასაქმების სხვადასხვა პროგრამას, რომელიც, პირდაპირ თუ არაპიდაპირ, მათ პროფესიულ მომზადებას უკავშირდება. **საანგარიშო პერიოდში გრუნის სტუდენტებმა დასაქმების შეთავაზება მიიღეს:** საქართველოს საგანმანათლებლო ინტერნეტპორტალ EDU.ARIS.GE-ისაგან შტატგარეშე ჟურნალისტის პოზიციაზე https://gruni.edu.ge/main/news/1636347295 კომპანია PMO Business Consulting -ისაგან კვლევის მიმართულებით ანაზღაურებად სტაჟირებაზე; https://gruni.edu.ge/main/news/1637308869 გრუნისაგან, ყოველკვირეულად, სხვადასხვა ვაკანსიის შესახებ; https://gruni.edu.ge/main/news/1639463409 https://gruni.edu.ge/main/news/1640667852 https://gruni.edu.ge/main/news/1640019533 https://gruni.edu.ge/main/news/1643082494 https://gruni.edu.ge/main/news/1642490166 https://gruni.edu.ge/main/news/1641970639 საჯარო სამსახურის ბიუროსგან, რომელშიც საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების 12 სტუდენტი სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის საშემოდგომო და საგაზაფხულო ნაკადში ჩაერთო; https://gruni.edu.ge/main/news/1631172731 სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობისა და სწავლების პროცესში თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოცდილებით განმტკიცების მიზნით, ხელი მოეწერა თანამშრომლობის მემორანდუმს: **პაშა ბანკთან** და ამით გრუნიმ თავის სტუდენტებს დასაქმების კიდევ ერთი შესაძლებლობა მისცა. https://gruni.edu.ge/main/news/1633585423 **კომპანია „ჰიროსთან“** და სტუდენტებმა მიიღეს შეთავაზება სხვადასხვა ვაკანტურ პოზიციაზე: სტაჟირება hiro-ს გაყიდვების დეპარტამენტში,

	სტაჟირება გაყიდვების დეპარტამენტში, სტაჟირება ბუღალტერიის დეპარტამენტში, გაყიდვების მენეჯერი - ბათუმში https://gruni.edu.ge/main/news/1632803057 **ლონდონის სტარტაპკომპანია „Pensight“ - თან,** რომელიც სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს სთავაზობს სემინარების, მასტერკლასების, კონფერენციების ორგანიზებას, საერთო ინტერესების სფეროში შემავალი პროგრამებისა და სხვა სასწავლო - საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას, სტაჟირების პროგრამების მომზადებას, საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და **„Pensight“ -ის ტრენერ-ექსპერტთა** ჩართვას სასწავლო პროგრამებსა და პროექტებში; სამეცნიერო პუბლიკაციებზე ერთობლივ მუშაობასა და გამოქვეყნებას. https://gruni.edu.ge/main/news/1638431573 **ახალგაზრდულ ასოციაცია „დრონისთან“** - საერთაშორისო სემინარებში სტუდენტების ჩართვის, ერთობლივი პრაქტიკული კომპონენტების - სტაჟირებისა და დასაქმების პროგრამების - შემუშავებისა და დანერგვის; სტუდენტების შემდგომი კარიერული ზრდა-განვითარების მიზნით https://gruni.edu.ge/main/news/1644329200 **სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთან,** რომელმაც სტუდენტებს მეწარმეთა და იურიდიულ პირთა რეგისტრაციის დეპარტამენტში 20 ვაკანტური პოზიცია შესთავაზა. **https://gruni.edu.ge/main/news/1638265909** **დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან** - https://gruni.edu.ge/main/news/1638594657; **მედიისა და კომუნიკაციის საგანმანათლებლო - კვლევით ცენტრთან** - სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობისა და სწავლების პროცესში თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოცდილებით განმტკიცების მიზნით. https://gruni.edu.ge/main/news/1642489025 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.3.1	**არსებულ პარტნიორებთან თანამშრომლობის გაღრმავება და ახალ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პარტნიორული ურთიერთობის დამყარება**

მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი/ ივნისი, 2022
კვლევის მეთოდი	დოკუმენტების ანალიზი. შემოწმდა გაფორმებული მემორანდუმები
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებით, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი წლიდან წლამდე აფართოებს საერთაშორისო თანამშრომლობას სხვადასხვა ქვეყნის საგანმანათლებლო თუ სამეცნიერო დაწესებულებებთან და იმთავითვე ქმნის შესაძლებლობებს გრუნის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის, ეზიარონ დასავლურ ღირებულებებს, გააუმჯობესონ სწავლების ხარისხი და დაიმკვიდრონ ღირსეული ადგილი საგანმანათლებლო ბაზარზე. საანგარიშო პერიოდში წარმატებული საგანამანათლებლო და სამეცნიერო თანამშრომლობა განხორციელდა **ამერიკის, საფრანგეთის, ჩეხეთის, პოლონეთის, აზერბაიჯანის** საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებთან, კერძოდ: **Texas A&M-ის უნივერსიტეტთან** გრუნი ერთდროულად ორ პროექტს ახორციელებს: TESOL პროგრამას - ინგლისური ენის პედაგოგების გადასამზადებლად, კვლევით სემინარებს აკადემიური პერსონალისა და ახალგაზრდა მკვლევრებისათვის. **ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტო** წლებია წარმატებით თანამშრომლობს უნივერსიტეტთან სხვადასხვა პროექტის ფარგლებში, რისთვისაც გრუნის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, სააგენტოს რეგიონულ დირექტორს - მოჰამედ კეტატას, მიენიჭა უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება. **როზმარინა დუბოვსკას** ძალისხმევით გრუნი ტრენჩინის ალექსანდრე დუბჩეკის უნივერსიტეტის პარტნიორი გახდა. მისი უშუალო მონაწილეობით გამოიცა უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის გოჩა ოჩიგავას უცხოენოვანი მონოგრაფია „ქალთა ტრეფიკინგი საერთაშორისო სამართალში“. ერთობლივი სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა არაერთ საინტერესო პროექტსაც მოიცავს. **ვროცლავის უნივერსიტეტში** პოსტკოვიდურ პირობებში სასწავლო პროცესის მართვის გამოცდილებას, ასევე, სწავლებისა და შეფასების უახლეს მეთოდებს გაეცნო გრუნის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი - გოჩა ოჩიგავა. დაიგეგმა საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტები, სასწავლო პროგრამები უცხოელი

	სტუდენტებისათვის, თანამშრომლობა სამეცნიერო - კვლევითი მიმართულებით; **აზერბაიჯანის ტურიზმისა და მენეჯმენტის უნივერსიტეტის** წარმომადგენელი ინჩა ალიევა **2022 წლის 6 მაისს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს სტუმრობდა, ორივე მხარემ განიხილა სამომავლო თანამშრომლობის საკითხები, დაგეგმა და განახორციელა ლექციათა ციკლი სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის. დოკუმენტების ანალიზმა გვიჩვენა, რომ საანგარიშო პერიოდში გაფორმდა ხელშეკრულებები/მემორანდუმები ადგილობრივ და უცხოელ პარტნიორებთან: **Texas A&M-ის უნივერსიტეტთან** **- https://gruni.edu.ge/main/news/1662353295;** **საერთაშორისო ორგანიზაციასთან Libra-Alliance** **https://gruni.edu.ge/main/news/1659341795** **სტარტაპკომპანიასთან „Pulsar Al".** **https://gruni.edu.ge/main/news/1649250155** **ლონდონის სტარტაპკომპანია „Pensight" - თან.** **https://gruni.edu.ge/main/news/1638431573** **პარაგვაის სან სებასტიანის უნივერსიტეტთან.** **https://gruni.edu.ge/main/news/1645111885** **პოლონეთის უნივერსიტეტთან „Collgium Civitas".** https://gruni.edu.ge/main/news/1632807792 **აშშ-ის მთავრობის გაცვლითი პროგრამების საქართველოს მონაწილეთა ასოციაციასთან (ეპაგი).** **https://gruni.edu.ge/main/news/1637333170** **ახალგაზრდულ ასოციაციასთან „დრონი"** **, https://gruni.edu.ge/main/news/1644329200** **მედიისა და კომუნიკაციის საგანმანათლებლო - კვლევით ცენტრთან** **.** **https://gruni.edu.ge/main/news/1642489025**

	დუბჩეკის უნივერსიტეტი https://gruni.edu.ge/main/news/1651828441 პოლონეთის **Jan Dlugosz**-ის უნივერსიტეტი https://gruni.edu.ge/main/news/1635231966 სამართლის მეცნიერთა კავშირთან. https://gruni.edu.ge/main/news/1642740166 დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან, https://gruni.edu.ge/main/news/1638594657 **კლინიკა „რეიმანთან“.** https://gruni.edu.ge/main/news/1636707471 კლინიკა "უნიქალმედთან" https://gruni.edu.ge/main/news/1636681339 თანამშრომლობა მიზნად ისახავს: უმაღლესი აკადემიური განათლების ფარგლებში სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობისა და სწავლების პროცესში თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოცდილებით განმტკიცებას, ერთობლივი მიზნობრივი პროექტებისა და კვლევითი საქმიანობის განხორციელებას, კონფერენციებისა და პრაქტიკული საგანმანათლებლო აქტივობების მომზადებას, მათ შორის, სტუდენტების სტაჟირებას. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად**

აქტივობა 1.3.2	**საერთაშორისო საზაფხულო სკოლების ორგანიზება უნივერსიტეტის სტუდენტთა მონაწილეობით**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი/ აგვისტო , 2022
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა გამოიკითხა სამიზნე ჯგუფი/ სტუდენტები, საერთაშორისო ინტეგრაციის ცენტრის თანამშრომლები, დეკანები (33)
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	კვლევამ ცხადყო, რომ გრუნის საგანმანათლებლო საქმიანობაში თანამედროვე, დასავლური ღირებულებების დამკვიდრება, მუდმივი წინსვლა და განვითარება არის ინსტრუმენტი ახალგაზრდების

	უკეთესი მომავლის შესაქმნელად. ამიტომ, უნივერსიტეტს თავისი განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად საგანმანათლებლო საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია მიაჩნია და სწავლა-სწავლების პროცესს განსაზღვრავს ახლებური მიდგომებით, ახალი ფაქტორების გათვალისწინებითა და ინოვაციური კომპონენტების გააქტიურებით, საერთაშორისო პროექტებში უნივერსიტეტის სტუდენტების აქტიური მონაწილეობით, კერძოდ: გრუნის წარჩინებულმა სტუდენტებმა - **მაია კოპაძემ და თამთა აბულაძემ,** წარმატებით დაასრულეს ზამთრის ონლაინსკოლა თურქეთში, აიდინის უნივერსიტეტში. სწავლება ორ კვირას მიმდინარეობდა, პროგრამის ფარგლებში სტუდენტებმა გაიარეს სასწავლო კურსები: "Brand Management", „Current issue in International Politics". ონლაინსკოლის წარმატებით დასრულების შემდეგ მათ გადაეცათ სერტიფიკატები. სტუდენტების მონაწილეობა აიდნის უნივერსიტეტის ზამთრის ონლაინსკოლაში **სრულად დაფინანსდა გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის მიერ,** წარჩინებული სტუდენტების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში. https://gruni.edu.ge/main/news/1640708761 **2021 წლის 29 ნოემბერს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის დოქტორანტი, ასისტენტი, ნინო საჩალელი, საკონკურსო პირობების წარმატებით გადალახვის შემდეგ, მონაწილეობდა გაიზენჰეიმის (გერმანია) უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ მევენახეობა-მეღვინეობის საერთაშორისო ონლაინ სეზონური სკოლის მუშაობაში. სკოლა დააფინანსა გერმანიის განათლებისა და კვლევის ფედერალურმა სამინისტრომ და მისი მხარდამჭერი იყო გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახური (DAAD). https://gruni.edu.ge/main/news/1642912977 **2022 წლის 25-27 თებერვალს** მედიცინის პროგრამის 10 სტუდენტმა, **უნივერსიტეტის სრული დაფინანსებით,** მონაწილეობა მიიღო არითმიის ზამთრის სკოლის მიერ ორგანიზებულ სტუდენტური მუშაობაში, რომელიც ბაკურიანში გაიმართა. ტრენინგზე სტუდენტებმა გაიღრმავეს ცოდნა და განივითარეს პრაქტიკული უნარები გულსისხლძარღვთა დაავადებების მართვის საკითხებზე. ტრენინგის ბოლოს ჩატარდა ინტერაქტიური თამაში-კონკურსი, რომელშიც გრუნის სტუდენტმა აბჰაი აჯაი ვიბჰუტემ გაიმარჯვა და გადაეცა შესაბამისი სერტიფიკატი . https://gruni.edu.ge/main/news/1646408912 **2022 წლის 28 ივლისს,** ახალგაზრდულ ასოციაცია „დრონისთან"

	პარტნიორობის ფარგლებში, გრუნის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი სალომე ლომიძე იმყოფებოდა გერმანიაში, საერთაშორისო სემინარზე, რომელიც კლიმატის ცვლილების საკითხების განხილვას მიეძღვნა. ერთკვირიანი საერთაშორისო ტრენინგი, რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდები ესწრებოდნენ, ევროკავშირის მიერ იყო სრულად დაფინანსებული. https://gruni.edu.ge/main/news/1661142027 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.3.3	**საერთაშორისო პროგრამებისა და უნივერსიტეტის ურთიერთობის ფარგლებში სტუდენტთა მობილობის გაფართოება**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი/ სექტემბერი, 2022
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა საკითხის შესასწავლად და შესაფასებლად გამოყენებულ იქნა ონლაინგამოკითხვის მეთოდი (სტრუქტურირებული ინტერვიუ), გამოიკითხნენ სამიზნე ჯგუფის წევრები / მობილობის პროცესის მონაწილე სტუდენტები (16), საერთაშორისო ინტეგრაციის ცენტრის თანამშრომლები.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ უნივერსიტეტმა განაახლა პარტნიორ უნივერსიტეტებთან აქტიური თანამშრომლობა და სტუდენტების ჩართვა საერთაშორისო პროექტებში, კერძოდ: **2021 წლის 16 ნოემბერს** ამერიკის მთავრობის გაცვლითი პროგრამების საქართველოს მონაწილეთა ასოციაციამ, გრუნისთან პარტნიორობის ფარგლებში, ჩაატარა ვებინარი აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის და შესთავაზა მათ აშშ-ის საელჩოს მიერ დაფინანსებული გაცვლითი პროგრამები. https://gruni.edu.ge/main/news/1637900877 https://gruni.edu.ge/main/news/1637561844 **2021 წლის 13 დეკემბერი.** ბიზნესისა და მართვის სკოლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებმა: **ნინა კარიაულმა და მაია დადიანმა**

	გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სწავლა გააგრძელეს გერმანიის ქალაქ ჰაიდენჰაიმის უნივერსიტეტში, რომელთანაც გრუნის დიდი ხნის თანამშრომლობა აკავშირებს. გერმანიაში სტუდენტების სწავლა და ყოველდღიური ხარჯები ფინანსდება პარტნიორი უნივერსიტეტის მიერ. https://gruni.edu.ge/main/news/1639463946 **29 ივნისი, 2022 წელი.** გრიგოლ რობაქიძისა და სიანს პო რენის უნივერსიტეტების თანამშრომლობის ფარგლებში, 2022-2023 სასწავლო წლის პირველი და მეორე სემესტრებისთვის ფრანგულმა უნივერსიტეტმა სტიპენდია გამოუყო ორ სტუდენტს. სტიპენდიანტები შეირჩნენ კონკურსის საფუძველზე Sciences Po Rennes უნივერსიტეტში. პირველი სემესტრის მანძილზე ყოველთვიური სტიპენდია მოიპოვა სამართლის სკოლის სამაგისტრო პროგრამის პირველი კურსის სტუდენტმა **ელენე სვანიძემ,** ხოლო მეორე სემესტრის - სამართლის სკოლის საბაკალავრო პროგრამის მესამე კურსის სტუდენტმა **სანდრო გაგიშვილმა. https://gruni.edu.ge/main/news/1656651650** **2022 წლის 6 სექტემბერი.** უკრაინელმა სტუდენტმა **ანისია როკაჩოვამ** გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში სტაჟირება დაასრულა. ანისია ნიუ-იორკის უნივერსიტეტის (აბუ-დაბი) მეორე კურსის სტუდენტია, რომელმაც გრუნის მოწვევით 2021-2022 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრში (ივლისი-აგვისტო) არაანაზღაურებადი სტაჟირება გაიარა სტრატეგიული განვითარებისა და მარკეტინგული კვლევის სამსახურში. უკრაინელმა სტუდენტმა შეისწავლა სტრატეგიული გეგმის მომზადების მთავარი პრინციპები, მათი მნიშვნელობა და დანიშნულება, მოამზადა გრუნისა და მშობლიური უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის ანალიზი და წარმოადგინა საინტერესო პრეზენტაცია და წინადადებები ორი თვის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შესახებ. https://gruni.edu.ge/main/news/1662464522 **2022 წლის მაისში** გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტისა და აზერბაიჯანის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის **ვირტუალური გაცვლითი პროგრამის ფარგლებში,** მესამე და მეოთხე ონლაინსესია გაიმართა.სესიის მუშაობაში ორივე უნივერსიტეტის სტუდენტი და ინგლისური ენის პროფესორ-მასწავლებელი მონაწილეობდა. პრეზენტაციას, უძღვებოდნენ ასპუს ლექტორები - იასემინ ბაბაევა და მირვარ ქასიმოვა. მათ წარმოადგინეს თემატიკა: „ბრენდი“ და ბრენდთან დაკავშირებული ტერმინები, ეროვნული

	და საერთაშორისო ბრენდები და მათი წარმომავლობა, ბრენდის იმიჯი, ბრენდის ერთგულება და სხვ. საქართველოდან ლექციას ფასილიტაციას უწევდა გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობის მოწვეული პროფესორი თამარ დოლიძე და რექტორის მრჩეველი, ბიზნეს ინგლისურის სასწავლო კურსის ლექტორი ანა აბესაძე. https://gruni.edu.ge/main/news/1652850432 https://gruni.edu.ge/main/news/1653286455 **2022 წლის 24-29 მაისს,** ახალგაზრდულ ასოციაცია „დრონისთან" თანაშრომლობის ფარგლებში, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველი ანა აბესაძე იმყოფებოდა სეგოვიაში, ესპანეთში, სემინარზე, რომელიც განიხილავდა ახალგაზრდულ საკითხებზე მომუშავე ევროპულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობას. https://gruni.edu.ge/main/news/1654138752 **მობილობის პროცესში აქტიურად იყო ჩართული გრუნის აკადემიური პერსონალიც:** გრუნის ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანის მოადგილე, მარკეტინგისა და მენეჯმენტის პროგრამების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი **ნათია დაღელიშვილი 2022 წლის მაისს,** უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში, მივლინებულ იქნა პორტოს უნივერსიტეტში (პორტუგალია), პროექტი სრულად დაფინანსდა ევროკავშირის მიერ. https://gruni.edu.ge/main/news/1653799171 **2022 წლის 13 - 19 მაისს,** ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის მოწვეული ლექტორი, ჟურნალისტი **ელისო ჩაფიძე,** პროფესიული განვითარების ფარგლებში, მივლინებული იყო პოლონეთში, იან კოხანოვსკის სახელობის უნივერსიტეტში. ვიზიტი ერაზმუს მუნდუსის აკადემიური გაცვლითი პროგრამის დაფინანსებით განხორციელდა. მან პოლონელ სტუდენტებთან წაიკითხა სალექციო კურსი - საგამოძიებო ჟურნალისტიკის პრობლემები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. https://gruni.edu.ge/main/news/1653719929 **2022 წლის** 11- დან 17 მაისის ჩათვლით, Erasmus + -ის ეგიდით, ბათუმის წარმომადგენლობის პროფესორი **თინათინ ჟორჟოლიანი,** პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში, მივლინებულ იყო პოლონეთის **იან კოხონოვსკის უნივერსიტეტში.** ვიზიტის დროს

	მან ლექციები წაიკითხა პოლონელი სტუდენტებისათვის შემდეგი მიმართულებით: რუსეთის ოკუპაციის და ეკონომიკური კრიზისის შედეგები საქართველოს კონფლიქტურ ზონებში, პანდემია და საქართველო, ტურიზმის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე და სხვ. https://gruni.edu.ge/main/news/1654007494 **2022 წლის მარტში** გრუნის ბიზნესისა და მართვის სკოლის ტურიზმის პროგრამის ასოცირებული პროფესორი მაია მელაძე ერაზმუს + KA107 პროგრამის ფარგლებში აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ჩესტოხოვას იან დლუგოზის სახელობის უნივერსიტეტში (პოლონეთი) იმყოფებოდა. პროფესორმა პოლონელი სტუდენტებისთვის წაიკითხა ლექციების ციკლი კულტურული ტურიზმისა და ღვინის ტურიზმის შესახებ, რომლებმაც დამსწრე საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. https://gruni.edu.ge/main/news/1648619094 **2021 წლის 20-27 ნოემბერს** პროგრამა ERASMUS+ -ის ფარგლებში პოლონეთში, იან კოხონოვსკის უნივერსიტეტში, იმყოფებოდა გრუნის პროფესორი თამარ გამსახურდია. ერთი კვირის განმავლობაში მან პოლონელ სტუდენტებს გააცნო გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი და წაიკითხა ლექციები თემაზე: „ფინანსური ტექნოლოგიების განვითარების ტენდენციები მსოფლიო მასშტაბით, საქართველოსა და პოლონეთში“. https://gruni.edu.ge/main/news/1642667978 **2021 წლის ოქტომბერში** პროგრამა ERASMUS+ -ის ფარგლებში პოლონეთში, იან კოხონოვსკის უნივერსიტეტში, იმყოფებოდა გრუნის ბათუმის წარმომადგენლობის პროფესორი თამარ დოლიძე. ერთი კვირის განმავლობაში მან პოლონელი სტუდენტებისთვის წაიკითხა ლექციები https://gruni.edu.ge/main/news/1637251201 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.3.4	**საბაკალავრო პროგრამებში უცხოენოვანი სასწავლო კომპონენტების ინტეგრირება და უცხო ენის სწავლების გაძლიერება ბრიტანეთის საკონსულოსთან, ფრანგულ ინსტიტუტსა და გოეთეს ინსტიტუტთან თანამშრომლობით**

მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი/ აგვისტო , 2022
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა სწავლის შედეგების შესასწავლად და შესაფასებლად გამოყენებულ იქნა ონლაინგამოკითხვის მეთოდი (სტრუქტურირებული ინტერვიუ). გამოიკითხნენ სტუდენტები, საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელები, სკოლების სწავლების ხარისხზე პასუხისმგებელი პირები (39).
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხული სტუდენტები და აკადემიური პერსონალი კმაყოფილებას გამოთქვამენ გრუნის საგანმანათლებლო საქმიანობაში უცხო ენის სწავლების გაძლიერებისა და შესაბამისად, აკადემიური განათლების სრულყოფისა და განვითარების მიზნით გაწეული საქმიანობის გამო. განსაკუთრებით აღინიშნა Texas A&M-ის უნივერსიტეტთან დაწყებული თანამშრომლობა და საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი პროექტები. კერძოდ, TESOL პროგრამა, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების ორმაგი ენის ათვისებასთან დაკავშირებული კვლევებისა და განვითარების პროგრამების განხორციელებას. პირველი საპილოტე პროგრამა უკვე 2022 წლის ოქტომბერში დაიგეგმა. საანგარიშო პერიოდში, ამერიკის საელჩოს დახმარებით, დაიწყო ინგლისური ენის სწავლების ასისტენტპროგრამა (ETA), რომლის ფარგლებშიც გრუნიში მთელი სასწავლო წლის განმავლობაში მუშაობდა ამერიკელი მოხალისე მასწავლებლი ბრენდონ ჰარდინგი. 2022 წლის 20 ივლისს გრუნიმ ამ პროგრამის ფარგლებში დაიწყო პრაქტიკული ინგლისურის ორთვიანი სასწავლო კურსი სტუდენტებისათვის, პროექტში ჩაერთვნენ სხვადასხვა მიმართულების ის სტუდენტები, რომლებსაც გააჩნდათ ენის ცოდნის შესაბამისი დონე. ინგლისური ენის ექსპერტთა პროგრამა -"English Language Fellow", ამერიკის საელჩოს ერთ-ერთი წარმატებული პროექტია და შესაძლებლობას აძლევს საქართველოს უნივერსიტეტებს, უმასპინძლონ ამერიკელ სპეციალისტებს, რომლებიც უახლესი მეთოდოლოგიით სრულად შეასწავლიან ინგლისური ენის საკომუნიკაციო უნარებს აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებს და ჩაერთვებიან სხვადასხვა პროექტსა თუ სამეცნიერო საქმიანობაში. https://gruni.edu.ge/main/news/1647526993 https://gruni.edu.ge/main/news/1655610994

	უცხო ენის შესწავლის გაძლიერების მიზნით, საუნივერსიტეტო არჩევით კომპონენტს დაემატა ჩინური ენა. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.3.5	**საერთაშორისო სტუდენტურ შეკრებებსა და სხვა ღონისძიებებში სტუდენტთა მონაწილეობის უზრუნველყოფა**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი/ ივლისი, 2022
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა, დოკუმენტების ანალიზი: საკვლევი საკითხის შესასწავლად და შესაფასებლად გამოყენებულ იქნა ონლაინგამოკითხვის მეთოდი (სტრუქტურირებული ინტერვიუ), გამოიკითხა სამიზნე ჯგუფის 51 წევრი. შემოწმდა გრუნის ოფიციალური ვებგვერდი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	კვლევამ დაადგინა, რომ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა შექმნა სრულიად ახალი საგანმანათლებლო კონცეფცია, რომლის ნაწილია საერთაშორისო პროგრამებსა და პროექტებში უნივერსიტეტის აქტიურად ჩართვა, მათ შორის, უნივერსიტეტის მხარდაჭერით. კერძოდ: **2022 წლის 28 ივლისს,** ახალგაზრდულ ასოციაცია „დრონისთან“ პარტნიორობის ფარგლებში, გრუნის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი სალომე ლომიძე იმყოფებოდა გერმანიაში, საერთაშორისო სემინარზე, რომელიც კლიმატის ცვლილების საკითხების განხილვას მიეძღვნა. ერთკვირიანი საერთაშორისო ტრენინგი, რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდები ესწრებოდნენ, ევროკავშირის მიერ იყო სრულად დაფინანსებული. https://gruni.edu.ge/main/news/1661142027 **2022 წლის ივნისი.** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ხელშეწყობით, რამდენიმე წელია ხორციელდება მედიცინის სკოლის სტუდენტების სასწავლო ვიზიტი საზღვარგარეთის ქვეყნებში. სტუდენტები მონაწილეობენ პარტნიორი უნივერსიტეტების სასწავლო სემინარებსა და კონფერენციებში, თანამშრომლობენ პარიზის უნივერსიტეტის

	საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტისა და რომის საპიენსას უნივერსიტეტის სტომატოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტებთან. https://gruni.edu.ge/main/news/1660240132 **2022 წლის 5 ივლისს** გრუნის სტუდენტები ამერიკის მთავრობის გაცვლითი პროგრამების ორი ნაკადის მონაწილეები იყვნენ. პროგრამაში სხვადასხვა სპეციალობის საბაკალავრო პროგრამის 12 სტუდენტი იყო ჩართული. პროგრამა გულისხმობს მენტორის, მრავალწლიანი გამოცდილების მქონე წარმატებული სპეციალისტის, თანამშრომლობას მისივე სპეციალობის სტუდენტთან, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებასა და კონსულტაციის გაწევას, დახმარებას პროფესიულ დაოსტატებაში, პიროვნული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და მომავალი კარიერისათვის უკეთ მომზადებაში. სტუდენტები მენტორებთან ერთი სემესტრის განმავლობაში მუშაობდნენ. https://gruni.edu.ge/main/news/1657102435 **2022 წლის 11-15 ივლისს,** ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს (AUF) ორგანიზებით, ქალაქ ბუქარესტში გაიმართა საერთაშორისო სტუდენტური ფესტივალი. სააგენტოს მიერ გამოცხადებული კონკურსის შედეგებითა და სრული დაფინანსებით ფესტივალზე გაემგზავრა გრუნის ორი სტუდენტი: **ოთო არაბიძე,** ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის მეორე აკადემიური წლის სტუდენტი და **ნანა გელაზონია**, საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის პირველი კურსის სტუდენტი. გრუნის სტუდენტები მონაწილეობდნენ ფესტივალის ფარგლებში გამართულ კონფერენციებსა და სხვა ღონისძიებებში. ამასთან ერთად, მათ თანატოლებს ფრანგულ ენაზე წარუდგინეს თავისი ქვეყანა და მშობლიური უნივერსიტეტი და დიდი მოწონებაც დაიმსახურეს. https://gruni.edu.ge/main/news/1656236748 გრუნის წარჩინებულმა სტუდენტებმა - **მაია კოპაძემ და თამთა აბულაძემ,** წარმატებით დაასრულეს ზამთრის ონლაინსკოლა თურქეთში, აიდინის უნივერსიტეტში. სწავლება ორ კვირას - **2022 წლის 24 იანვრიდან 5 თებერვლის** ჩათვლით, მიმდინარეობდა და ბიზნესისა და საჯარო მმართველობის სტუდენტებისთვის იყო განკუთვნილი. პროგრამის ფარგლებში სტუდენტებმა გაიარეს სასწავლო კურსები: "Brand Management", „Current issue in International Politics". ონლაინსკოლის წარმატებით დასრულების შემდეგ მათ გადაეცათ სერტიფიკატები. სტუდენტების მონაწილეობა აიდნის უნივერსიტეტის ზამთრის ონლაინსკოლაში სრულად დაფინანსდა გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის მიერ, წარჩინებული

	სტუდენტების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში. https://gruni.edu.ge/main/news/1640708761 **2021 წლის 29 ნოემბერს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის დოქტორანტი, ასისტენტი, ნინო საჩალელი, საკონკურსო პირობების წარმატებით გადალახვის შემდეგ, მონაწილეობდა გაიზენჰეიმის (გერმანია) უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ მევენახეობა-მეღვინეობის საერთაშორისო ონლაინ სეზონური სკოლის მუშაობაში. სკოლა დააფინანსა გერმანიის განათლებისა და კვლევის ფედერალურმა სამინისტრომ და მისი მხარდამჭერი იყო გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახური (DAAD). https://gruni.edu.ge/main/news/1642912977 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტის შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.3.6	**უცხოელ პროფესორთა მოწვევა და ელექტრონული პლატფორმის გამოყენება სალექციო კურსების ჩასატარებლად**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ დახურული კითხვარის მეშვეობით ონლაინ გამოიკითხა საერთაშორისო ინტეგრაციის სამსახურის ხელმძღვანელი და დეკანები (9)
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებით, უნივერსიტეტმა შექმნა სრულიად ახალი საგანმანათლებლო პოლიტიკა, რომლის ნაწილია ახალი პარტნიორული ურთიერთობები, რაც, ერთი მხრივ, ეხმარება აკადემიურ პერსონალს, შეიძინოს ახალი გამოცდილება და გააზიაროს საუნივერსიტეტო საზოგადოების წევრებს შორის, მეორე მხრივ, თავად შესთავაზოს საერთაშორისო საზოგადოებას საკუთარი საგანმანათლებლო პროდუქტები და სამეცნიერო რესურსი ახალი ცოდნის შესაქმნელად. **კონკრეტული ღონისძიებები:** **2021 წლის 25 ოქტომბერს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტისა და ამერიკის შშმ პირთა დახმარებისა და მხარდაჭერის კომპანიის - IntellectAbility, ერთობლივი გადაწყვეტილებით, გაიმართა ვებინარი „შშმ პირების ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად გამოყენებული რესურსები“.

ვებინარი ინგლისურ ენაზე წარიმართა და მას უძღვებოდა ორი სპიკერი:

- **დოქტორი კრეიგ ესქიუდი** - კომპანიის - IntellectAbility, პრეზიდენტი, ამერიკის ოჯახის ექიმთა აკადემიის წევრი;
- **დოქტორი გიორგი დუღაშვილი** - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი, ორგანიზაცია "Special Olympics"-ის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სერტიფიცირებული კლინიკური დირექტორი და მისი წარმომადგენელი საქართველოში.

ვებინარის მონაწილეები გაეცნენ იმ კონკრეტულ რესურსებს, რომლებიც დაეხმარება შშმ პირებს ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში და შესაბამისად, შეიძენენ კლინიკურ კომპეტენციას ამ სფეროში. დოქტორმა კრეიგ ესქიუდიმ ვებინარის მონაწილე სამედიცინო პერსონალსა და სტუდენტებს შესთავაზა ონლაინ სასწავლო კურსი: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.
https://gruni.edu.ge/main/news/1635610751

2021 წლის 28 ნოემბერს გრუნის პარტნიორმა, ლონდონის კომპანია „Pensight"-ის წარმომადგენელმა, კემბრიჯის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა და ფორბსის პროექტის - „30 under 30", ერთ-ერთი გამარჯვებულმა - თენგიზ მესხმა, წაიკითხა ლექცია „ვირტუალური ციფრული ტრანსფორმაცია" და უპასუხა სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელთა შეკითხვებს. https://gruni.edu.ge/main/news/1638431573

2021 წლის 9 დეკემბერს, "ჰოლოკოსტის ისტორიის" კურსის სტუდენტებისთვის ონლაინლექცია წაიკითხა ამერიკელმა იურისტმა ა. ოსტროვსკიმ. ლექცია შეეხებოდა მისსავე წიგნს "ცხოვრება გარდაცვლილთა შორის", რომელიც სხვადასხვა პრესტიჟული ჯილდოს მფლობელი და ამ ჟანრში ერთ-ერთი ბესტსელერია. წიგნი შეეხება ჰოლოკოსტის დროს ავტორის ოჯახის ისტორიას, დარბევებსა და ნაცისტების მიერ ებრაელთა განადგურებას.
https://gruni.edu.ge/main/news/1639290299

2021 წლის 23 დეკემბერს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის **"ჰოლოკოსტის ისტორიის"** კურსის სტუდენტებისთვის ონლაინლექცია ჩაატარა ვარშავის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის პროფესორმა, მიხალ ბილევიჩმა. ლექციაზე განიხილეს ჰოლოკოსტის ფსიქოლოგიური ასპექტები. კერძოდ, ჰოლოკოსტის ხსოვნის ადგილების მონახულების ფსიქოლოგიურ ასპექტები, ვიზიტორთა ცნობიერების ამაღლებისა და ჰოლოკოსტის შესახებ განათლების პოლიტიკური კონტექსტი.
https://gruni.edu.ge/main/news/1640615867

სალექციო კურსების ჩასატარებლად, აქტიურად გამოიყენება ნექსუსის,

	GoogleMeet-ის, Zoom-ის ელექტრონული პლატფორმები. **2022 წლის 26 აპრილს** გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის ჩატარდა ონლაინლექცია „უკრაინის კონფლიქტი“, რომელსაც უძღვებოდა ტალინის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ასოცირებული პროფესორი, მეთიუ კრანდალი. ლექციაზე პროფესორმა კრანდალმა მიმოიხილა რუსეთ-უკრაინის ომის სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები; ისაუბრა უკრაინისადმი სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის, ესტონეთის მხარდაჭერის პოლიტიკის შესახებ; შეაფასა შექმნილ ვითარებაში მცირე სახელმწიფოების, კერძოდ, საქართველოსა და მოლდავეთის მდგომარეობა და მოსალოდნელი საფრთხეები და ლექციის მონაწილე პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს გაუზიარა თავისი მოსაზრებები მსოფლიოში შექმნილ ახალ გეოპოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით. https://gruni.edu.ge/main/news/1651292259 მედიცინის აკადემიური პროგრამის სტუდენტებისთვის ჩატარდა საჯარო ლექცია ***თანამედროვე ტექნოლოგიები ქირურგიაში,*** რომელსაც უძღვებოდა გრუნის საპატიო დოქტორი, **ლუდვიგ მაქსიმელიანეს სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი კონრად კარსი (გერმანია).** იგი ჩამოსული იყო საქართველოს კლინიკებში ოპერაციების ჩასატარებლად და უნივერსიტეტთან შემდგომი თანამშრომლობის საკითხების განსახილველად. ლექცია ჩატარდა ონლაინფორმატით, თვალსაჩინო მასალის ინტენსიური გამოყენებით და სტუდენტთა აქტიური მონაწილეობით. დაიგეგმა, რომ შემდეგი ვიზიტის დროს, დაინტერესებულ სტუდენტთა ერთი ჯგუფი, დაესწრება ბატონი კონრადის მიერ ჩატარებულ ოპერაციებს. https://gruni.edu.ge/main/news/1652849321 **2022 წლის 2 მაისს** გრუნის ფსიქოლოგიის პროგრამის სტუდენტებისათვის დაიწყო ლექციების კურსი „ინგლისური - სპეციფიკური მიზნებისათვის“, რომელსაც კატანიის უნივერსიტეტის პროფესორი პაულა კლარა ლეოტა უძღვება. ლექციები ერთ თვეს გასტანს. კატანიის უნივერსიტეტი უკვე ორი წელია გრუნის პარტნიორი საგანმანათლებლო დაწესებულებაა და სწორედ ამ ფარგლებში იქნა მოწვეული კატანოლიელი პროფესორი. სალექციო კურსი ტარდება ონალინ ფორმატში. https://gruni.edu.ge/main/news/1654580908 **2022 წლის 2 ივნისს** ლატვიის უნივერსიტეტის ბიზნესის, მენეჯმენტისა

	და ეკონომიკის ფაკულტეტის პროფესორმა კრისტინე ბერზინამ გრუნის სტუდენტებისათვის ჩაატარა ონლაინლექცია თემაზე: **„ინოვაციები, რომლებიც ავლენენ ცვლილებებს ტურისტების ქცევაში“**. ლექცია ინგლისურ ენაზე მიმდინარეობდა. ლექციას ესწრებოდნენ ბიზნესის და მართვის სკოლის სტუდენტები და პროფესორები, ასევე, მოწვეული სტუმრები. სტუდენტებმა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაცია მიიღეს და დიდი მადლობა გადაუხადეს უცხოელ ლექტორს ამისათვის. https://gruni.edu.ge/main/news/1654582510 **2022 წლის 20 ივნისიდან 25 ივნისის ჩათვლით,** პროგრამა Erasmus + -ის ფარგლებში, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტს სტუმრობდნენ პოლონელი პროფესორები იან კოხონოვსკის უნივერსიტეტიდან. პროფესორმა **ვიოლეტა ადამუს ბიალეკმა** მედიცინის სკოლის სტუდენტებისთვის წაიკითხა ლექციები თემაზე: **კლინიკური მიკრობიოლოგია და სამედიცინო გენეტიკა,** პროფესორმა **ანა დუბალამ** კი ბიზნესისა და მართვის სკოლის სტუდენტებისათვის - **ეკონომიკა და ეკონომიკური პოლიტიკა.**პოლონელმა პროფესორებმა დაათვალიერეს გრუნის კამპუსები, შეხვდნენ სკოლის წარმომადგენლებს. დაიგეგმა სხვადასხვა ერთობლივი პროექტი. https://gruni.edu.ge/main/news/1656650459 **2022 წლის 21 ივნისს** გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, პროფესორ გელა ბანძელაძის სახელობის პროფესიული ეთიკის განვითარების ცენტრში გაიმართა პროფესორ **კრის ესკრიჯის** ლექცია-დისკუსია ***ორგანიზებული დანაშაულობა აშშ-ში.*** https://gruni.edu.ge/main/news/1656403426 საგანმანათლებლო საქმიანობაში თანამედროვე, დასავლური ღირებულებების დამკვიდრება, არის ინსტრუმენტი ახალგაზრდების უკეთესი მომავლის შესაქმნელად. ერთ-ერთი ასეთი პროექტი გახლავთ ინგლისური ენის სწავლების ასისტენტ პროგრამა (ETA), რომელსაც უნივერსიტეტი აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერით ახორციელებს. პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოს უნივერსიტეტებში ინგლისური ენის მაღალი ხარისხით სწავლების ხელშეწყობას. პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტის სტუდენტებთან საგაზაფხულო სემესტრში იმუშავებს ამერიკელი მოხალისე ასისტენტ-მასწავლებელი ბრენდონ ჰარდინგი, რომელიც უკვე ეწვია საქართველოს. https://gruni.edu.ge/main/news/1647526993 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.3.7	**სასწავლო ტურების ორგანიზება ევროპის ქვეყნებში;**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი/ ივლისი, 2022
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა, საკვლევი საკითხის შესასწავლად და შესაფასებლად გამოყენებულ იქნა ონლაინგამოკითხვის მეთოდი (სტრუქტურირებული ინტერვიუ), გამოიკითხა სამიზნე ჯგუფის 21 წევრი. შემოწმდა გრუნის ოფიციალური ვებგვერდი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	**2022 წლის ივნისი.** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ხელშეწყობით, რამდენიმე წელია ხორციელდება მედიცინის სკოლის სტუდენტების სასწავლო ვიზიტი საზღვარგარეთის ქვეყნებში. სტუდენტები მონაწილეობენ პარტნიორი უნივერსიტეტების სასწავლო სემინარებსა და კონფერენციებში, თანამშრომლობენ პარიზის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტისა და რომის საპიენსას უნივერსიტეტის სტომატოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტებთან. https://gruni.edu.ge/main/news/1660240132 **2021 წლის 29 ნოემბერს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის დოქტორანტი, ასისტენტი, ნინო საჩალელი, საკონკურსო პირობების წარმატებით გადალახვის შემდეგ, მონაწილეობდა გაიზენჰეიმის (გერმანია) უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ მევენახეობა-მეღვინეობის საერთაშორისო ონლაინ სეზონური სკოლის მუშაობაში. სკოლა დააფინანსა გერმანიის განათლებისა და კვლევის ფედერალურმა სამინისტრომ და მისი მხარდამჭერი იყო გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახური (DAAD). https://gruni.edu.ge/main/news/1642912977 გრუნის წარჩინებულმა სტუდენტებმა - მაია კოპაძემ და თამთა აბულაძემ, წარმატებით დაასრულეს ზამთრის ონლაინსკოლა თურქეთში, აიდინის უნივერსიტეტში. სწავლება ორ კვირას - **2022 წლის 24 იანვრიდან 5 თებერვლის** ჩათვლით, მიმდინარეობდა და ბიზნესისა და საჯარო მმართველობის სტუდენტებისთვის იყო განკუთვნილი. პროგრამის ფარგლებში სტუდენტებმა გაიარეს სასწავლო კურსები: "Brand Management", „Current issue in International Politics". ონლაინსკოლის წარმატებით დასრულების შემდეგ მათ გადაეცათ სერტიფიკატები. სტუდენტების მონაწილეობა აიდნის უნივერსიტეტის ზამთრის

	ონლაინსკოლაში სრულად დაფინანსდა გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის მიერ, წარჩინებული სტუდენტების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში. https://gruni.edu.ge/main/news/1640708761 უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს პარტნიორებთან, საერთაშორისო ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან „დრონი“ და „გლოუ“. მიმდინარეობს მზადება საერთაშორისო ახალგაზრდული სემინარების გასამართად, რომლებშიც აქტიურად იქნებიან ჩართული გრუნის სტუდენტები. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.4.1	**დამსაქმებლებთან შეხვედრების, მასტერკლასების, საჯარო ლექციების, დასაქმების ფორუმების ორგანიზება**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა რაოდენობრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით ონლაინ გამოიკითხნენ: დასაქმების კოორდინატორი, სკოლების დასაქმების კომიტეტის წევრები, სტუდენტები (24), შეფასდა გაწეული საქმიანობა.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გრუნი ახალგაზრდებს მუდმივად სთავაზობს განვითარების, სტაჟირების, დასაქმების სხვადასხვა პროგრამას, რომელიც, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, მათ პროფესიულ მომზადებას უკავშირდება. კარგ ტრადიციად არის დამკვიდრებული უნივერსიტეტშივე სტუდენტთა სტაჟირებისა და დასაქმების პრაქტიკა. ასევე, სტუდენტთა ყოველკვირეული ინფორმირება სხვადასხვა სექტორში არსებული ვაკანსიების შესახებ. **საანგარიშო პერიოდში გამართული ღონისძიებები:** **2021 წლის 13 ნოემბერს** გაიმართა განათლების საერთაშორისო ონლაინ გამოფენა. გამოფენა ჩატარდა იმ სტუდენტებისთვის, ვინც დაინტერესებულია საზღვარგარეთ სწავლით, სტიპენდიებისა და გრანტების მიღებით, სტაჟირებით, საზაფხულო სკოლებით, მოკლევადიანი კურსებით და სხვადასხვა სასწავლო პროგრამით.

	გამოფენაში მონაწილეობას იღებდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სასწავლებლები. აღნიშნული გამოფენით დაინტერესებულ პირებს მიეცათ უნიკალური შესაძლებლობა, პირისპირ გასაუბრებოდნენ უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებს და მიეღოთ ამომწურავი ინფორმაცია მათთვის საინტერესო ყველა კითხვაზე. https://gruni.edu.ge/main/news/1636365179 2022 წლის 21 იანვარს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ჩატარდა მასტერკლასი თემაზე - როგორ მოვემზადოთ პირველი გასაუბრებისთვის. ტრენინგს უძღვებოდა HR მენეჯერი სალომე გოძელანძე, რომელსაც 10- წლიანი გამოცდილება აქვს ადამიანური რესურსების მართვის სფეროში ტალანტების მოზიდვის, პერსონალის მართვის და HR ადმინისტრაციული პროექტების მენეჯმენტის მიმართულებით. ღონისძიების ფარგლებში, სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ პრაქტიკოსისაგან მოესმინათ რჩევები CV-ის შედგენის სწორი მეთოდოლოგიების, ადამიანური რესურსების მენეჯერებთან კომუნიკაციისა და პირველი გასაუბრების ტაქტიკებისა შესახებ. https://gruni.edu.ge/main/news/1643081707 “პროფესიონალური გუნდი თუ ბიზნესმოდელი“ - ასეთი გახლდათ განსახილველი თემა, რომელიც თიბისი დაზღვევის გენერალურმა დირექტორმა პაატა ღაძაძემ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის სტუდენტებს შესთავაზა. მან სტუდენტებს გაუზიარა პროფესიული გამოცდილების, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით მართვის თანამედროვე პროცესების შესახებ, რომელიც ამარტივებს და ხელმისაწვდომს ხდის მათ პროდუქტს მომხმარებლისთვის. სტუმარმა ასევე გააცნო სტუდენტებს ის ახალი მიმართულებები და პროდუქტები, რომელიც დაზღვევის პროცესების ხარისხის განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორია. https://gruni.edu.ge/main/news/1636681862 **2021 წლის 25 ოქტომბერს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტისა და ამერიკის შშმ პირთა დახმარებისა და მხარდაჭერის კომპანიის - IntellectAbility, ერთობლივი გადაწყვეტილებით, გაიმართა ვებინარი „შშმ პირების ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად გამოყენებული რესურსები“. ვებინარი ინგლისურ ენაზე წარიმართა და მას უძღვებოდა ორი სპიკერი: • **დოქტორი კრეიგ ესქიუდი** - კომპანიის - IntellectAbility, პრეზიდენტი, ამერიკის ოჯახის ექიმთა აკადემიის წევრი; • **დოქტორი გიორგი დუღაშვილი** - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი, ორგანიზაცია "Special Olympics"-ის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სერტიფიცირებული კლინიკური დირექტორი და მისი

	წარმომადგენელი საქართველოში. ვებინარის მონაწილეები გაეცნენ იმ კონკრეტულ რესურსებს, რომლებიც დაეხმარება შშმ პირებს ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში და შესაბამისად, შეიძენენ კლინიკურ კომპეტენციას ამ სფეროში. დოქტორმა კრეიგ ესქიუდიმ ვებინარის მონაწილე სამედიცინო პერსონალსა და სტუდენტებს შესთავაზა ონლაინ სასწავლო კურსს: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. https://gruni.edu.ge/main/news/1635610751 **2021 წლის 28 ნოემბერს** გრუნის პარტნიორმა, ლონდონის კომპანია „Pensight"-ის წარმომადგენელმა, კემბრიჯის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა და ფორბსის პროექტის - „30 under 30", ერთ-ერთი გამარჯვებულმა - თენგიზ მესხმა, წაიკითხა ლექცია „ვირტუალური ციფრული ტრანსფორმაცია" და უპასუხა სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელთა შეკითხვებს. https://gruni.edu.ge/main/news/1638431573 **2021 წლის 9 დეკემბერს,** "ჰოლოკოსტის ისტორიის" კურსის სტუდენტებისთვის ონლაინლექცია წაიკითხა ამერიკელმა იურისტმა ა. ოსტროვსკიმ. ლექცია შეეხებოდა მისივე წიგნს "ცხოვრება გარდაცვლილთა შორის", რომელიც სხვადასხვა პრესტიჟული ჯილდოს მფლობელი და ამ ჟანრში ერთ-ერთი ბესტსელერია. წიგნი შეეხება ჰოლოკოსტის დროს ავტორის ოჯახის ისტორიას, დარბევებსა და ნაცისტების მიერ ებრაელთა განადგურებას. ლექცია საინტერესო და ემოციურად დატვირთული იყო. სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ, უშუალოდ მოესმინათ ჰოლოკოსტის მსხვერპლის შთამომავალის ისტორია და ლექციის შემდეგ კითხვები დაესვათ მისთვის. https://gruni.edu.ge/main/news/1639290299 **2021 წლის 23 დეკემბერს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის **"ჰოლოკოსტის ისტორიის"** კურსის სტუდენტებისთვის ონლაინლექცია ჩაატარა ვარშავის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის პროფესორმა, მიხალ ბილევიჩმა. ლექცია შეეხებოდა ჰოლოკოსტის ფსიქოლოგიურ ასპექტებს. კერძოდ, ჰოლოკოსტის ხსოვნის ადგილების მონახულების ფსიქოლოგიურ ასპექტებს, ვიზიტორთა ცნობიერების ამაღლებასა და ჰოლოკოსტის შესახებ განათლების პოლიტიკურ კონტექტს. https://gruni.edu.ge/main/news/1640615867 **2022 წლის 11 მარტს** ახალგაზრდული ასოციაცია „დრონის" წარმომადგენლებმა, პარტნიორული თანამშრომლობის ფარგლებში, პირველი შეხვედრა გამართეს გრუნის სტუდენტებთან. პროექტების კოორდინატორებმა მარიამ რაფავამ და ავთანდილ ვარდიაშვილმა ახალგაზრდებს გააცნეს პროგრამები, რომლებიც, საშუალებას აძლევს სტუდენტებს უფასოდ ჩაერთონ საერთაშორისო

	პროექტებში, იმუშაონ ევროპის სხვადასხვა ორგანიზაციისთვის, განივითარონ უნარები, აიმაღლონ პროფესიული კომპეტენციები და მიიღონ საერთაშორისო გამოცდილება. განუმარტეს სტუდენტებს, როგორ უნდა შეარჩიონ მათთვის სასურველი პროგრამა, რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს პროექტის მონაწილე, როგორია ფინანსური უზრუნველყოფის პირობები და რა ვადით და რამდენჯერ შეუძლიათ მონაწილეობა შემოთავაზებულ პროექტებში. შეხვედრის ფარგლებში სხვადასხვა ქვეყნიდან სამოხალისეო პროექტებით ჩამოსულმა სტუდენტებმა გრუნის სტუდენტებს თავიანთი გამოცდილება და შეფასებები გაუზიარეს. https://gruni.edu.ge/main/news/1647323422 **2022 წლის 10 მაისს** გრუნიში ბიზნესისა და მართვის სკოლის სტუდენტებისთვის გაიმართა ონლაინშეხვედრა სასტუმრო Radisson Blu Iveria Tbilisi-ის HR დეპარტამენტის ხელმძღვანელთან - **ეკა ლომიძესთან** და სპეციალისტ **ლიზა გეჯაძესთან.** შეხვედრა შეეხებოდა ამერიკის სავაჭრო პალატის მიერ გამოცხადებულ ანაზღაურებად სტაჟირებას მარიოტში, შერატონსა და რედისონში. სტაჟირების მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში სტუმარმასპინძლობის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას და უზრუნველყოს კვალიფიციური პერსონალის, ასევე, სტუდენტების გადამზადება შესაბამისი მოთხოვნების გათვალისწინებით. პროგრამა მოიცავს სტუმარმასპინძლობის საერთაშორისო სტანდარტების სწავლებას და ხორციელდება USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის მხარდაჭერითა და საერთაშორისო ბრენდის სასტუმროებთან თანამშრომლობით. სტაჟირების დროს სტუდენტები მიიღებენ ინსტრუქციას პარტნიორი სასტუმროების საერთაშორისო სერტიფიცირებული ტრენერებისგან. https://gruni.edu.ge/main/news/1652425182 გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის სტუდენტებისთვის ჩატარდა ონლაინშეხვედრა დამსაქმებელთან, სასტუმრო CLOCKS HOTEL TBILISI-ის HR დეპარტამენტის ხელმძღვანელთან - ნინო ჩხვირკიასთან, რომელიც გრუნის ტურიზმის პროგრამის კურსდამთავრებულია. შეხვედრაზე სტუდენტებს შესთავაზეს სასტუმროს რამდენიმე ვაკანსია, რომელთა შესახებაც HR-მა დეტალურად ისაუბრა, განიხილეს ის მოთხოვნები და მოვალეობები, რომლებსაც მოცემული ვაკანსია ითვალისწინებს. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტსა და სასტუმრო CLOCKS HOTEL TBILISI-ს შორის გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც ტურიზმის პროგრამის სტუდენტები გაივლიან პროფესიულ პრაქტიკას სასტუმროში.

https://gruni.edu.ge/main/news/1652969765

გრუნის 19 სტუდენტი სახელმწიფო სტაჟირების საშემოდგომო და საგაზაფხულო ნაკადში, ჩაერთო
https://gruni.edu.ge/main/news/1646394956

გრუნი ორი წელია ახორციელებს ახალ პროექტს - შრომის ბაზარზე არსებული ვაკანსიების შესახებ სტუდენტთა ყოველკვირეულ ინფორმირებას:
https://gruni.edu.ge/main/news/1649260581
https://gruni.edu.ge/main/news/1648185335
https://gruni.edu.ge/main/news/1647505520
https://gruni.edu.ge/main/news/1648879675
https://gruni.edu.ge/main/news/1649932357
https://gruni.edu.ge/main/news/1653366256
https://gruni.edu.ge/main/news/1656060359
https://gruni.edu.ge/main/news/1658839344
https://gruni.edu.ge/main/news/1657821739

საჯარო ლექციები, მასტერკლასები:

2022 წლის 8 ივნისს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის მულტიმედიაცენტრს სტუმრობდა მსახიობი, ტელეკინოგახმოვანების უბადლო ოსტატი, ზვიად დოლიძე. შეხვედრის მიზანი იყო სტუდენტებისათვის ჟურნალისტური ტექსტების გახმოვანების ხელოვნების გაცნობა და დაუფლება. მოწვეულმა სტუმარმა დეტალურად განიხილა ტელებლოგის, მხატვრული სიუჟეტის, დოკუმენტური ფილმის, სარეკლამო რგოლების, კინოანონსის, პოეზიისა და სხვადასხვა შინაარსის სლოგანის გახმოვანების სპეციფიკა. მასტერკლასს, სპეციალური მოწვევით, „თინ აკადემიის“ 2022 წლის გამორჩეული მონაწილე - ნიკოლოზ შოვნაძეც, ესწრებოდა, რომელიც განსაკუთრებული ხმის ტემბრითა და სამსახიობო ოსტატობით გამოირჩევა. შეხვედრის დასასრულს მედიასკოლის სტუდენტებს შორის მცირე კონკურსი ჩატარდა. მასტერკლასზე მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, მომავალმა ჟურნალისტებმა პირდაპირ ეთერში წარმატებით გაახმოვანეს სხვადასხვა ჟანრის მედიატექსტი და სტუმრის მოწონებაც დაიმსახურეს.
https://gruni.edu.ge/main/news/1654841827

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის მულტიმედიაცენტრს საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარი საინფორმაციო გამოშვება „მოამბისა“ და გადაცემა „დღის თემის“ წამყვანი, წარმატებული ჟურნალისტი თამთა სანიკიძე ეწვია. სტუდენტებთან ინტერაქტიულ

	შეხვედრაზე ჟურნალისტმა დეტალურად განიხილა ყალბი ახალი ამბების მომზადების, მათი გამოვლენისა და რთულ პოლიტიზირებულ მედიაგარემოში თვითდამკვიდრების საკითხები, ასევე, თანამედროვე მედიასივრცეში არსებული გამოწვევები.თამთა სანიკიძე მომავალ კოლეგებს თანამედროვე ახალი ამბების მუშაობის სპეციფიკაზეც ესაუბრა, პირადი გამოცდილებაც გაუზიარა და თავადაც გაეცნო გრუნის მულტიმედიაცენტრის პრაქტიკულ სასწავლო პროცესს. საბაკალავრო პროგრამის მე- 2 კურსის სტუდენტებმა სტუმრის თანდასწრებით მოამზადეს ,,კადრსინქრონის" ჟანრის ჟურნალისტური პროდუქტი და მაღალი შეფასებაც დაიმსახურეს. თამთა სანიკიძის განცხადებით, მედიაგარემოს გაჯანსაღება ახალი თაობის ჟურნალისტების სახელმწიფოებრივ აზროვნებასა და პროფესიულ სინდისზეა დამოკიდებული, რაშიც უნივერსიტეტების მედიასკოლები უდიდეს როლს ასრულებენ. https://gruni.edu.ge/main/news/1657512664 გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა სტომატოლოგიის მიმართულების სტუდენტების პროფესიული დაოსტატების მიზნით **2022 წლის 18-19 ივლისს** ჩაატარა მასტერკლასი: *„პირის ღრუს საიზოლაციო სისტემები თანამედროვე სტომატოლოგიაში" (კოფერდამის სისტემები, OptraDam).* უნივერსიტეტის მოწვევით, სწავლებას ხელმძღვანელობდა კომპანია *Ivoclar Academy Tbilisi, ხოლო სასწავლო კურსს უძღვებოდა მედიცინის აკადემიური დოქტორი, საქართველოში ივოკლარის ოპინიონ ლიდერი - ნინო ჯაფარიძე.* https://gruni.edu.ge/main/news/1660326808 **2022 წლის 7 მარტს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის გაიმართა საჯარო ლექცია: „ქალთა მიმართ ჩადენილი ძალადობის სამართლებრივი ასპექტები". ლექციას უძღვებოდა შსს მცხეთა-მთიანეთის დეტექტივ-გამომძიებელი, ვიცე-პოლკოვნიკი იოსებ წერეთელი.ლექციაზე განიხილეს ქალთა მიმართ ჩადენილი ძალადობის ორი ფორმა: ადევნება და სექსუალური შევიწროება. საჯარო ლექციის მიზანია, თითოეული მოქალაქე ფლობდეს ელემენტარულ ცოდნას იმ სამართლებრივი ნორმების შესახებ, რომელიც დაეხმარება მას თავი დაიცვას მოძალადისგან.იოსებ წერეთელმა სტუდენტებთან მიმოიხილა ადევნებისა და სექსუალური შევიწროების სხვადასხვა ფორმა, დაახასიათა მოძალადის ფსიქოპორტრეტი, განუმარტა ახალგაზრდებს, როგორი ქმედება ფასდება ძალადობად და რა მტკიცებულებების საფუძველზე შეიძლება აგოს პასუხი მოძალადემ. https://gruni.edu.ge/main/news/1646891824 **2022 წლის 22 ივნისს** გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში სტუდენტებისთვის საჯარო ლექცია წაიკითხა საქართველოს იუსტიციის

	უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის ხელმძღვანელმა ზურაბ აზნაურაშვილმა. ლექციის თემა იყო ***დამოუკიდებელი ინსპექტორის როლი მოსამართლეთა დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის პროცესში,*** რომლის ფარგლებში განხილულ იქნა: 1. დისციპლინური სამართალწარმოების საფუძვლები; 2. დისციპლინური სამართალწარმოების ეტაპები, გადაცდომისა და სახდელის სახეები; 3. არსებული პრაქტიკის მიმოხილვა და სტატისტიკური ინფორმაცია. https://gruni.edu.ge/main/news/1656066644 **2022 წლის 15 აპრილს** ბიზნესის და მართვის სკოლის მოწვევით სტუდენტებისათვის გაიმართა კომპანია ავტობანის დამფუძნებლის ბაკურ ხუნდაძის საჯარო ლექცია თემაზე "სამეწარმეო კულტურა, კორპორაციული ასპექტები და გაყიდვები." მოწვეული სტუმარი სტუდენტებს ესაუბრა საქართველოში სამეწარმეო კულტურისა და კორპორაციული გაყიდვების შესახებ, ამასთანავე, გააცნო კომპანია ავტობანის მიღწევები. https://gruni.edu.ge/main/news/1651134322 **2022 წლის 28 აპრილს** გრუნის სამეცნიერო კვლევების მართვის ცენტრის ორგანიზებით სამართლის მიმართულების სამივე საფეხურის სტუდენტებისათვის გაიმართა საჯარო ლექცია: „სისხლის სამართლის ახალი დარგობრივი მიმართულებები - მედიცინის სისხლის სამართალი და მედიის სისხლის სამართალი". დისკუსიას უძღვებოდა ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სამართლის დოქტორი, პროფესორი, გერმანული სისხლის სამართლის მკვლევარი, რომლის პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი უკავშირდება გერმანულ საგანმანათლებლო სივრცეს, კერძოდ, იენის უნივერსიტეტს. პროფესორმა მიმოიხილა მედიცინასა და მედიის სფეროს მიკუთვნებული სხვადასხვა დანაშაული და ისაუბრა ცალკეულ შემთხვევებში ქმედების შემადგენლობის, პირის პასუხისგებაში მიცემის საფუძვლების, გადაწყვეტილების მიღების განმაპირობებელი ფაქტორებისა და სხვა საკითხების შესახებ. https://gruni.edu.ge/main/news/1651291740 ## გრუნის ახალი პარტნიორი **2022 წლის 5 აპრილს** გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტმა თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა სტარტაპკომპანიასთან „Pulsar Al". „Pulsar Al"-ი პირველი წარმატებული ქართული კომპანიაა, რომელმაც ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით ფაქტობრივად

	უპრეცედენტო ისტორია შექმნა ავტოინდუსტრიაში გაყიდვების მიმართულებით, რის გამოც ციფრული გაყიდვების გლობალურმა საერთაშორისო ლიდერმა „SpinCar"- მა შეიძინა მისი სრული პაკეტი. მემორანდუმის მიზანია მაღალი კომპეტენციის მქონე კადრების მომზადების ხელშეწყობა, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და ზრუნვა სტუდენტების შემდგომ კარიერულ ზრდა-განვითარებაზე; https://gruni.edu.ge/main/news/1649250155 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.4.2	**დასაქმების კლასტერების შექმნა, რომელიც გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გაერთიანებას დასაქმების სფეროს ნიშნით.**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი/ ივნისი, 2022
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა, მონიტორინგის ჯგუფმა საკვლევი საკითხის შესასწავლად და შესაფასებლად გამოიყენა ონლაინგამოკითხვის მეთოდი (სტრუქტურირებული ინტერვიუ), გამოიკითხა სამიზნე ჯგუფის 11 წევრი. შემოწმდა გრუნის ოფიციალური ვებგვერდი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხვის შედეგად აღინიშნა, რომ გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტმა ჯერ კიდევ 2018 წლის სექტემბერში შექმნა პრეცედენტი და დააფუძნა პირველი დარგობრივი კლასტერი და შემდგომი თანამშრომლობის თაობაზე სამ კომპანიასთან - შპს „ჯორჯიან პროდაქტს რენესანსთან", შპს „ედელინგთან" და შპს „S.R.T"-თან, ოფიციალურად გააფორმა მემორანდუმი. ბიზნესსექტორისა და აკადემიური სფეროს ამგვარი თანამშრომლობა საინტერესო და მნიშვნელოვანია ევროპის ბაზარზე დასამკვიდრებლად და შესაბამისად, თვით ამ გაერთიანების მდგრადობის თვალსაზრისითაც, თუმცა ქვეყანაში განვითარებულმა შემდგომმა მოვლენებმა მნიშვნელოვანწილად შეაფერხა ამ მიმართულებით საქმიანობა. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტმა განაახლა

	მუშაობა ამ საკითხზე და ამუშავებს სრულიად ახალ კონცეფციას, როდესაც კლასტერულ გაერთიანებას დაეფუძნება არა მხოლოდ სტუდენტთა დასაქმება, არამედ სტუდენტთა მხარდაჭერის, სკოლების გაძლიერებისა და სხვადასხვა მიმართულებით გაწეული საქმიანობა. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა ნაწილობრივ.**

აქტივობა 1.4.3	**კურსდამთავრებულთა პლატფორმის შექმნა**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	კოვიდ-19 პანდემიასთან დაკავშირებით, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო. აღნიშნული მიზნის განხორციელებისთვის საჭირო პროცედურები გადაიდო შემდეგი საანგარიშო პერიოდისთვის. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი არ შესრულდა.**

აქტივობა 1.4.4.	**კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევა, ბაზრის მოთხოვნებთან შეუსაბამო კომპეტენციების იდენტიფიცირება და შესაბამისი კორექტირების უზრუნველყოფა**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი/ ივნისი, 2022
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა სწავლის შედეგების შესასწავლად და შესაფასებლად გამოყენებულ იქნა ონლაინგამოკითხვის მეთოდი (სტრუქტურირებული ინტერვიუ) გამოიკითხნენ: კურსდამთავრებულები, დასაქმების კოორდინატორი, სკოლების დასაქმების კომიტეტის პასუხისმგებელი პირები.

კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის, ბაზრის მოთხოვნებთან შეუსაბამო კომპეტენციების იდენტიფიცირებისა და პროგრამებში შესაბამისი კორექტირების შეტანის მიზნით კვლევებთან ერთად უნივერსიტეტში სისტემატურად მიმდინარეობს შეხვედრები დამსაქმებლებთან, პრობლემური საკითხების განხილვა და შესაბამისად, საგანმანათლებო პროგრამებში კორექტირების შეტანა, კერძოდ: საანგარიშო პერიოდში, აღწერის პრინციპის საშუალებით, განხორციელდა საჯარო მმართველობის სფეროში მოქმედი დამსაქმებლების გამოკითხვა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 15-მა დაწესებულებამ. კვლევის შედეგები გადაეცა საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლას. საანგარიშო პერიოდში ბიზნესისა და მართვის სკოლამ დაასრულა მუშაობა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2018 წლის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის გამარჯვებულ საგრანტო პროექტზე - "უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის თანამშრომლობის კვლევა საქართველოში" (FR-18-6156), პროექტის ფარგლებში განხორციელდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის არსებული თანამშრომლობის მდგომარეობის შესწავლა, გამოვლინდა ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის ფორმები და მოდელები. 2022 წელს გამოიცა კვლევა, რომლის მიგნებები რეკომენდაციის სახით მიიღო უნივერსიტეტმა. **2022 წლის 20 დეკემბერს უნივერსიტეტმა უმასპინძლა** 21-მდე კომპანიას, რომლებიც დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს მხარდაჭერით იქნა მოწვეული. შეხვედრაზე მოწვეული იყვნენ სტუდენტები და კურსდამთავრებულებიც, განიხილეს დასაქმების მდგომარეობა, პრობლემები და შემდეგ კომპანიებმა სხვადასხვა ვაკანსია შესთავაზეს ახალგაზრდებს. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.4.5	**შრომის ბაზარზე არსებული ვაკანსიების მყისიერად ინფორმირების სისტემის განვითარება.**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ

კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ სტრუქტურირებული ინტერვიუს მეშვეობით/დახული კითხვებით, შესწავლილ იქნა 38 სტუდენტის მოსაზრება ინფორმირების ოპერატიულობისა და შედეგების თაობაზე. ასევე, შემოწმდა ინფორმირებისათვის გამოყენებული სხვა ფორმები: ვებგვერდი, სოციალური ქსელი და SMS შეტყობინებები.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებით, უნივერსიტეტი სისტემატურად უზრუნველყოფს შრომის ბაზარზე არსებული ვაკანსიებისა და სტაჟირებების შესახებ სტუდენტთა ინფორმირებას. საანგარიშო პერიოდში ყოველკვირეული ინფორმაცია განთავსებულია ვებგვერდზე, ასევე, სოციალურ ქსელში. ყოველკვირეული ინფორმაცია ვაკანსიების შესახებ; https://gruni.edu.ge/main/news/1639463409 https://gruni.edu.ge/main/news/1640667852 https://gruni.edu.ge/main/news/1640019533 https://gruni.edu.ge/main/news/1643082494 https://gruni.edu.ge/main/news/1642490166 https://gruni.edu.ge/main/news/1641970639 **https://gruni.edu.ge/main/news/1649260581** **https://gruni.edu.ge/main/news/1648185335** **https://gruni.edu.ge/main/news/1647505520** **https://gruni.edu.ge/main/news/1648879675** **https://gruni.edu.ge/main/news/1649932357** **https://gruni.edu.ge/main/news/1653366256** **https://gruni.edu.ge/main/news/1656060359** **https://gruni.edu.ge/main/news/1658839344** **https://gruni.edu.ge/main/news/1657821739** ამასთან, უნივერსიტეტი არსებული ვაკანსიების შესახებ თავადაც მოიძიებს ინფორმაციას სხვადასხვა წყაროდან და მყისიერად ინფორმირების მიზნით განათავსებს ვებგვერდის ანონსის ველში. დასაქმების შესახებ ინფორმაციის გაცნობა სტუდენტებს, ასევე, შეუძლიათ გრუნის ოფიციალურ ვებგვერდზე „მიმდინარე ვაკანსიების“ ველში. გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მე -2 კურსის სტუდენტი - ლიზი ჩიმჩიური, საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარი საინფორმაციო გადაცემის - „მოამბის“, სტაჟიორი გახდა. ლიზი საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტმა იმ სამას პრეტენდენტს შორის გამოარჩია, რომლებმაც

	სტაჟირების მოთხოვნით სპეციალური განაცხადი გააკეთეს. გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სტუდენტთან ერთად, ორი წარმომადგენელი შეირჩა კავკასიის და ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტებიდან. https://gruni.edu.ge/main/news/1653456613 გრუნის უნივერსიტეტშივე სტუდენტთა დასაქმებისა და სტაჟირების კარგი პრაქტიკაც გააჩნია. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად**

აქტივობა 1.4.7	**სტუდენტთა შეხვედრების ორგანიზება შემოქმედებით და სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლებთან, საღამოების, სპორტული შეჯიბრებების ორგანიზება**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა საკითხის შესამოწმებლად ონლაინგამოიკითხა 49 სტუდენტი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებით, საანგარიშო პერიოდი იყო მრავალფეროვანი ღონისძიებებით დატვირთული, შემოქმედებითი და შემეცნებითი, როგორც სტუდენტებისთვის, ისე მოსწავლეებისათვის, მოიცავდა კულტურულ-საგანმანათლებლო, საქველმოქმედო და ამავდროულად, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. გრუნის სტუდენტებმა, უნივერსიტეტის მხარდაჭერით, მიმდინარე სასწავლო წელს არაერთ წარმატებასაც მიაღწიეს. **კონკრეტული ღონისძიებები:** **2021 წლის 12 ოქტომბერს** გაიმართა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და ახალგაზრდა მკვლევრების, დოქტორანტების შეხვედრა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორთან, პროფესორ ჯაბა სამუშიასთან. გენერალურმა დირექტორმა შეხვედრის მონაწილეებს გააცნო ფონდის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები, ისაუბრა მიმდინარე და სამომავლო სახელმწიფო საგრანტო სამეცნიერო კონკურსების, საერთაშორისო პროგრამებისა და მეცნიერების განვითარების თანამედროვე გამოწვევების შესახებ. აკადემიურ პერსონალს გაუზიარა ფონდის მიერ შემუშავებული პროექტების შეფასების ახალი

	კრიტერიუმები და მოისმინა მოსაზრებები. https://gruni.edu.ge/main/news/1635226755 **2021 წლის 18 ოქტომბერს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში გაიმართა ბავშვის უფლებათა კოდექსის სახელმძღვანელო კომენტარების პრეზენტაცია. კომენტარები გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის წევრის, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ლექტორის სოფო კილაძისა და პროფესორ პაატა ტურავას ერთობლივი ნაშრომია, რომელიც ხელს შეუწყობს კოდექსის სწორად გაგებასა და გამოყენებას, ამასთანავე, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს კოდექსის ნორმების პრაქტიკაში დამკვიდრების საქმეში, დაეხმარება ბავშვის უფლებების სწავლების პროცესს და სამეცნიერო კვლევებს ამ სფეროში. https://gruni.edu.ge/main/news/1634814535 გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს უკვე მეორე ჩემპიონი ჰყავს! ბიზნესადმინისტრირების მიმართულების სტუდენტმა გიორგი შერაზადიშვილმა იტალიის ქალაქ ოლბიაში მიმდინარე ძიუდოს ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში რუსი ადამ ცეჩოევი დაამარცხა და 81 კგ. წონით კატეგორიაში ოქროს მედალი მოიპოვა. შერაზადიშვილმა მეორე წრეში მექსიკელ ხავიერ როსასს, ბოსნიელ მუსტაფა ჰებიბს, ყაზახ აიან ბაიგაზის და უკრაინელ არტიომ ბუბირს სძლია და მსოფლიო ჩემპიონი გახდა! https://gruni.edu.ge/main/news/1633759455 **2021 წლის 28 ოქტომბერს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში სტუდენტთა ლიტერატურულ-პუბლიცისტური კრებულის - "დებიუტი", მეხუთე წიგნის წარდგინება გაიმართა, რომელიც მწერლის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის გრიგოლ რობაქიძის დაბადების დღეს მიეძღვნა. სტუდენტთა ლიტერატურულ-პუბლიცისტური კრებული "დებიუტი" 2016 წლიდან გამოიცემა და ნიჭიერი შემოქმედი ახალგაზრდების გამოვლენას, მხარდაჭერასა და წახალისებას ისახავს მიზნად. მეხუთე კრებულში წარმოდგენილია როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლების სტუდენტთა პოეტური, პროზაული, პუბლიცისტური ნამუშევრები და თარგმანები. წიგნში ასევე ჩართულია თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა ფერწერული ნამუშევრები. მეხუთე კრებულმა 40-მდე ავტორი გააერთიანა, მთლიანობაში კი პროექტმა 250-ზე მეტი ახალგაზრდა ერთმანეთს გააცნო და ერთ გუნდად შეკრა. ღონისძიების ფარგლებში, ასევე, გაიმართა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა ფერწერული ნამუშევრების გამოფენა და პროექტ "დებიუტის" ფარგლებში დაბეჭდილი მხატვართა კატალოგის პრეზენტაცია.კრებულში გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტის გიორგი ცერცვაძის

	პუბლიცისტური ნაშრომიც დაიბეჭდა. https://gruni.edu.ge/main/news/1635752946 **2021 წლის 14 დეკემბერს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა დაასრულა ადამიანის უფლებათა დაცვის კვირეულის ფარგლებში მოსწავლეებისათვის გამართული კონკურსი: „მულტირელიგიური საქართველო“. კონკურსის მიზანი იყო მულტიკულტურულ და მულტირელიგიურ გარემოში თანაცხოვრების კულტურის, შემწყნარებლობისა და ტოლერანტობის, ადამიანის უფლებათა დაცვის მნიშვნელობისა და ამ სფეროში არსებული გამოწვევების შესახებ ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება, მათი მოქალაქეობრივი პოზიციის გაცნობა და წახალისება. კონკუსში მონაწილეობდნენ: თბილისის, ოზურგეთის, ლაგოდეხის, ზუგდიდის, ხულოს, თელავის, ჩოხატაურის, ფოთის, მუხრანის, თიანეთისა, აკეთისა და გორის საჯარო და კერძო სკოლების მე-11, მე-12 კლასების მოსწავლეები. საკონკურსო კომისიამ გამოავლინა გამარჯვებულები, რომლებმაც საუნივერსიტეტო გრანტი მიიღეს: **I ადგილი - 40%-იანი სასწავლო გრანტი;** **გიორგი მორჩილაძე,** აკეთის საჯარო სკოლა, მე-12 კლასი; **II ადგილი - 30%-იანი სასწავლო გრანტი** **ვატო მამფორია -** თბილისის „ახალი ქართული გიმნაზია“, მე-11 კლასი; **ნიკა კობერიძე -** თბილისის „ახალი ქართული გიმნაზია“, მე-11 კლასი; **III ადგილი - 20%-იანი სასწავლო გრანტი** **ზვიად ქაძანაია** - ზუგდიდის N1 საჯარო სკოლა, მე-12 კლასი; **ალექსანდრე ბერაია** - ზუგდიდის N1 საჯარო სკოლა, მე-12 კლასი; **თათია ინჯგია** - გორის მესამე საჯარო სკოლა, მ-11 კლასი; **მერი ასლანოვა** - თბილისის 169-ე საჯარო სკოლა, მე-12 კლასი; **მეა ირემაძე** - ოზურგეთის, დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლა, მე-11 კლასი; https://gruni.edu.ge/main/news/1639559099 **2021 წლის 26 დეკემბერს** კონსერვატორიის დიდ დარბაზში ჩატარდა ***მეცნიერების კირეული - 2021 - ის*** დასკვნითი ღონისძიება, სადაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ***ნუნუ მიცკევიჩმა*** პროექტის შედეგები შეაჯამა და დაასახელა კონკურსის -„***დისერტაცია თეზისი 3 წუთში***“, გამარჯვებული დოქტორანტები: I ადგილი: ანა გვარამაძე – **გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი** II ადგილი: მარიამი რუსიტაშვილი – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი III ადგილი: სალომე ბესტაევა – **გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი.** https://gruni.edu.ge/main/news/1640667022

	2021 წლის 25 დეკემბერს გრუნის თვითმმართველობის ინიციატივითა და ადმინისტრაციის მხარდაჭერით, ტრადიციისამებრ, სტუდენტებმა საშობაო-საახალწლო საქველმოქმედო აქცია მოაწყვეს. მათ მოხუცებულებს დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცეს და ნუგბარი, ტკბილეული და საჩუქრები მიართვეს პანსიონში, რომელიც 2014 წელს გაიხსნა უწმინდესის ლოცვა-კურთხევით. https://gruni.edu.ge/main/news/1642313897 **2021 წლის 11 დეკემბერს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში ადამიანის უფლებათა დაცვის საუნივერსიტეტო კვირეულის ფარგლებში გაიმართა სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია „ადამიანის უფლებები მულტირელიგიურ საქართველოში". კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ გრუნისა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტების სამართლის, საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის სამივე საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტები. სტუდენტებმა ისაუბრეს ჩვენი ქვეყნის რელიგიური მრავალფეროვნების, ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციისა და სხვადასხვა კონფესიათა მშვიდობიანი თანაცხოვრების შესახებ, დაიმოწმეს საინტერესო ფაქტები ისტორიიდან, შეაფასეს დღევანდელი ვითარება და წარმოადგინეს თავიანთი მოსაზრებები ყოველივე ამის შესახებ. თითოეული მოხსენება ეფუძნებოდა სიღრმისეულ მსჯელობას, ანალიზსა და ჩატარებულ კვლევას, სტუდენტების მიერ გამოითქვა საინტერესო რეკომენდაციებიც. https://gruni.edu.ge/main/news/1639723116 **2022 წლის 28-29 იანვარს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა ქუთაისისა და ტყიბულის მოსწავლეებს უმასპინძლა. შეხვედრები ტყიბულის განვითარების ფონდისა და ქუთაისის ამერიკული კუთხის მეშვეობით გაიმართა. ორივე ორგანიზაციაში ამ რეგიონების წარმატებული მოსწავლეები არიან გაერთიანებული, რომლებიც სწავლასთან ერთად სხვადასხვა, მათ შორის, ამერიკის საელჩოს „access" პროგრამებში მონაწილეობენ. შეხვედრა მიზანად ისახავდა მათი პროფესიული არჩევანის ხელშეწყობასა და გრუნის გაცნობას. https://gruni.edu.ge/main/news/1643819416 **2022 წლის 16 იანვარს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა ორგანიზაცია „გლოუს" (გოგონები – ჩვენი მსოფლიოს ლიდერები) მოსწავლეებს უმასპინძლა. შეხვედრა ონლაინფორმატით გაიმართა და მასში სხვადასხვა რეგიონიდან 30-მდე ლიდერული თვისებებით გამორჩეული და წარჩინებული მოსწავლე მონაწილეობდა. შეხვედრა მიზნად ისახავდა მოსწავლეების პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობასა და გრუნის გაცნობას. https://gruni.edu.ge/main/news/1642489382

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის პროგრამის სტუდენტთა ინიციატივით გამოიცა სტუდენტთა ესეების კონკურსის მასალები. მზადდება გამოსაცემად სტუდენტთა ნაშრომების მესამე კრებული,.
https://gruni.edu.ge/main/news/1642488403
კერძო სკოლა „ლომისის“ მოსწავლეებმა გრუნისთან დამეგობრების სურვილი გამოთქვეს. ინიციატივა ეკუთვნის სკოლის მოსწავლეთა კლუბს „კარდუ“. იმის გათვალისწინებით, რომ ტერმინი „კარდუ“ გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებასთან ასოცირდება, მოსწავლეებმა კლუბის დაარსების 4 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში დაგეგმეს გრუნის, მისი სტუდენტებისა და სასწავლო გარემოს გაცნობა. 19 თებერვალს კი მოსწავლეებს უნივერსიტეტმა უმასპინძლა. სტუდენტებმა და მოსწავლეებმა ერთობლივი პროექტი - დებატები - განახორციელეს. მოსწავლეების ორმა გუნდმა განსახილველად გამოიტანა გეორგიევსკის ტრაქტატი და ერეკლე II-ის გადაწყვეტილება. დებატებს აფასებდნენ: სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი ნოდარ თოთაძე და უნივერსიტეტის საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის III კურსის სტუდენტი - ლილი სალაძე. მოსწავლეებმა საინტერესოდ წარმოადგინეს განსახილველი თემა და ამ საკითხების კარგი ცოდნა გამოავლინეს. ყველა მონაწილეს გადაეცა უნივერსიტეტის სამახსოვრო საჩუქრები
https://gruni.edu.ge/main/news/1645687553

2022 წლის 18 თებერვალს გრუნის ბიბლიოთეკამ სტუდენტთა შემოქმედებითი კრებულის გამოსაცემად გამოაცხადა ნაშრომების (პროზა, პოეზია, თარგმანი) მიღება. კრებული გამოიცემა წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. https://gruni.edu.ge/main/news/1645196040

2022 წლის 18 თებერვალს გაიმართა რუსთავი მე-5 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან გაცნობითი ხასიათის ონალინშეხვედრა. https://gruni.edu.ge/main/news/1645864805

გრუნის სტუდენტურმა თვითმმართველობამ ქალთა დღის მილოცვა განსხვავებული, ორიგინალური ფორმით გადაწყვიტა. მათ ერთი ბედნიერი დღე აჩუქეს იმ ქალბატონებს, ვინც ყოველდღიურად ზრუნავს ჩვენი ქალაქის იერსახისთვის. 8 მარტს სტუდენტებმა ჩაიცვეს ფორმები და მეეზოვე ქალბატონების ნაცვლად დაალაგეს თბილისის ქუჩები, https://gruni.edu.ge/main/news/1646837654

2022 წლის 24 მარტსა და 2 აპრილს უნივერსიტეტის ატრიუმში, სტუდენტური კინოკლუბის ორგანიზებით, პანდემიის შემდეგ პირველად, გაიმართა კინოჩვენება გრუნის ადგილობრივი და უცხოელი სტუდენტებისათვის. მოთხოვნა იმდენად დიდი იყო, რომ რამდენიმე სეანსის ორგანიზება გახდა საჭირო. კინოკლუბის

	ორგანიზებით ასეთი ჩვენებები კვლავ გაგრძელდება. https://gruni.edu.ge/main/news/1649130635 ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტომ უნივერსიტეტის ერთი სტუდენტი - ოთარ არაბიძე, მიავლინა ფრანკოფონი სტუდენტების საერთაშორისო ფესტივალზე, რომელიც გაიმართება ქალაქ ბუქარესტში **2022 წლის 11-15 ივლისს.** შერჩეული კანდიდატის სრული ხარჯები დაფინანსდება სააგენტოს მიერ. https://gruni.edu.ge/main/news/1649130635 საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის (SOA) ინიციატივით, 2022 წლის 25-28 მარტს, ბაკურიანში, პროექტის - ***სტუდენტური ბანაკი - 2022*** - ფარგლებში ჩატარდა ამ ორგანიზაციის წევრი უნივერსიტეტების სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელთა შეკრება. ღონისძიებაზე მიწვეული იყო გრუნის თვითმმართველობის ხელმძღვანელობაც, რომელმაც საკუთარი ინიციატივები წარუდგინა და გაუზიარა გამოცდილება მეგობარ უნივერსიტეტებს. შეკრების მუშაობაში მონაწილეობდნენ გრუნის თვითმმართველობის პრეზიდენტი გიორგი ნიორაძე, ვიცე-პრეზიდენტი გუგა ოსიტაშვილი და თვითმმართველობის წევრი თიკო ხატოიანი https://gruni.edu.ge/main/news/1649130976 გაზაფხულის დადგომისთანავე, სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, უნივერსიტეტის ეზოში, სტუდენტური ფართი ჩატარდა. ღონისძიებაში მონაწილეობდა ყველა სკოლის სტუდენტი. იყო მუსიკა, გართობა, სიმღერა. პანდემიის შემდეგ ეს პირველი გასართობი ღონისძიება იყო სტუდენტებისთვის და გამორჩეულად ამაღლებული განწყობით ჩატარდა. განსაკუთრებით დაუვიწყარი იყო ის პირველკურსელებისთვის, რომლებმაც, როგორც აღნიშნეს, ახლა იგრძნეს სტუდენტური ცხოვრების რომანტიკა. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ეს საღამო სხვა კურსის სტუდენტებისთვისაც, მათ, ისე როგორც მსოფლიოს სტუდენტობამ, ბოლო ორი წელი პანდემიის პირობებში გაატარეს. https://gruni.edu.ge/main/news/164982284 სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერით 2022 წლის 16 აპრილს მოეწყო ექსკურსია კახეთში. სტუდენტებმა დაათვალიერეს კახეთის ღირსშესანიშნაობები, ისტორიული ძეგლები, შეხვდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, გაეცნენ რეგიონის ისტორიას და

	თანამედროვე მიღწევებს ეკონომიკისა თუ კულტურის სფეროში.ბოლოს, სტუდენტებმა თავისი შემოქმედებითი უნარების დემონსტრირება მოახდინეს. https://gruni.edu.ge/main/news/1650710818 **2022 წლის 14 აპრილს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს სტუმრობდა ესტონეთის ელჩი საქართველოში რიინა კალიურანდი. ელჩმა დაათვალიერა უნივერსიტეტის სასწავლო გარემო და ლაბორატორიები - კრიმინალისტიკა და მულტიმედიაცენტრი, გაესაუბრა პროფესორ-მასწავლებლებს და მოისმინა ინფორმაცია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ. ნანახმა ელჩზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ელჩს მეგზურობას უწევდნენ უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი მამუკა თავხელიძე და რექტორის მრჩეველი ანა აბესაძე. შეხვედრის დასასრულს რიინა კალიურანდმა სტუდენტებისთვის წაიკითხა ლექცია ევროინტეგრაციისა და მსოფლიოში შექმნილი ახალი გეოპოლიტიკური ვითარების შესახებ. ისაუბრა ევროკავშირში ესტონეთის გაწევრიანებისა და საქართველოსა და უკრაინის მიმართ მიმდინარე პროცესის შესახებაც. უპასუხა სტუდენტების შეკითხვებს. https://gruni.edu.ge/main/news/1650434147 **2022 წლის 14 აპრილს,** ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს (AUF) ინიციატივით და სტუდენტური თვითმმართველობის მხარდაჭერით, რეგიონული პროექტის „დავრგოთ ხეები მდგრადი განვითარების სასარგებლოდ“ - ***“Plantons des arbres pour un developpement durable“*** ფარგლებში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში ჩატარდა ღონისძიება - პერფორმანსი. სტუდენტებმა ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს (AUF) წარმომადგენლებთან: თამარ ღარიბაშვილთან და საბინა ფაგესთან ერთად უნივერსიტეტის ეზოში დარგეს ხეები, ღონისძიების დასასრულს კი განიხილეს სამომავლო თანამშრომლობის საკითხები და პროექტები. https://gruni.edu.ge/main/news/1650456256 საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის მოეწყო შემეცნებითი ტური ძველ თბილისში. წინასწარ შერჩეული მარშრუტის მიხედვით, ახალგაზრდებმა ძველ თბილისში დაათვალიერეს კულტურული და ხუროთმოძღვრული ძეგლები და ესტუმრნენ ორ მნიშვნელოვან ლოკაციას: ქართული იარაღის განახლებულ მუზეუმსა და ნარიყალას ციხესიმაგრის ფრაგმენტის კვლევის შედეგად გახსნილ

	ახალ სამუზეუმო სივრცეს. https://gruni.edu.ge/main/news/1653722147 **2022 წლის 8 მაისს** მსოფლიო გაერთიანდა ადამიანთა სიცოცხლის გადასარჩენად და მოეწყო საქველმოქმედო გარბენი - **გავხადოთ ზურგის ტვინის დაზიანება განკურნებადი.** საქართველოს უნივერსიტეტებს შორის გრუნი ერთადერთი აღმოჩნდა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ამ აქციაში და საკუთარი წვლილი შეიტანა ამ კეთილ საქმეში. ადმინისტრაციამ სრული მხარდაჭერა გამოხატა სტუდენტების მიმართ და გარკვეული თანხაც გადაირიცხა ფონდში. გარბენში მონაწილეობა მიიღო 15 სტუდენტმა, რომელსაც ლიდერობდა რუსკა ქარქაშაძე. მის მიერ შემუშავებული სტრატეგიით თითოეული სტუდენტის შედეგი გაუტოლდა 5-6 კილომეტრს. https://gruni.edu.ge/main/news/1653105361 რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებიდან დღემდე გრუნის სტუდენტური თვითმმართველობა აქტიურადაა ჩართული უკრაინის მოსახლეობის მხარდამჭერ ღონისძიებებში.**2022 წლის 5** ივნისს კახეთში გაიმართა მარათონი: "გარბენიუკრაინისთვის".სპორტულ ღონისძიებაში გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მხარდაჭერით გრუნის ყველა მიმართულების სტუდენტი მონაწილეობდა.ასპარეზობაში მონაწილეობა ფასიანი იყო, შეგროვილი თანხა უკრაინის ფონდში გადაირიცხა. https://gruni.edu.ge/main/news/1675746783 **2022 წლის 4 ივნისს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ინიციატივითა და ორგანიზებით, ონლაინ ფორმატით ჩატარდა სტუდენტთა შემოქმედებითი საღამო "ლექსო, არ დაიკარგები...", რომელშიც, ძირითადად, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის პროგრამის სტუდენტები მონაწილეობდნენ. სოლიდარობის ნიშნად, სტუდენტებმა საღამო უკრაინული სიმღერით გახსნეს და შემდგომ წაიკითხეს ლექსები კონსტანტინე გამსახურდიას, გალაქტიონ ტაბიძის, მურმან ლებანიძის, შოთა ნიშნიანიძის შემოქმედებიდან, შექსპირის სონეტები, ვეფხისტყაოსნის ტაეპები ქართულად და ინგლისურად. https://gruni.edu.ge/main/news/1654705635 მსოფლიო ჩემპიონმა ძიუდოში (81 კგ. წონითი კატეგორია) და გრუნის ბიზნესადმინისტრირების მიმართულების სტუდენტმა - გიორგი შერაზადაშვილმა, კვლავ გვასახელა. 2022 წელს პოლონეთში გამართულ ევროპის უნივერსიადაში ის გრუნის სახელით ასპარეზობდა და ძიუდოში პირველი ადგილი და ოქროს მედალი მოიპოვა. ევროპის უნივერსიადაზე გასამგზავრებლად შესარჩევი ტურნირი 2021 წელს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს შორის გაიმართა, საუკეთესო შედეგი გიორგი შერაზადაშვილმა აჩვენა და მოიპოვა კიდეც მონაწილეობის უფლება. უნივერსიტეტი ულოცავს ამ გამარჯვებას გიორგის და უსურვებს კიდევ არაერთხელ ესახელებინოს საქართველო და მშობლიური უნივერსიტეტი.

	https://gruni.edu.ge/main/news/1659287857 2022 წლის ივნისში მედიცინის მიმართულების სტუდენტთა 15-კაციანი ჯგუფი იტალიაში გაემგზავრა. პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო ვერ მოხერხდა ვიზიტი საპიენსასU უნივერსიტეტში, რომელთანაც ჯერ კიდევ 2019 წელს დაიდო ხელეკრულება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, მაგრამ იტალიაში მოგზაურობის დროს სტუდენტებმა მოინახულეს ვატიკანის მუზეუმი და სიქსტის კაპელა, კოლიზეუმი, ეწვივნენ მილანის მუზეუმებს, მოინახულეს ვენეცია და სხვ. https://gruni.edu.ge/main/news/1660240132 გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი წლების განმავლობაში ნაყოფიერად თანამშრომლობს ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოსთან (AUF). სააგენტოს მიერ გამოცხადებული კონკურსის შედეგებით, **2022 წლის 11-15 ივლისს,** სააგენტოს (AUF) სრული დაფინანსებით, გრუნის ორი სტუდენტი - **ოთო არაბიძე,** ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის მეორე აკადემიური წლის სტუდენტი და **ნანა გელაზონია**, საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის პირველი კურსის სტუდენტი - გაემგზავრება ქალაქ ბუქარესტში (რუმინეთი) ფრანკოფონიის საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად. https://gruni.edu.ge/main/news/1656236748 გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტმა და მისმა პარტნიორმა - ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ „დრონი“, ესპანეთში, სეგოვიაში, სემინარზე მიღებული გამოცდილების შემდეგ დაიწყეს „ახალგაზრდების გაძლიერების კამპანია“, რომლის პირველი ონლაინ შეხვედრა მოსწავლეებთან გაიმართა 2022 წლის 3, 10 ივნისს. გრუნის რექტორის მრჩეველმა, ანა აბესაძემ და დრონის საერთაშორისო პროექტების კოორდინატორმა, ავთანდილ ვარდიაშვილმა ახალგაზრდებთან განიხილეს „მიზნის მიღწევის ხელოვნება“. კამპანიის ბენეფიციარები იყვნენ მე-9 - მე-12 კლასის მოსწავლეები, კერძოდ: აშშ-ის საელჩოს ინგლისური ენის შესწავლის ხელმისაწვდომობის სასტიპენდიო პროგრამის მონაწილეები იმერეთიდან და რაჭიდან, გლოუ საქართველოს საზაფხულო პროგრამის „გოგონები ჩვენი მსოფლიოს ლიდერების“ მონაწილეები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან და ზუგდიდის ამერიკული კუთხის მოხალისეები. ვებინარის ფარგლებში, სპიკერებმა განიხილეს მიზნის ცნება და მისი მნიშვნელოვნება, ისევე როგორც, მიზნის მიღწევის ეფექტური ტექნიკა. მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ მიზნების სწორად ფორმულირების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და წარმატებული „SMART” მეთოდის მაგალითზე, ჩამოეყალიბებინათ საკუთარი მიზნები უფრო კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, რელევანტური და დროში გაწერილი სახით. https://gruni.edu.ge/main/news/1655115794

	გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ახალი პროექტი გარემოსდაცვით საკითხებს ეხება და ითვალისწინებს მსოფლიოს ბავშვების რჩევებისა და მოსაზრებების ჩართვას ზოგადი კომენტარი 26-ის შემუშავებაში. აღნიშნული დოკუმენტი განმარტავს, რა უნდა გააკეთონ მთავრობებმა მთელს მსოფლიოში, რათა უზრუნველყონ ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის სუფთა, მწვანე, ჯანსაღი და მდგრადი სამყარო. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს საქართველოს ბავშვების მონაწილეობას ამ პროცესში. **2022 წლის 17 ივნისს** უნივერსიტეტში გაიმართა საქართველოს მოსწავლეების შეხვედრა გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტის ხელმძღვანელებთან და საქართველოს სასამართლო და გარემოს დაცვის საკითხებზე მომუშავე სტრუქტურების წარმომადგენლებთან. შეხვედრაში მონაწილეობდნენ თბილისის, რუსთავის, ტყიბულის, აბაშის, ზესტაფონის, ლანჩხუთის, ახალციხის, მცხეთის, წეროვანის, კასპის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეები, დირექტორები და პედაგოგები. მოსწავლეებს მიესალმნენ: • მიკიკო ოტანი- გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე; • ფილიპ გორი- იუნისეფის ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონალური დირექტორის მოადგილე; • მერაბ ტურავა - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე; • მამუკა თავხელიძე- გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის რექტორი. შეხვედრა ორ სესიად გაიმართა: ბავშვის უფლებები და გარემო საერთაშორისო დონეზე, ბავშვის უფლებები და გარემო ეროვნულ დონეზე. https://gruni.edu.ge/main/news/1655703612 **ზოგადი კომენტარი 26** - ასე ეწოდება გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტის ახალ პროექტს, რომელიც განმარტავს რა უნდა გააკეთონ მთავრობებმა მთელს მსოფლიოში, რათა უზრუნველყონ ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის სუფთა, მწვანე, ჯანსაღი და მდგრადი სამყარო. კომიტეტს სურს ჩართოს მსოფლიოს ბავშვები ამ პროექტის მომზადებაში, მოისმინოს მათი რჩევები, რომლებიც აისახება იუნისეფის ზოგად კომენტარებში. გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტთან თანამშრომლობას და პროექტში საქართველოს ბავშვების ჩართვას ახორციელებს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი. ამ მიზნით მიმდინარე წლის 28 მაისს გაიმართა გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტის წევრის, გრუნის მოწვეული ლექტორის - სოფიო კილაძის, შეხვედრა საქართველოს ბავშვებთან. შეხვედრაზე სოფიო კილაძემ

	მოსწავლეებთან ზოგადად მიმოიხილა ბავშვის უფლებების დაცვის სამართლებრივი ასპექტები - საერთაშორისო კონვენცია და ბავშვის უფლებათა კოდექსი, გააცნო მათ ბავშვის უფლებების კომიტეტის საქმიანობა, დეტალურად ისაუბრა ზოგადი კომენტარები-26-ისა და ამ საერთაშორისო პროექტში საქართველოს ბავშვების მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ. მოსწავლეებს განუმარტა პროექტში ჩართვის პროცედურული საკითხები და შემდგომი აქტივობები, უპასუხა მათ შეკითხვებს. მოსწავლეებს 30 ივნისამდე აქვთ ვადა თავიანთი რჩევები და მოსაზრებები მიაწოდონ ბავშვის უფლებების კომიტეტს, შემაჯამებელი შეხვედრა - სემინარი კი გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტის ხელმძღვანელებთან და წევრებთან გაიმართება მიმდინარე წლის 17 ივნისს. https://gruni.edu.ge/main/news/1653887720 სამეცნიერო კონფერენციის მნიშვნელოვნება განუზომლად დიდია სტუდენტების პროფესიული ზრდა-განვითარებისათვის. ამ თვალსაზრისით ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საგანამანათლებლო პროგრამის სტუდენტები ყოველთვის გამოირჩევიან. **2022 წლის 14 მაისს,** ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის პროგრამის სტუდენტთა ინიციატივით გამართული სამეცნიერო კონფერენცია პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღეს მიეძღვნა. კონფერენციის მუშაობაში უნივერსიტეტ „ალტეს“ სტუდენტები და მეგობარი მოსწავლეები - გიორგი მორჩილაძე და თამარ აქუბარდიაც მონაწილეობდნენ.მედიის როლი განსაკუთრებით აქტუალურია დემოკრატიის გზაზე მდგარ საქართველოში. ამიტომაც წლევანდელი კონფერენცია ამ საკითხებზე მსჯელობას დაეთმო. https://gruni.edu.ge/main/news/1652962949 გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლა განაგრძობს ვებინარების ციკლს ქვეყანაში მიმდინარე აქტუალური პოლიტიკური პროცესებისა თუ მსოფლიოს ახალი გეოპოლიტიკური ვითარების შესახებ. ვებინარებზე გამართული დისკუსია აფართოებს სტუდენტების თვალსაწიერსა და ეხმარება მათ გააკეთონ სწორი აქცენტები სახელმწიფო მმართველობისა თუ პოლიტიკური პროცესების შესახებ. **2022 წლის 01 აპრილს გაიმართა** ვებინარი თემაზე: *საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის კომპეტენციები საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში.* ვებინარის ფარგლებში მოხსენება გააკეთა პროფესორმა გიორგი მირიანაშვილმა, რომელმაც ისაუბრა პრეზიდენტისა და მთავრობის საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებზე და მათი განხორციელების

	კონსტიტუციურ ფარგლებზე. პროფესორმა მიმოიხილა საქართველოს კონსტიტუციის რელევანტური ნორმები ინტერპრეტაციის სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით. https://gruni.edu.ge/main/news/1649063574 **2022 წლის 07 აპრილს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის ორგანიზებით გაიმართა ვებინარი თემაზე: ***ინტერესთა შეუთავსებლობის რეგულირება საჯარო სამსახურში“***.ვებინარის ფარგლებში, მოხსენება გააკეთა პროფესორმა თეა სამჭკუაშვილმა, რომელმაც ისაუბრა საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის თავიდან აცილების, გამოვლენის, აღკვეთის რეგულირების სამართლებრივი საფუძვლების შესახებ. პროფესორმა მიმოიხილა ინტერესთა შეუთავსებლობის არსი, ყურადღება გაამახვილა ინტერესთა შეუთავსებლობის სუბიექტებზე, ინტერესთა შეუთავსებლობის წარმოშობის შესაძლო რისკებზე, მის ფორმებსა და ინტერესთა შეუთავსებლობის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმებზე. ვებინარში სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან ერთად მონაწილეობდნენ საჯარო მოხელეები. https://gruni.edu.ge/all_news/index/600 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.4.8	**სტუდენტთა ინიციატივების წახალისება-სტარტაპების სისტემის დანერგვა**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი/ ივლისი, 2022
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა, დოკუმენტების ანალიზი. სწავლის შედეგების შესასწავლად და შესაფასებლად გამოყენებულ იქნა ონლაინგამოკითხვის მეთოდი (სტრუქტურირებული ინტერვიუ) და დოკუმენტური ანალიზის მეთოდი. გამოიკითხა სტუდენტური თვითმმართველობის წევრები, შემოწმდა გრუნის ოფიციალური ვებგვერდი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	კვლევით დადგინდა, რომ საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი ინიციატივების ფონდმა სტუდენტური თვითმმართველობის, ცალკეული სტუდენტისა თუ

	აკადემიური პერსონალის 11-ზე მეტ ინიციატივას დაუჭირა მხარი, კერძოდ: **2021 წლის საშემოდგომო სემესტრის** სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებით, ცალკეული სასწავლო კურსის წამყვან პერსონალს შორის, სტუდენტებმა განსაკუთრებით გამოყვეს - **გაგა ყულიაშვილი, ანა ლოლიშვილი და ლალი ვაშაკიძე** - როგორც ზედმიწევნით ყურადღებიანი და სტუდენტზე ორიენტირებული ლექტორები. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ თითოეულ მათგანს, რექტორის 20 დეკემბრის ბრძანებით, გამოუცხადა მადლობა და გადასცა ფულადი პრემია. https://gruni.edu.ge/main/news/1640802262 რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებიდან დღემდე გრუნის სტუდენტური თვითმმართველობა აქტიურადაა ჩართული უკრაინის მოსახლეობის მხარდამჭერ **ღონისძიებებში. 2022 წლის 5 ივნისს კ**ახეთში გაიმართა მარათონი: "გარბენიუკრაინისთვის". სპორტულ ღონისძიებაში გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მხარდაჭერით გრუნის ყველა მიმართულების სტუდენტი მონაწილეობდა. ასპარეზობაში მონაწილეობა ფასიანი იყო, შეგროვილი თანხა უკრაინის ფონდში გადაირიცხა. https://gruni.edu.ge/main/news/1675746783 **2022 წლის 8 მაისს** მსოფლიო გაერთიანდა ადამიანთა სიცოცხლის გადასარჩენად და მოეწყო საქველმოქმედო გარბენი - გავხადოთ ზურგის ტვინის დაზიანება განკურნებადი. საქართველოს უნივერსიტეტებს შორის გრუნი ერთადერთი აღმოჩნდა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ამ აქციაში და საკუთარი წვლილი შეიტანა ამ კეთილ საქმეში. ადმინისტრაციამ სრული მხარდაჭერა გამოხატა სტუდენტების მიმართ და გარკვეული თანხაც გადაირიცხა ფონდში - განვკურნოთ ზურგის ტვინის დაზიანება**.** გარბენში მონაწილეობა მიიღო 15 სტუდენტმა, რომელსაც ლიდერობდა <u>რუსკა ქარქაშაძე.</u> მის მიერ შემუშავებული სტრატეგიით თითოეული სტუდენტის შედეგი გაუტოლდა 5-6 კილომეტრს. https://gruni.edu.ge/main/news/1653105361 სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერით, **2022 წლის 16 აპრილს** მოეწყო ექსკურსია კახეთში. სტუდენტებმა დაათვალიერეს კახეთის ღირსშესანიშნაობები, ისტორიული ძეგლები, შეხვდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, გაეცნენ რეგიონის ისტორიას და თანამედროვე მიღწევებს ეკონომიკისა თუ კულტურის სფეროში. ბოლოს, სტუდენტებმა თავისი შემოქმედებითი უნარების

	დემონსტრირება მოახდინეს. https://gruni.edu.ge/main/news/1650710818 **2022 წლის 14 აპრილს,** ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს (AUF) ინიციატივით და სტუდენტური თვითმმართველობის მხარდაჭერით, რეგიონული პროექტის „დავრგოთ ხეები მდგრადი განვითარების სასარგებლოდ“ - ***“Plantons des arbres pour un developpement durable“*** ფარგლებში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში ჩატარდა ღონისძიება - პერფორმანსი. სტუდენტებმა ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს (AUF) წარმომადგენლებთან: თამარ ღარიბაშვილთან და საბინა ფაგესთან ერთად უნივერსიტეტის ეზოში დარგეს ხეები, ღონისძიების დასასრულს კი განიხილეს სამომავლო თანამშრომლობის საკითხები და პროექტები. https://gruni.edu.ge/main/news/1650456256 გაზაფხულის დადგომისთანავე, სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებითა და უნივერსიტეტის მხარდაჭერით უნივერსიტეტის ეზოში, სტუდენტური წვეულება ჩატარდა. ღონისძიებაში მონაწილეობდა ყველა სკოლის სტუდენტი. იყო ბევრი მუსიკა, გართობა, სიმღერა. პანდემიის შემდეგ ეს პირველი გასართობი ღონისძიება იყო სტუდენტებისთვის და გამორჩეულად ამაღლებული განწყობით ჩატარდა. განსაკუთრებით დაუვიწყარი იყო ის პირველკურსელებისთვის, რომლებმაც, როგორც თავად თქვეს, ახლა იგრძნეს სტუდენტური ცხოვრების რომანტიკა. https://gruni.edu.ge/main/news/1649822842 **2022 წლის 24 მარტს და 2 აპრილს** უნივერსიტეტის ატრიუმში, სტუდენტური კინოკლუბის ორგანიზებით, პანდემიის შემდეგ პირველად, გაიმართა კინოჩვენება გრუნის ადგილობრივი და უცხოელი სტუდენტებისათვის. მოთხოვნა იმდენად დიდი იყო, რომ რამდენიმე სეანსის ორგანიზება გახდა საჭირო. https://gruni.edu.ge/main/news/1649130635 **2022 წელს** გრუნის სტუდენტურმა თვითმმართველობამ 8 მარტის მილოცვა განსხვავებული, ორიგინალური ფორმით გადაწყვიტა. მათ ერთი ბედნიერი დღე აჩუქეს იმ ქალბატონებს, რომლებიც ყოველდღიურად ზრუნავენ ჩვენი ქალაქის იერსახისთვის. 8 მარტს, სტუდენტებმა ჩაიცვეს ფორმები და მეეზოვე ქალბატონების ნაცვლად დაალაგეს თბილისის ქუჩები, ხოლო თავად მეეზოვე ქალბატონებმა სილამაზის სალონებს მიაშურეს.

	https://gruni.edu.ge/main/news/1646837654 უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ და სტუდენტურმა თვითმმართველობამ დაგეგმა გრუნის სტუდენტთა შემოქმედებითი ნამუშევრების (ლექსები, მოთხრობები, ჩანახატების და სხვ.) კრებულის სახით გამოცემა, რომელიც მიეძღვნა წიგნის საერთაშორისო დღეს. კრებული უნივერსიტეტის მხარდაჭერით გამოიცა. https://gruni.edu.ge/main/news/1645196040 **2021 წლის 25 დეკემბერს** გრუნის სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივითა და ადმინისტრაციის მხარდაჭერით, ტრადიციისამებრ, სტუდენტებმა საშობაო-საახალწლო საქველმოქმედო აქცია მოაწყვეს. მათ მოხუცებულებს დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცეს და ნუგბარი, ტკბილეული და საჩუქრები მიართვეს პანსიონში, რომელიც 2014 წელს გაიხსნა უწმინდესის ლოცვა-კურთხევით. https://gruni.edu.ge/main/news/1642313897 **2021 წლის 28 ოქტომბერს** გრუნიმ გამოსცა სტუდენტთა ლიტერატურულ-პუბლიცისტური კრებული - "დებიუტი", რომელიც მწერლის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის გრიგოლ რობაქიძის დაბადების დღეს მიეძღვნა.მეხუთე კრებულმა 40-მდე ავტორი გააერთიანა,კრებულში გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტის გიორგი ცერცვაძის პუბლიცისტური ნაშრომიც დაიბეჭდა. https://gruni.edu.ge/main/news/1635752946 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტის შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.5.1	**დებულების შემუშავება სტუდენტის ომბუდსმენის შესახებ და კონკურსის გამოცხადება სტუდენტთა შორის კანდიდატურების შესარჩევად**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი / ივნისი, 2022

კვლევის მეთოდი	დოკუმენტების ანალიზი. საანგარიშო პერიოდში შემოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია: შემუშავებული მასალა.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	დოკუმენტების ანალიზმა ცხადყო, რომ **2022 წლის 15 აპრილს** ხელმეორედ გამოცხადდა სტუდენტთა ომბუდსმენის შესარჩევი კონკურსი, რომელიც 2019-2020 სასწავლო წელს პანდემიის გამო გაუქმდა და გადაიდო მდგომარეობის საბოლოო გამოსწორებამდე. **2022 წლის 13 მაისს** გამართულმა სტუდენტთა ომბუდსმენის საკონკურსო კომისიის სხდომამ განიხილა ამ პოზიციის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეთა კანდიდატურები. წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით, შეაჯამა შედეგები და გამარჯვებულად ცნო სამართლის სკოლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი ნია ქავთარაძე. აღსანიშნავია, რომ მეორე აპლიკანტი არ ჩამოუვარდებოდა გამარჯვებულ კანდიდატს, ამიტომ კომისიის სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება დასვას საკითხი ადმინისტრაციის წინაშე ომბუდსმენის მოადგილის პოზიციის შემოღების თაობაზე. https://gruni.edu.ge/main/news/1654414670 სტუდენტური ომბუდსმენის ფუნქციაა დაიცვას სტუდენტთა უფლებები სწავლება-სწავლის პროცესის ყველა ეტაპზე. დებულების თანახმად, ომბუდსმენის უფლებამოსილების ვადა 1 წელია. ერთი და იგივე პირი ომბუდსმენად შესაძლებელია აირჩეს მხოლოდ ორჯერ. სტუდენტურ ომბუდსმენად აირჩევა გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო, სადოქტორო ან საბაკალავრო პროგრამის, არანაკლებ, მე-3 აკადემიური წლის სტუდენტი, რომელსაც არ აქვს შეჩერებული სტუდენტის სტატუსი და გამოირჩევა პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით, აკადემიური მოსწრებით, კეთილსინდისიერებითა და კომპეტენტურობით. ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია მიმართოს ომბუდსმენს, თუ იგი მიიჩნევს, რომ მისი კანონიერი უფლებები ნებსით თუ უნებლიეთ ილახება. ამისათვის სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ ელექტრონული ფორმატით და შეავსონ განაცხადი ან პირადად შეხვდეს ოფისის წევრებს და აუხსნან საკუთარი პრობლემის არსი. ომბუდსმენი ვალდებულია წერილობით განაცხადზე წერილობითვე უპასუხოს საქმის დეტალურად შესწავლისა და ანალიზის შემდეგ, რისთვისაც მას გარკვეული დრო - არა უმეტეს 30 დღისა, დასჭირდება. ასევე, შემუშავებულია განაცხადის ფორმა, რომლითაც სტუდენტი

	მიმართავს ომბუდსმენს. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 2.1.1	**სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის მართვის პლატფორმის შექმნა**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი / ივნისი, 2022
კვლევის მეთოდი	შემთხვევის ანალიზი
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	მონიტორინგის ჯგუფის მიერ საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ პლატფორმაზე მუშაობა არ დასრულებულა. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი არ შესრულდა**

აქტივობა 2.1.2	**ინოვაციური ლაბის შექმნა და საქმიანობის განხორციელება**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ უნივერსიტეტის მონიტორინგის ჯგუფმა სტრუქტურირებული დახურული კითხვარის მეშვეობით შეაგროვა ინფორმაცია და შეაჯამა სამიზნე პოპულაციის/ აკადემიური პერსონალის (21) მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	სრულდება მოსამზადებელი სამუშაოები საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაცია Libra Alliance-თან ერთად უნივერსიტეტში მდგრადი განვითარების კვლევითი ცენტრის დასაფუძნებლად. სრულდება ცენტრის კონცეფციისა და დებულების შემუშავება. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა ნაწილობრივ**

აქტივობა 2.1.4	**იმპაქტ-ფაქტორის ჟურნალებში სამეცნიერო სტატიის დაბეჭდვის**

	ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი / ივნისი, 2022
კვლევის მეთოდი	დოკუმენტების ანალიზი. საანგარიშო პერიოდში შემოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია: ჩატარებული სამეცნიერო კვლევები, ფონდის კომიტეტის დადგენილებები, გამოცემული სამეცნიერო სტატიები თუ სახელმძღვანელოები და სხვ.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	კვლევების შედეგად დადგინდა, რომ საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის მეცნიერული კვლევისა და შემოქმედებითი ინიციატივის განვითარების ფონდი, შესაბამისი საპროექტო განაცხადის საფუძველზე, განიხილავდა და უზრუნველყოფდა ადგილობრივ თუ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების დაბეჭდვასაც და ერთობლივი სამეცნიერო კრებულების მომზადებასაც, რაც მნიშვნელოვანია აკადემიური პერსონალისა და ახალგაზრდა მკვლევრების სამეცნიერო საქმიანობაში წარმატების მისაღწევად. **კონკრეტული გამოცემები:** **2022 წლის 8 აპრილს** მოწვეულმა მკვლევარმა, სლოვაკეთის ა. დუბჩეკის უნივერსიტეტის პროფესორმა და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორმა როზმარინა დუბოვსკამ საერთაშორისო ჟურნალში **Media4u Magazine** გრუნის სახელით გამოაქვეყნა სამეცნიერო სტატია. სტატიაში განხილულია კონკრეტულ დისციპლინებთან მიმართებით სწავლასა და თანამედროვე სწავლებასთან დაკავშირებული საკითხები. https://gruni.edu.ge/main/news/1649396244 **2022 წლის 12 მაისს** გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალს - „აკადემიური მაცნე“ - DOI მიენიჭა (**ობიექტის ციფრული იდენტიფიკატორი**), რაც ჩვენს აკადემიურ პერსონალსა და ახალგაზრდა მკვლევრებს შესაძლებლობას მისცემს, ამააღლონ მათი ავტორობით გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების ცნობადობის ხარისხი. DOI არის ბმული ობიექტის მუდმივი ადგილმდებარეობის შესახებ (URL) ან ინფორმაცია (Metadata) ინტერნეტში. ობიექტი შესაძლებელია იყოს ონლაინპუბლიკაცია ან მისი ნაწილი (წიგნი, წიგნის თავი, სტატია) ან ელემენტი (სურათი, ცხრილი, ფორმულა და სხვა), აუდიო და ვიდეოკონტენტი, მონაცემთა კომპლექტი, მონაცემთა ბაზა და სხვა. სამეცნიერო ჟურნალი „აკადემიური მაცნე“ ყოველწლიურად გამოიცემა აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების სამეცნიერო სტატიებისათვის.

	https://www.gruni.edu.ge/other_content/index/733/1445595987). **2021 წლის 16 დეკემბერს გრუნიში** კიდევ ერთი საერთაშორისო სამეცნიერო პროექტი განხორციელდა. მოწვეული მკვლევარმა, სლოვაკეთის ა. დუბჩეკის უნივერსიტეტის პროფესორმა როზმარინა დუბოვსკამ გამოსცა სამეცნიერო სტატია ჟურნალში **Media4u Magazine.** სტატიაში განხილულია ტექნიკური საგნების სწავლების მეთოდური საკითხები. აღსანიშნავია, რომ ქალბატონმა დუბოვსკამ, რამდენიმე თვის წინ, გრუნის პროფესორ გოჩა ოჩიგავასთან ერთად გამოსცა ვრცელი მონოგრაფია ხარისხის მართვის პრობლემატიკის შესახებაც. https://gruni.edu.ge/main/news/1639715530 **სხვა გამოცემების მხარდაჭერა:** **2022 წლის ივნისში** გამოიცა პროფესორ მალხაზ ბაძაღუას წიგნი "*ჯგუფური დანაშაულობა საქართველოში*". ნაშრომი მოამზადა გრუნის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა და გამოსცა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა. https://gruni.edu.ge/main/news/1656403426 **2022 წლის 20 მაისს** გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში გაიმართა სამართლის დოქტორის, პროფესორ გიორგი მირიანაშვილის სამეცნიერო ნაშრომების - „ევროპის კავშირის სამართალი", „ადამიანის უფლებათა დაცვის კოლიზიური ევროპული სტანდარტები ექსტრადიციის სფეროში", „ევროპის კავშირის ცნობარი", პრეზენტაცია. ნაშრომები მომზადდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით. იგი მიმოიხილავს ევროპული ინტეგრაციის ისტორიას, ღირებულებებს, ინსტიტუტებს, წევრობის კრიტერიუმებს, სამართლის წყაროებს, ევროკავშირის სამართალს ექსტრადიციის სფეროში და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. ნაშრომების მიზანია საუნივერსიტეტო სივრცეში, პროფესიულ წრეებში, იურიდიულ - სამეცნიერო საქმიანობაში ევროპის კავშირის სწავლებისა და კვლევის პროცესის გაძლიერება-სრულყოფა. https://gruni.edu.ge/main/news/1653457999 **2022 წლის 14 მარტს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ადამიანის უფლებების სამეცნიერო-კველევითმა ინსტიტუტმა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ფუნდამენტური კვლევებისთვის გამოყოფილი სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის ფარგლებში მოამზადა და გამოსცა ნაშრომი - „სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვა საქართველოში", https://gruni.edu.ge/main/news/1647599467

	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა, ქართულ ენაზე გამოსცა საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლის, დოქტორ ღასან ხალილის ნაშრომი - „ბავშვის უფლებები-ისტორიული ევოლუცია“. **2022 წლის 21 თებერვალს** გაიმართა წიგნის ოფიციალური წარდგენა. წიგნში ბავშვის უფლებები განხილულია ისტორიულ კონტექსტში, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვთა უფლებების მოძრაობის უფრო სიღრმისეულ გაგებას და აფართოებს ამ უფლებების დამცველების შესაძლებლობებს, როგორც ინდივიდების, ისე ორგანიზაციების სახით. https://gruni.edu.ge/main/news/1645692792 **23 დეკემბერი, 2021 წელი.** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა სტუდენტებისთვის გამოსცა სახელმძღვანელო „თანამედროვე (უმაღლესი) მაკროეკონომიკა“, ლექციების კრებული, წიგნი პირველი, რომლის ავტორია უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი დემურ გიორხელიძე. https://gruni.edu.ge/main/news/1640619839 **2021 წლის 18 ოქტომბერს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში გაიმართა ბავშვის უფლებათა კოდექსის სახელმძღვანელო კომენტარების ოფიციალური წარდგენა. კომენტარები გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის წევრის, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ლექტორის სოფო კილაძისა და პროფესორ პაატა ტურავას ერთობლივი ნაშრომია, რომელიც ხელს შეუწყობს კოდექსის სწორად გაგებასა და გამოყენებას. https://gruni.edu.ge/main/news/1634814535 **2022 წლის 15 იანვარს,** ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის პროგრამის სტუდენტთა ინიციატივით, გამოიცა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სტუდენტური კონფერენციის მასალები. https://gruni.edu.ge/main/news/1642488403 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 2.1.5	**ყოველი წლის ბოლოს საინფორმაციო ბიულეტინის გამოცემა აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული კვლევების შესახებ**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი / ივნისი, 2022
კვლევის მეთოდი	ინტერვიუ, დოკუმენტების ანალიზი
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	უნივერსიტეტმა შეცვალა აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული კვლევების სისტემატიზაციის პოლიტიკა და ახლა ყოველკვირეულად საინფორმაციო-კვლევითი ცენტრის მიერ სამეცნიერო პერსონალს (პირად მეილზე და უნივერსიტეტის ვებგვერდზე, განყოფილებაში „ანონსი“) მიეწოდება განახლებული ინფორმაცია იმ დონორი ორგანიზაციებისა და კონკრეტული საგრანტო პროექტების შესახებ, რომლებიც სამეცნიერო - კვლევითი მიმართულებით ცხადდება. აკადემიური პერსონალის, ახალგაზრდა მკვლევრების ინფორმირება ხდება რეკომენდებული (როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო) სამეცნიერო გამოცემების შესახებ. აგრეთვე, სამეცნიერო მიმართულებით სტრუქტურული დანაყოფების შესახებ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია წარმოდგენილია სრულყოფილად და ნათლად, რაც ზრდის ნებისმიერი მსურველისთვის სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით საუნივერსიტეტო ინფორმაციასთან წვდომის ხარიხს. წლის ბოლოს კი აკადემიური/სამეცნიერო პროდუქტიულობის შედეგების მიხედვით, ფასდება და სახელდება წლის საუკეთესო პროფესორი და ლექტორი. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 2.1.6	**საბიბლიოთეკო რესურსის გაფართოება საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველყოფისა და ახალგაზრდა მკვლევართა და აკადემიური პერსონალის კვლევების საჭიროების შესაბამისად**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ, დოკუმენტების ანალიზი. საანგარიშო პერიოდში ანკეტირებით (დახურული კითხვების მეშვეობით) გამოიკითხა სამიზნე ჯგუფი - სტუდენტები და აკადემიური პერსონალი,

	სულ 48 წევრი, შემოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია: განახლებული წიგნადი ფონდი - ნაჩუქარი, ნაყიდი, ელექტრონული და ფიზიკური სახით; სამეცნიერო ელექტრონული ბაზები. საბიბლიოთეკო რესურსების შესყიდვისა და აღრიცხვის სისტემა, ასევე, სხვა დოკუმენტაცია.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებით, გრუნის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ვერ იქნება ეფექტური ინსტიტუციური მექანიზმების - **ბიბლიოთეკისა და მოქნილი სამეცნიერო ბაზების,** გარეშე, ამ პროცესებში მათ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ. დღეისათვის გრუნის ბიბლიოთეკა კარგად აღჭურვილია, მისი წიგნადი და ელექტრონული ბაზები სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მოთხოვნების შესაბამისია. დისტანციური სწავლების პერიოდში ბიბლიოთეკამ სრულად იტვირთა სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის ვალდებულება და წარმატებით შეასრულა კიდეც, დღეისათვის ელექტრონულ ბიბლიოთეკაში ატვირთულია 3500-მდე ერთეული სასწავლო - სამეცნიერო მასალა. უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს უწყვეტად აქვს წვდომა 10 სხვადასხვა სამეცნიერო ბაზასთან, მათ შორისაა: ✓ Academic Search Elite ✓ Business Source Elite ✓ MasterFILE ELITE ✓ Medline ✓ Health Source: Consumer Edition + Nursing/Ac ademic Edition ✓ Library Information Science & Technology Abstracts (LISTA) ✓ GreenFILE ✓ ERIC (the Education Resource Information Center) ✓ Newspaper Source ✓ Regional Business News ამგვარი შესაძლებელობები კი მაქსიმალურად ამარტივებს ინტერდისციპლინური კვლევების მომზადებას და ხელს უწყობს უნივერსიტეტის პროფესორებსა და სტუდენტებს როგორც საუნივერსიტეტო, ისე გარე სამეცნიერო-კვლევითი გრანტების მოპოვებაში. ბიბლიოთეკის რესურსები ყოველწლიურად ახლდება და დისციპლინების მიხედვით ემატება სავალდებულო და დამხმარე სახელმძღვანელოები, სამეცნიერო ლიტერატურა. აკადემიური პერსონალისათვის ხელმისაწვდომია თანამედროვე კვლევები და სხვადასხვა ქვეყნის მიღწევები ამა თუ იმ დარგში და სხვა. **2021-2022 სასწავლო წლის** განმავლობაში ბიბლიოთეკაში ფიზიკური სახით. შემოსულია **420** ერთეული წიგნი (ჩუქება/შეძენა), **76** ერთეული

	ჟურნალი (ჩუქება/შეძენა) და **3** ელექტრონული წიგნი. მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს საბიბლიოთეკო ფონდების დიგიტალიზაცია. უნივერსიტეტი 2019 წლიდან თანამშრომლობს „საკანონმდებლო მაცნესთან“. სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდის დახმარებით, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს აქვთ წვდომა **Elsevier-ის** ბაზებზე. აგრეთვე, გაფორმებულია ხელშეკრულება **„EBSCO”-სა** და **„ჰეინონლაინის”**- სამეცნიერო ბაზის გამოყენების შესახებ. სისტემა ავტომატურად ახორციელებს მომხმარებლის გადამისამართებას შესაბამის მონაცემთა ბაზებზე, ყოველგვარი დამატებითი ავტორიზაციის გარეშე. გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალს - „აკადემიური მაცნე“ - DOI მიენიჭა (**ობიექტის ციფრული იდენტიფიკატორი**), რაც ჩვენს აკადემიურ პერსონალსა და ახალგაზრდა მკვლევრებს შესაძლებლობას მისცემს, ამაღლონ მათი ავტორობით გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების ცნობადობის ხარისხი. DOI არის ბმული ობიექტის მუდმივი ადგილმდებარეობის შესახებ (URL) ან ინფორმაცია (Metadata) ინტერნეტში. ობიექტი შესაძლებელია იყოს ონლაინპუბლიკაცია ან მისი ნაწილი (წიგნი, წიგნის თავი, სტატია) ან ელემენტი (სურათი, ცხრილი, ფორმულა და სხვა), აუდიო და ვიდეოკონტენტი, მონაცემთა კომპლექტი, მონაცემთა ბაზა და სხვა. ჟურნალი „აკადემიური მაცნე" გამოიცემა ონლაინ წესით, წელიწადში ერთხელ. მიმდინარეობს სტატიების მიღება. https://gruni.edu.ge/main/news/1652416978 2022 წელს გრუნის სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „აკადემიური მაცნე“ საერთაშორისო ორგანიზაცია CROSSREF-ში გაწევრიანდა. საერთაშორისო ასოციაცია CROSSREF-ი უზრუნველყოფს აკადემიურ პუბლიკაციათა მსოფლიო ხელმისაწვდომობას. ჟურნალი უკვე ხელმისაწვდომია BASE - ის საძიებო სისტემაშიც. სამეცნიერო ბაზების მომწოდებელმა კომპანიამ “ელსევიერი“ მეცნიერებს, ახალგაზრდა მკვლევრებს, აკადემიურ პერსონალს 2011 წლის ნოემბრიდან მისცა ბაზებზე დისტანციურად წვდომის შესაძლებლობა, ამისათვის გააქტიურდა გრუნის პროფილი და აღნიშნულ ბაზებზე წვდომა შესაძლებელი გახდა უნივერსიტეტის სივრცის მიღმაც. https://gruni.edu.ge/main/news/1637250550 საანგარიშო პერიოდში, ბიბლიოთეკის ინიციატივით, გამართულ სწავლებებზე სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს ჰქონდათ შესაძლებლობა, გაცნობოდნენ საბიბლიოთეკო რესურსებზე წვდომის

	სპეციფიკას, აგრეთვე, ახალი რესურსების გამოყენების შესაძლებლობებს, იმ სიახლეებს, რაც ამ სფეროში ყოველდღიურად დასტურდება, კერძოდ: **2021 წლის 10 ნოემბერს,** მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის, ონლაინ ფორმატით, ჩატარდა სემინარი საბიბლიოთეკო რესურსის გამოყენების საკითხებზე. სემინარს უძღვებოდნენ EBSCO დირექტორი ნანა ხუსკივაძე და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი გულიკო ყეინიშვილი. სემინარის მიმდინარეობა ჩაიწერა ვიდეო ფორმატით და დაეგზავნა ყველა სტუდენტს, ვინც ვერ დაესწრო სწავლებას. https://gruni.edu.ge/main/news/1650505725 **2021 წლის 26 ნოემბერს** გაიმართა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის პროფესორ-მასწავლებლების შეხვედრა ორგანიზაცია English Book Education-ისა და ამერიკის სასწავლო-საგანამანთლებლო კომპანიის - McGraw Hill, წარმომადგენლებთან. შეხვედრის მიზანი იყო იმ თანამედროვე, ამერიკული გამოცდილების გაცნობა/გაზიარება, რომელსაც McGraw Hill-ი სთავაზობს ქართულ საგანმანათლებლო სექტორს. კერძოდ, მედიცინის მიმართულების აკადემიური პერსონალისათვის იმ რესურსებისა და სიახლეების გაცნობა, რომელიც დღეს ამ სფეროში სწავლებისა და კვლევების თანამედროვე გამოცდილებასა უკავშირდება. შეხვედრაზე უცხოელმა სტუმრებმა გრუნის აკადემიურ პერსონალს მისცეს ერთი თვით მათ სასწავლო და სამეცნიერო ბაზებზე წვდომის უფლება. English Book Education წარმოდგენს საქართველოში ბრიტანულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო ორგანიზაციებს, როგორებიც არიან: Macmillan Education, Pearson, Oxford university Press, National Geographic Learning, Cambridge University Press, ასევე, ETS GLOBAL TOEFL- ის რეგიონალური საგამოცდო ცენტრი. https://gruni.edu.ge/main/news/1637900035 **2021 წლის 6 დეკემბერს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში, კომპანია English Book Education-ის ორგანიზებით, ამერიკის სასწავლო-საგანამანთლებლო კომპანიის - McGraw Hill რეგიონალურმა მენეჯერმა გაიე ბაირსაგჯისმა ჩაატარა მეორე ტრენინგი მედიცინის სკოლის პროფესორ-მასწავლებლებიათვის. ტრენინგის მიზანი იყო მედიცინის მიმართულების აკადემიური პერსონალისათვის სწავლა-სწავლების პროცესის მოდერნიზებული სასწავლო რესურსებისა და პლატფორმების გაცნობა, ასევე, განიხილეს მედიცინის სხვადასხვა მიმართულების თანამედროვე სასწავლო ლიტერატურა, ვიდეო და აუდიომასალები, წვდომა ამ პლატფორმებზე და სწავლების პროცესში ამ მეთოდების გამოყენების უპირატესობა. ტრენინგზე დაიგეგმა ერთობლივი საპილოტე პროექტის განხორციელება, რომლის საფუძველზეც უნივერსიტეტის მედიცინის აკადემიურ პერსონალს ექნება შესაძლებლობა ერთი თვის განმავლობაში ჰქონდეს წვდომა სატესტო რეჟიმში McGraw Hill -ის

	პლატფორმზე - „Acces Medicine“.საპილოტე პროექტის ფარგლებში, ასევე, დაიგეგმა ტრენინგი McGrow Hill - ის ექსპერტების მონაწილეობით ინტერაქტიულ პლატფორმებთან მუშაობის გამოცდილების გასაზიარებლად. https://gruni.edu.ge/main/news/1639071995 2022 წლის 12 მაისს გრუნის მეცნიერების, ახალგაზრდა მკვლევრებისა და აკადემიური პერსონალისათვის გაიმართა ვებინარი ელსევიერის სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით. ვებინარის მონაწილეები გაეცნენ ელსევიერის ელექტრონულ ბაზებზე წვდომას, სასურველი სამეცნიერო მასალების ძიებას, სამეცნიერო სტატიების მომზადებას და ელსევიერის ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. ვებინარს უძღვებოდა ელსევიერის ბაზების მომწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი მაქსიმ ფილატოვი. ვებინარი წარიმართა ინგლისურ ენაზე. https://gruni.edu.ge/main/news/1652418404 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 2.1.8	**სამეცნიერო-კვლევების კომერციალიზაციის მიზნით სახელმწიფო და კერძო სექტორის ორგანიზაციებთან ურთიერთმომგებიანი თანამშრომლობის განვითარება**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი / ივნისი, 2022
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა საანგარიშო პერიოდში დახურული კითხვების მეშვეობით გამოიკითხა სამიზნე ჯგუფი - უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები, სულ 3 წევრი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	სახლმწიფო და კერძო სექტორის ორგანიზაციებთან დაიდო თანამშრომლობის ხელშეკრულებები, მაგრამ შეკვეთა კონკრეტული საკითხის კვლევვასთან დაკავშირებით არ შემოსულა. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი ნაწილობრივ შესრულდა.**

აქტივობა 2.1.9	**ციტირების ინდექსის გაზრდის ხელშეწყობისათვის პრემირების სისტემის შემუშავება და გახორციელება**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ, დოკუმენტების ანალიზი. საანგარიშო პერიოდში გამოიკითხა შესაბამისი სამსახურების: სამეცნიერო ცენტრის, ხარისხის განვითარების სამსახურის, საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელები. შემოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია: რექტორის ბრძანება პრემირების სისტემის შესახებ, უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სტანდარტი, ციტირების არსებული მონაცემები (რანჟირება) და სხვა დოკუმენტაცია.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	კვლევით დადგინდა, რომ სამეცნიერო საქმიანობის პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური პერსონალის, ახალგაზრდა მეცნიერებისა და მკვლევრების მხარდაჭერის, პრემირებისა და წახალისების სხვადასხვა სისტემა, რომელმაც მნიშვნელოვანწილად გააუმჯობესება სამეცნიერო-კვლევითი შედეგები, კერძოდ: **1**.გამოცემულია რექტორის ბრძანება ციტირების ინდექსის გაზრდის ხელშეწყობისათვის პრემირების სისტემის შემოღების შესახებ. პრემირება განხორციელდება სამ წელიწადში ერთხელ; **2**.მომზადებულია უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სტანდარტი, რომელიც არეგულირებს ამ მიმართულებით საქმიანობას, მისი მართვისა და ფინანსირების საკითხებს და უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევების ხარისხის განვითარებასა და საგანმანათლებლო საქმიანობასთან ინტეგრირებას; 3. შექმნილია მეცნიერული კვლევისა და შემოქმედებითი ინიციატივის განვითარების ფონდი, როგორც სამეცნიერო- შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა; **4**.ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერების განვითარებაში მიღწეული საუკეთესო შედეგებისათვის დაწესებულია გრიგოლ რობაქიძის პრემია; **5.** დაწესებულია წლის საუკეთესო ლექტორის, პროფესორის წოდება, რომელიც სტუდენტთა გამოკითხვისა და აკადემიური/სამეცნიერო პროდუქტიულობის შედეგების მიხედვით ორ წელიწადში ერთხელ ენიჭება გამორჩეულ აკადემიურ პერსონალს და სხვა. აღსანიშნავია, რომ გრუნიში **მკვლევრის სამეცნიერო მხარდაჭერის მიზნით**

	შექმნილია მნიშვნელოვანი ტრენინგკურსი: **„მკვლევრის სამეცნიერო პროდუქტიულობის“** 5- დღიანი ინტენსიური ტრენინგკურსი, რომელიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ანტიპლაგიატის სისტემების გამოყენება, კვლევითი გრანტის მოძიება, საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზები და მათი გამოყენება, კვლევის შედეგების სასწავლო კურსებში ინტეგრირება, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევაში და სხვა საკითხები. ამასთან, გრუნი განაგრძობს სამეცნიერო-კვლევების ხარისხის განვითარებასა და საგანმანათლებლო საქმიანობასთან ინტეგრირებას ამერიკისა და სხვა პარტნიორ უნივერსიტეტებთან, კერძოდ: ტეხას ა&მ უნივერსიტეტთან ერთად დაიგეგმა კვლევითი სემინარების რამდენიმეეტაპიანი სწავლება აკადემიური პერსონალისა და ახალგაზრდა მკვლევარებისათვის. აზერბაიჯანის განათლების ინსტიტუტთან თანამშრომლობის ფარგლებში, დაიწყო ტრენინგების ციკლი ***კვლევის მეთოდები,*** სამართლისა და საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის მეცნიერ-ხელმძღვანელებისა და დოქტორანტებისათვის. პირველი გაცნობითი ხასიათის სესია, რომელიც მიმდინარე წლის 18 აპრილს გაიმართა, ტრენინგში მონაწილეთა ზუსტი საჭიროებებისა და მოთხოვნების დადგენას დაეთმო. მეორე სესია გაიმართა მ/წ 4 მაისს, რომელსაც უძღვებოდა აზერბაიჯანის განათლების ინსტიტუტის პროფესორი **ანარ ვალიევი.** სესია მიეძღვნა სოციალური კვლევის პრაქტიკას, რომელიც მოიცავდა მეცნიერებისა და კვლევის ძირითად ასპექტებს, კვლევის პარადიგმებს, თეორიული და სოციალური კვლევის, კვლევის ეთიკისა და სტრატეგიის, კვლევის დიზაინის, კონცეპტუალიზაციის, ოპერაციონალიზაციისა და გაზომვის საკითხებს. პროფესორი **ანარ ვალიევი** ადას უნივერსიტეტის საჯარო მმართველობისა და საერთაშორისო ურთიერთობების სკოლის დეკანია, მინიჭებული აქვს ბაქოსა და ინდიანას უნივერსიტეტების მაგისტრის ხარისხი და ლუისვილის უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხი. იგი, ასევე, ჟან მონეს ევროპული კვლევების კათედრის ხელმძღვანელია. https://gruni.edu.ge/main/news/1651731684 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 2.2.1	**ცოდნის გაზიარების პლატფორმის - GRUNI TALKS , შექმნა და გააქტიურება**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	**შემთხვევის ანალიზი** საკითხის შესწავლისა და შეფასების მიზნით გამოყენებულ იქნა შემთხვევის ანალიზი, რომელიც იძლევა კონკრეტული შემთხვევის/გადაწყვეტილების მიღებისა და მის შესრულებაზე დაკვირვების შესაძლებლობას. შესწავლილ იქნა შესაბამისი კომპანიასთან დადებული ხელშეკრულება და მისი შესრულების მდგომარეობა.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	აღნიშნული პლატფორმის დამუშავების შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა პროფილურ კომპანიასთან, საკითხის მოსაგვარებლად მათ მიერ აქამდე განხორციელებული მცდელობები დასრულდა წარუმატებლად. მიმდინარეობს სხვა კომპანიების მოძიება. **დასკვნა: სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ეს პუნქტი არ შესრულდა.**

აქტივობა 2.2.2	**Ontario science centre-თან პარტნიორული თანამშრომლობის ჩამოყალიბება**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ ანკეტირების მეშვეობით გამოიკითხა ადმინისტრაციაში აღნიშნული საკითხის უშუალო განმახორციელებლი სტრუქტურის - სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის - პერსონალი. შესწავლილ იქნა შესაბამის კომპანიასთან თანამშრომლობისა და აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად გაწეული საჭირო პროცედურები.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	**დასკვნა: სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ეს პუნქტი არ შესრულდა.**

აქტივობა 2.2.3	**Science Publish Corporation- თან პარტნიორული თანამშრომლობის ჩამოყალიბება**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ. ანკეტირების მეშვეობით გამოიკითხა ადმინისტრაციაში აღნიშნული საკითხის უშუალო განმახორციელებლი სტრუქტურის - სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის - პერსონალი. შესწავლილ იქნა შესაბამის კომპანიასთან თანამშრომლობისა და აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად გაწეული საჭირო პროცედურები და დოკუმენტები.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	**დასკვნა: სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ეს პუნქტი არ შესრულდა.**

აქტივობა 2.2.4	**ევროპის სამეცნიერო ინსტიტუტთან ერთად, უნივერსიტეტში, ევრაზიის ტრადიციული ფორუმის ჩატარების ორგანიზება**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი / ოქტომბერი, 2021
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა, დოკუმენტების ანალიზი რაოდენობრივი მონაცემების შესაგროვებლად სპეციალურად შემუშავებული დახურული კითხვარის მეშვეობით გამოიკითხა სამიზნე ჯგუფის წევრები/ფორუმის მონაწილეები და ორგანიზატორები, საერთაშორისო ინტეგრაციის სამსახურის თანამშრომლები, სულ კვლევის 10 მონაწილე. დოკუმენტურად შესწავლილ იქნა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, განხილული მოხსენებები, მონაწილეები, გამოცემული ფორუმის მასალები, ასევე, ოფიციალური ვებგვერდი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	2021 წლის 26 ოქტომბერს ევროპის სამეცნიერო ინსტიტუტის მიერ გაიმართა ხმელთაშუაზღვის მე-9 ინტერდისციპლინური ფორუმი, რომელიც სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების, კერძოდ: სამართლის, პოლიტიკის, განათლებისა და ფილოსოფიის საკითხებს მიეძღვნა. ფორუმის მუშაობაში გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სამართლის, საჯარო მმართველობისა და პოლტიკისა და ტურიზმის

	მიმართულების სტუდენტები მონაწილეობდნენ. მათ მიერ წარმოდგენილი მოხსენებები დღევანდელობის აქტუალურ თემებს: კოვიდპანდემიას, საქართველო-რუსეთის ურთიერთობებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს ეხებოდა. ფორუმი ინგლისურ ენაზე მიმდინარეობდა და განხილული თემატიკა ასეთი იყო: • **Mechanisms to encourage vaccination of public servants and state-funded employees in the Autonomous Republic of Adjara;** • **Teaching Turkish in Georgia has been progressing fruitfully;** • **Georgia's relations with the Russian Federation;** • **COMPARATIVE ANALYSIS OF ANTI-DRUG POLICIES IN GEORGIA AND DIFFERENT FOREIGN COUNTRIES** • **Covid 19 pandemic and tourism management policies in a regional context (On the example of the Adjara AR)** • **A Need for a General Clause? An analysis of the Law on Police of Georgia** • **Perpetuating the evidence in civil law proceedings** https://gruni.edu.ge/main/news/1636086603 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 2.2.5	**საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრებთან ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება, მათ შორის, ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი / ივნისი, 2022
კვლევის მეთოდი	დოკუმენტების ანალიზი შემოწმდა საანგარიშო პერიოდში ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების დოკუმენტურად დადასტურებული მასალები: კონფერენციის მასალები, გამოცემული კრებულები, გრუნის ოფიციალური ვებგვერდი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	კვლევის შედეგად დადგენილია, რომ საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტი აქტიურად განაგრძობდა სამეცნიერო საქმიანობას, მათ შორის, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობასა და ერთობლივი კონფერენციების (მათ შორის, ონლაინ) გამართვას, რაც ადასტურებს, რომ გრუნი სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს

	მუდმივად სთავაზობს მრავალფეროვან სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობას და ამით წლების განმავლობაში განამტკიცებს საერთაშორისო თანამშრომლობის ტრადიციებსა და ინტერნაციონალიზაციის პროცესს. სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების მხარდაჭერა გრუნის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია, ამდენად, გრუნი აქტიურად ცდილობს ჩაებას სამეცნიერო - კვლევით საქმიანობაში, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთაც არსებული რესურსების გამოყენებით. საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტმა ჩაატარა / მონაწილეობდა 10 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში. ასევე, სხვადასხვა ადგილობრივ და სტუდენტურ კონფერენციაში. **საანგარიშო პერიოდში ჩატარებული კონფერენციები:** **2021 წლის 21 დეკემბერს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად, ჩაატარა მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია *„დანაშაულობის კვლევის აქტუალური საკითხები“.* https://gruni.edu.ge/main/news/1640623380 **2021 წლის 25 ოქტომბერს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტისა და ამერიკის შშმ პირთა დახმარებისა და მხარდაჭერის კომპანიის - IntellectAbility, ერთობლივი გადაწყვეტილებით, გაიმართა ვებინარი „შშმ პირების ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად გამოყენებული რესურსები“. ვებინარი ინგლისურ ენაზე წარიმართა და მას ორი სპიკერი ჰყავდა: **დოქტორი კრეიგ ესქიუდი** - კომპანიის - IntellectAbility, პრეზიდენტი, ამერიკის ოჯახის ექიმთა აკადემიის წევრი; **დოქტორი გიორგი დუღაშვილი** - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი, ორგანიზაცია "Special Olympics"-ის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სერტიფიცირებული კლინიკური დირექტორი და მისი წარმომადგენელი საქართველოში. https://gruni.edu.ge/main/news/1635610751 **2021 წლის 26 ოქტომბერს** ევროპის სამეცნიერო ინსტიტუტის მიერ გაიმართა ხმელთაშუაზღვის მე-9 ინტერდისციპლინური ფორუმი, რომელიც სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების, კერძოდ: სამართლის, პოლიტიკის, განათლებისა და ფილოსოფიის საკითხებს მიეძღვნა. ფორუმის მუშაობაში გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის

	სამართლის, საჯარო მმართველობისა და პოლტიკისა და ტურიზმის მიმართულების სტუდენტები მონაწილეობდნენ. მათ მიერ წარმოდგენილი მოხსენებები დღევანდელობის აქტუალურ თემებს: კოვიდპანდემიას, საქართველო-რუსეთის ურთიერთობებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს ეხებოდა. https://gruni.edu.ge/main/news/1636086603 **2022 წლის 8 იანვარს,** პრაღის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის კათედრის ორგანიზებით, გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "ეთნიკური კონფლიქტები, ენობრივი უმცირესობები და 21 - საუკუნის მსოფლიო პოლიტიკა". კონფერენციაზე მოხსენება - "აფხაზური ენა - ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში", წარადგინა გრიგოლ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა და პრაღის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურისა და დოქტორანტურის კურსდამთავრებულმა გოჩა ოჩიგავამ. https://gruni.edu.ge/main/news/1642226657 **2022 წლის 20-21 იანვარს** თბილისში გაიმართა ორდღიანი საერთაშორისო კონფერენცია *„რეგიონული ცოდნის გაცვლა საერთაშორისო განათლების გაფართოებისთვის".* კონფერენციას, უძღვებოდა დეივიდ უიკი, კალიფორნიის შტატის მონტერეის მიდლბურის საერთაშორისო კვლევის ინსტიტუტის პროფესორი. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ: საქართველოსა და აზერბაიჯანის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროები და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები. კონფერენციამ განიხილა საგანმანათლებლო სფეროს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ტრენდები და პერსპექტივები. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტიდან კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა რექტორის მრჩეველი ანა აბესაძე. პანელურ დისკუსიაში ანა აბესაძემ მონაწილეებს გააცნო ამ მიმართულებით გრუნის საქმიანობა და მიღწევები, კონფერენციის ორგანიზატორებმა ანას თავიანთი გამოცდილების გაზიარება სთხოვეს და მიიწვიეს ამერიკაში ამ საკითხებზე სასაუბროდ. https://gruni.edu.ge/main/news/1643820688 **2022 წლის 30 მარტს** ონლაინ საერთაშორისო სამეცნიერო დისკუსია - შეხვედრაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ კონფლიქტური კერების მქონე ქვეყნების წარმომადგენლები, განიხილეს "თავისუფლების შეგრძნება და ნების თავისუფლება საქართველოში, უკრაინაში, რუსეთსა და ბელორუსიაში". გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრი შეუერთდა სამეცნიერო დისკუსიას.

	მონაწილეებმა გაცვალეს მოსაზრებები მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით და ისაუბრეს, არსებული საფრთხეების გათვალისწინებით, თავისუფალი არჩევანისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების აუცილებლობაზე. https://gruni.edu.ge/main/news/1649141958 **2022 წლის 10-11 მარტს** გაიმართა NAFSA-ს კონფერენცია, რომელზეც გრუნის რექტორის მრჩეველი-ანა აბესაძე, მომხსენებლად მიიწვიეს. NAFSA საერთაშორისო განათლების სფეროში მსოფლიოს ყველაზე დიდი ასოციაციაა, რომელიც ემსახურება 10 000-ზე მეტ წევრსა და 3500-ზე მეტ ინსტიტუტს 150-ზე მეტ ქვეყანაში. ანამ ისაუბრა უნივერსიტეტისთვის რეგიონალური თანამშრომლობის მნიშვნელოვნების, კონფერენციის მონაწილეებთან სამომავლო კოოპერაციის გეგმების, საქართველოს უნივერსიტეტებისა და აშშ-ის საერთაშორისო განათლების მენეჯერებთან პარტნიორობის ორმხრივი ბენეფიტების შესახებ. კონფერენციის მუშაობაში მომხსენებლად უნივერსიტეტის ჩართვის გადაწყვეტილება მიიღო აშშ-ის საელჩოს მიერ ორგანიზებული კონფერენციის ფასილიტატორმა, მიდლბერის საერთაშორისო კვლევების ინსტიტუტის საერთაშორისო განათლების მენეჯმენტის პროგრამის თავმჯდომარემ, პროფესორმა დევიდ ვიკიმ, რომელმაც 2022 წლის 20-21 იანვარს, თბილისში გამართულ ორდღიან კონფერენციაზე, მოისმინა გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის მიერ ინტერნაციონალიზაციის სფეროში გაწეული საქმიანობა და საჭიროდ მიიჩნია პანდემიის ფონზე მიღწეული ამ შედეგებისა და გამოცდილების გაზიარება საერთაშორისო დონეზე. https://gruni.edu.ge/main/news/1646836888 **2022 წლის 11 მარტს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის ორგანიზებით გაიმართა ვებინარი: **საქართველოსთვის ევროპის კავშირის კანდიდატი სახელმწიფოს სტატუსის მინიჭების პოლიტიკურ-სამართლებრივი ანატომია.** ვებინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ: უნივერსიტეტის რექტორი მამუკა თავხელიძე, თბილისისა და ბათუმის წარმომადგენლობის პროფესორ-მასწავლებლები და სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები. https://gruni.edu.ge/main/news/1647322694 **2022 წლის 30 აპრილს** გრუნიმ კვლევითი სესიის ფარგლებში **მეორე ვირტუალურ ლექციას** უმასპინძლა. ვებინარს ესწრებოდნენ ქართველი და აზერბაიჯანელი სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები.

	მოხსენება წარმოადგინა გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობის მოწვეულმა ლექტორმა, თამარ დოლიძემ, ხოლო ლექციას ფასილიტაციას უწევდა რექტორის მრჩეველი, ბიზნესინგლისურის სასწავლო კურსის ლექტორი ანა აბესაძე. განსახილველი საკითხი ეხებოდა „ინგლისური ენის ცვლილებას მედიასა და გლობალურ კომუნიკაციაში COVID 19-ის პანდემიის დროს და მის ფარგლებს გარეთ“. https://gruni.edu.ge/main/news/1651648232 **2022 წლის 14 მაისს** გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტისა და აზერბაიჯანის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ვირტუალური გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, **მესამე ონლაინსესია გაიმართა.** სესიის მუშაობაში ორივე უნივერსიტეტის სტუდენტი და ინგლისური ენის პროფესორ-მასწავლებელი მონაწილეობდა. პრეზენტაციას, უძღვებოდნენ ასპუს ლექტორები - იასემინ ბაბაევა და მირვარ ქასიმოვა. მათ წარმოადგინეს თემატიკა: „ბრენდი“ და ბრენდთან დაკავშირებული ტერმინები, ეროვნული და საერთაშორისო ბრენდები და მათი წარმომავლობა, ბრენდის იმიჯი, ბრენდის ერთგულება და სხვ. საქართველოდან ლექციას ფასილიტაციას უწევდა გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობის მოწვეული პროფესორი თამარ დოლიძე და რექტორის მრჩეველი, ბიზნეს ინგლისურის სასწავლო კურსის ლექტორი ანა აბესაძე. https://gruni.edu.ge/main/news/1652850432 **2022 წლის სექტემბერში** ლიეტუვაში, მიკოლას რომერის უნივერსიტეტში, გაიმართა კრიმინალისტთა XVIII საერთაშორისო კონგრესი, რომლის მუშაობაში გრუნის დელეგაციაც (გ. ოჩიგავა, გ.დეკანოზიშვილი, სტუდენტი-ანი ფირცხალავა) მონაწილეობდა. კრიმინალისტიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელმა გია დეკანოზიშვილმა კონგრესზე წარადგინა მოხსენება. **2022 წლის 08-09 ივლისს** გრიგოლ რობაქიძის სახელობისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტების ორგანიზებით გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია: „ასოცირებული ტრიოს ევროპული ინტეგრაციის პოლიტიკური, სამართლებრივი და მმართველობითი პროცესი“. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა უნივერსიტეტის პროფესორები, დოქტორანტები, სტუდენტები და გრუნის საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები. https://gruni.edu.ge/main/news/1657629031

	2022 წლის 25-26 მარტს გრუნის საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის და საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის ორგანიზებით გაიმართა კონფერენცია: ევროპული თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემის არქიტექტურა რუსეთ-უკრაინის ომის პირობებში. კონფერენციაზე მოხსენებები წარადგინეს უნივერსიტეტის პროფესორებმა, საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებმა, დოქტორანტებმა და სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებმა. https://gruni.edu.ge/main/news/1648631516 გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლა განაგრძობს ვებინარების ციკლს ქვეყანაში მიმდინარე აქტუალური პოლიტიკური პროცესებისა თუ მსოფლიოს ახალი გეოპოლიტიკური ვითარების შესახებ.**2022 წლის 01 აპრილს** გაიმართა ვებინარი თემაზე: *საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის კომპეტენციები საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში.* https://gruni.edu.ge/main/news/1649063574 **საანგარიშო პერიოდში სამივე საფეხურის სტუდენტები მონაწილეობდნენ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში:** **2022 წლის 18 აპრილს** გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის ორგანიზებით გაიმართა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია: „ტურიზმი და მენეჯმენტი: გამოწვევები და პერსპექტივები“. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ გრუნის თბილისისა და ბათუმის, აგრეთვე, კავკასიის საერთაშორისიო უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებმაც წარმოადგინეს საინტერესო მოხსენებები ტურიზმის სხვადასხვა სეგმენტის განვითარების, გამოწვევებისა და მათი დაძლევის გზების შესახებ. https://gruni.edu.ge/main/news/1650459203 **2021 წლის 22 დეკემბერს** გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის სტუდენტთა მონაწილეობით გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია: „თანამედროვე მედიკობიოლოგიური გამოწვევები და მიღწევები“. აღნიშნული თემა სტუდენტებმა შეარჩიეს იმ თვალსაზრისით, რომ მედიკობიოლოგიურ სფეროში არსებული მიღწევებისა და გამოწვევების შესახებ თანამედროვე ინფორმაციის ფლობა მნიშვნელოვანია მომავალი პრაქტიკოსი ექიმებისა და მომიჯნავე სპეციალობის მქონე სტუდენტებისათვის https://gruni.edu.ge/main/news/1640412338

	მიმდინარე წლის 11 დეკემბერს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში ადამიანის უფლებათა დაცვის საუნივერსიტეტო კვირეულის ფარგლებში გაიმართა სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია „ადამიანის უფლებები მულტირელიგიურ საქართველოში“. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ გრუნისა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტების სამართლის, საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის სამივე საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტები. https://gruni.edu.ge/main/news/1639723116 **2022 წლის 29 ივნისს** გრუნის სტომატოლოგიის მიმართულების სტუდენტებმა ტრადიციულ, ყოველწლიურ კონფერენციაზე განსახილველ თემად „თანამედროვე პრაქტიკული სტომატოლოგიის გამოწვევები“ შეარჩიეს. წარმოდგენილი მოხსენებები შეეხებოდა პრაქტიკული სტომატოლოგიის ისეთ მნიშვნელოვან და საყურადღებო საკითხებს, როგორებიცაა: ორთოდონტული ძალებით განპირობებული კბილთა ფესვების რეზორბცია, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება თანამედროვე სტომატოლოგიის ყოველდღიურ პრაქტიკაში, კვებითი აშლილობების გავლენა პირის ღრუს ჯანმრთელობაზე და ექიმი-სტომატოლოგის როლი მის პრევენციაში, სტომატოლოგიაში გამოუყენებული რენტგენოლოგიური კვლევის მეთოდები, პაროდონტოლოგიისა და ორტოდონტიის კორელაცია - მულტიდისციპლინური მიდგომა პრაქტიკულ სტომატოლოგიაში, ოტორინოლარინგოლოგიის კოლაბორაცია სტომატოლოგიასთან, ცხვირის დანამატი წიაღების ფუნქციური ენდოსკოპიური ქირურგიის როლი იმპლანტოლოგიაში და სხვ. https://gruni.edu.ge/main/news/1657786062 **2022 წლის 14 მაისს,** ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის პროგრამის სტუდენტთა ინიციატივით გამართული სამეცნიერო კონფერენცია პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღეს მიეძღვნა. კონფერენციის მუშაობაში უნივერსიტეტ „ალტეს“ სტუდენტები და მეგობარი მოსწავლეები - გიორგი მორჩილაძე და თამარ აქუბარდიაც მონაწილეობდნენ. https://gruni.edu.ge/main/news/1652962949 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 2.2.6	**ერთობლივი სამეცნიერო ჟურნალის დაარსება უცხოეთის პარტნიორ უნივერსიტეტთან**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ, დოკუმენტების ანალიზი. საანგარიშო პერიოდში გამოიკითხა შესაბამისი სამსახურების: სამეცნიერო ცენტრის, საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახურის, ხარისხის განვითარების სამსახურის, საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელები, ასევე, დეკანები, აკადემიური პერსონალი (7). შემოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	**დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი არ შესრულდა**

აქტივობა 2.2.8	**ჰარვარდის ბიზნესსკოლასთან, აფილირების ფარგლებში, თანამშრომლობის გაგრძელება და ერთობლივ კვლევებში ჩართვა**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი / ივნისი, 2022
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა, დოკუმენტების ანალიზი საკითხის შესასწავლად და შესაფასებლად გამოყენებულ იქნა ონლაინგამოკითხვის მეთოდი (სტრუქტურირებული ინტერვიუ) და დოკუმენტაციის ანალიზის მეთოდი. გამოიკითხა რექტორის მოადგილე სამეცნიერო კვლევების მიმართულებით, ბიზნესის სკოლის აკადემიური პერსონალი, სამეცნიერო კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	2016 წლიდან გრუნი აგრძელებს თანამშრომლობას ამერიკის წამყვან სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, კერძოდ, **ჰარვარდის ბიზნესსკოლის (HBS) სტრატეგიისა და კონკურენტუნარიანობის ინსტიტუტთან, აფილირებული** წევრის სტატუსით. რაც იმას ნიშნავს, რომ უნივერსიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს მისი სწავლების მეთოდოლოგიასა და სასწავლო მასალაზე დაფუძნებული კურსი „კონკურენტუნარიანობის მიკროეკონომიკა“ (Microeconomics of Competitiveness), ჩაერთოს ერთობლივ კვლევებში და სხვა. გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტმა შექმნა პირველი პრეცედენტი და **წარადგინა დოქტორანტ თამარ ხახიშვილის სადისერტაციო ნაშრომი**ს: „მართვის ინოვაციური მიდგომები

	- ქალაქებისა და კომპანიების კონკურენტუნარიანობა“, ფარგლებში ჩატარებული კვლევის შუალედური შედეგები; რომელიც საფუძველი გახდა ამ მიმართულებით სხვა საერთაშორისო სამეცნიერო პროექტების განსახორციელებლად. მაგალითად, თანამშრომლობა გრძელდება და 2023 წელს იგეგმება პოსტდოქტორანტურის კვლევითი ვიზიტი ჰარვარდის ბიზნესსკოლის (HBS) სტრატეგიისა და კონკურენტუნარიანობის ინსტიტუტში. https://gruni.edu.ge/main/news/1639216569 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 2.3.1	**სასწავლო-კვლევითი ლაბი - კრიპტო ვალუტის, მაინინგის ფერმის მოწყობა**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი / ივნისი, 2022
კვლევის მეთოდი	ინტერვიუ
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	მოცემულ პირობებში ამ პუნქტის შესრულება არ ჩაითვალა აქტუალურად, სანაცვლოდ დაიგეგმა და მიმდინარეობს საფონდო ბირჟის მოწყობა და რეალურ საბირჟო ოპერაციების წარმართვა სასწავლო მიზნებისთვის, როგორც მნიშვნელოვანი პრაქტიკული კომპონენტი. მიმდინარეობს საფონდო ბირჟის მოწყობის მოსამზადებელი სამუშაოები. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა მეტწილად.**

აქტივობა 2.3.2	**სტუდენტური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიების შექმნა**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი / ივნისი, 2022
კვლევის მეთოდი	დოკუმენტების ანალიზი. საანგარიშო პერიოდში შემოწმდა გაწეული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია: ფაქტობრივი მდგომარეობა, მიმდინარე საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია და სხვა.

კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	იუვენოლოგიის სტუდენტური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია აგრძელებს მუშაობას. ახალი ლაბორატორია არ შექმნილა. მიმდინარეობს მუშაობა უნივერსიტეტში მიწის სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისა და მდგრადი განვითარების ცენტრის შესაქმნელად. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა ნაწილობრივ**

აქტივობა 2.3.3	**კვლევით ერთეულებში პოსტდოქტორანტთა პროგრამების განხორციელება**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა, დოკუმენტების ანალიზი. დახურული კითხვარის მეშვეობით ონლაინ გამოიკითხა აღნიშნული საკითხის განმახორციელებლი პერსონალი, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის, სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელები, კოორდინატორი (10).
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა მიერ დადებითად შეფასდა გრუნის პოსტდოქტორანტთა მხარდაჭერის პროგრამის მომზადება, რომელიც უდავოდ შეუწყობს ხელს ახალგაზრდების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართვასა და გააქტიურებას. 2022 წლის 27 თებერვალს უნივერსიტეტმა გამოაცხადა კონკურსი პოსტდოქტორანტთა თანამდებობის დასაკავებლად ბიზნესისა და საჯარო მმართველობის სამეცნიერო - კვლევით ერთეულებში, 1-1 საშტატო ერთეულით. სწავლის ხანგრძლივობა განისაზღვრა ორი წლის ფარგლებში (კვლევითი პროექტის ხანგრძლივობის გათვალისწინებით), ხელშეკრულებით საკონკურსო კრიტერიუმებით კონკურსის მონაწილეებს ევალებათ კვლევითი პროექტის წარდგენა და მათი შეფასება განისაზღვრება შემდეგი კრიტერიუმებით: • კვლევითი პრობლემის აქტუალობა (თეორიული, პრაქტიკული შედეგები) • კავშირი სადისერტაციო კვლევით პრობლემასთან • კვლევის განვითარების პერსპექტივა • დასაბუთება/კომუნიკაცია

	• კვლევის შედეგების დანერგვა https://gruni.edu.ge/main/news/1645957949 პოსტდოქტორანტთა მხარდაჭერის პროგრამის შექმნით უნივერსიტეტმა ახალგაზრდა მკვლევრებისთვის შექმნა შესაძლებლობა განახორციელონ კვლევა და დაიმკვიდრონ ადგილი სამეცნიერო საზოგადოებაში. ამ პროგრამის ამოქმედება, ასევე, შესაძლებლობაა უნივერსიტეტისთვისაც, ერთი მხრივ, მოიზიდოს ახალგაზრდა, ნიჭიერი ადამიანები, მეორე მხრივ, გააქტიუროს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. 2022 წლის 15 აპრილს უნივერსიტეტმა შეაჯამა პოსტდოქტორანტთა თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შედეგები, რომლის საფუძველზეც, სამეცნიერო-კვლევით ერთეულებში არჩეულ იქნენ: • ბიზნესისა და მართვის სკოლის სამეცნიერო-კვლევით ცენტრი - თამარ ხახიშვილი • საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტი - გიორგი მომცელიძე https://gruni.edu.ge/main/news/1650032540 კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც გრუნიმ პოსტოქტორანტთა პროგრამასთან დაკავშირებით მიიღო, არის ის, რომ უნივერსიტეტი ევროპის სამეცნიერო ინსტიტუტის (ESI) პოსტდოქტორანტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროგრამის - „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები პოსტკრიზისულ პერიოდში“, ოფიციალური პარტნიორი გახდა. GRUNI არის პირველი უნივერსიტეტი რეგიონიდან, რომელიც უერთდება 11 უნივერსიტეტის კონსორციუმს მთელს მსოფლიოში. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ის თავის კამპუსში უცხოელ პროფესორებსა და მკვლევრებს უმასპინძლებს. https://gruni.edu.ge/main/news/1645852739 უნივერსიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს და გამოხატავს მხარდაჭერას პოსტდოქტორანტთა შემდგომი განვითარებისა და პოსტსადოქტორო მობილობაში მათი ჩართვის საკითხების მიმართ. საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის პოსტდოქტორანტებმა მიიღეს შეთავაზება საფრანგეთში პოსტსადოქტორო მობილობის გრანტის მოსაპოვებ კონკურსში ჩართვის თაობაზე. https://gruni.edu.ge/main/news/1646837370 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 2.3.4	**დოქტორანტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი / ივლისი, 2022
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა, დოკუმენტების ანალიზი. საანგარიშო პერიოდში ანკეტირებით (დახურული კითხვების მეშვეობით) ონლაინ გამოიკითხა სამიზნე ჯგუფი - სადოქტორო პროგრამების სტუდენტები (12), შემოწმდა კონფერენციის მასალები, გამოცემული კრებულები, ოფიციალური ვებგვერდი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	საანგარიშო პერიოდში, დოქტორანტთა მონაწილეობით გაიმართა 5 საერთაშორისო კონფერენცია და ფორუმი, რომელშიც გრუნის 12 დოქტრანტმა მიიღო მონაწილეობა, კერძოდ: **2021 წლის 26 ოქტომბერს** ევროპის სამეცნიერო ინსტიტუტის მიერ გაიმართა ხმელთაშუაზღვის მე-9 ინტერდისციპლინური ფორუმი, რომელიც სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების, კერძოდ: სამართლის, პოლიტიკის, განათლებისა და ფილოსოფიის საკითხებს მიეძღვნა. ფორუმის მუშაობაში გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის **სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სამართლის, საჯარო მმართველობისა და პოლტიკისა** და ტურიზმის მიმართულების სტუდენტები მონაწილეობდნენ. მათ მიერ წარმოდგენილი მოხსენებები დღევანდელობის აქტუალურ თემებს: კოვიდპანდემიას, საქართველო-რუსეთის ურთიერთობებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს ეხებოდა. https://gruni.edu.ge/main/news/1636086603 **2022 წლის 15-16 ივლისს** გრუნიში გაიმართა დოქტორანტთა საერთაშორისო მულტიდისციპლინური სამეცნიერო ონლაინკონფერენცია. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ: საქართველოს, ამერიკის, გერმანიისა და სომხეთის ახალგაზრდა მკვლევრები, რომლებმაც წარმოადგინეს მოხსენებები საინტერესო და აქტუალურ საკითხებზე პოლიტიკის, სამართლის, განათლების, ტურიზმისა და ენის მიმართულებით. https://gruni.edu.ge/main/news/1658118833 **მიმდინარე წლის 30 მარტის** ონლაინშეხვედრა, რომელშიც

	მონაწილეობდნენ კონფლიქტური კერების მქონე ქვეყნების წარმომადგენლები. დისკუსიის მთავარი თემა იყო: "თავისუფლების შეგრძნება და ნების თავისუფლება საქართველოში, უკრაინაში, რუსეთსა და ბელორუსიაში". გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრი შეუერთდა სამეცნიერო დისკუსიას. მონაწილეებმა გაცვალეს მოსაზრებები მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით და ისაუბრეს, არსებული საფრთხეების გათვალისწინებით, თავისუფალი არჩევანისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების აუცილებლობაზე. დისკუსიაში გრუნის დოქტორანტებიც მონაწილეობდნენ. https://gruni.edu.ge/main/news/1649141958 2022 წლის 11 მარტს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის ორგანიზებით გაიმართა ვებინარი: **საქართველოსთვის ევროპის კავშირის კანდიდატი სახელმწიფოს სტატუსის მინიჭების პოლიტიკურ-სამართლებრივი ანატომია.** ვებინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ: უნივერსიტეტის რექტორი მამუკა თავხელიძე, თბილისისა და ბათუმის წარმომადგენლობის პროფესორ-მასწავლებლები და **სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები.** https://gruni.edu.ge/main/news/1647322694 **2022 წლის 25-26 მარტს** გრუნის საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის და საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის ორგანიზებით გაიმართა კონფერენცია: ევროპული თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემის არქიტექტურა რუსეთ-უკრაინის ომის პირობებში. კონფერენციაზე მოხსენებები წარადგინეს უნივერსიტეტის პროფესორებმა, საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებმა, **დოქტორანტებმა** და სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებმა. https://gruni.edu.ge/main/news/1648631516 **2022 წლის 08-09 ივლისს** გრიგოლ რობაქიძის სახელობისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტების ორგანიზებით გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია: „ასოცირებული ტრიოს ევროპული ინტეგრაციის პოლიტიკური, სამართლებრივი და მმართველობითი პროცესი“. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა **უნივერსიტეტის პროფესორები, დოქტორანტები,** სტუდენტები და გრუნის საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები. https://gruni.edu.ge/main/news/1657629031

	2021 წლის 26 დეკემბერს, კონსერვატორიის დიდ დარბაზში ჩატარდა ***მეცნიერების კვირეული - 2021*** დასკვნითი ღონისძიება, კვირეულის დასკვნითი ღონისძიებაზე გამოვლინდნენ და დაჯილდოვდნენ კონკურსის - ***დისერტაცია თეზისი 3 წუთში***, გამარჯვებული დოქტორანტები: I ადგილი: ანა გვარამაძე – **გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი** II ადგილი: მარიამი რუსიტაშვილი – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი III ადგილი: სალომე ბესტაევა – **გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი.** https://gruni.edu.ge/main/news/1640667022 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 2.3.5	**ინოვაციური კვლევითი ტექნოლოგიების გამოყენების საკითხებზე ტრენინგების ჩატარება**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი / ივნისი, 2022
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა გამოიკითხა სამიზნე ჯგუფის წევრები, აკადემიური პერსონალი, ახალგაზრდა მკვლევრები, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებით, უნივერსიტეტი მუდმივად უზიარებს აკადემიურ პერსონალსა და ახალგაზრდა მკვლევრებს თანამედროვე, ინოვაციური კვლევითი ტექნოლოგიების გამოყენების საკითხებზე არსებულ მიღწევებს, კერძოდ: **2021 წლის 6 დეკემბერს,** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში, კომპანია English Book Education -ის ორგანიზებით, ამერიკის სასწავლო-საგანამანთლებლო კომპანიის - McGraw Hill რეგიონალურმა მენეჯერმა გაიე ბაირსაგჯისმა ჩაატარა ტრენინგი მედიცინის სკოლის პროფესორ-მასწავლებლებიათვის. ტრენინგის მიზანი იყო მედიცინის მიმართულების აკადემიური პერსონალისათვის სწავლა-სწავლების პროცესის მოდერნიზებული

	სასწავლო რესურსებისა და პლატფორმების, ასევე, იმ თანამედროვე, ამერიკული გამოცდილების გაცნობა, რომელსაც McGraw Hill-ი სთავზობს ქართულ საგანამანათლებლო სექტორს. ტრენინგზე განიხილეს მედიცინის სხვადასხვა მიმართულების თანამედროვე სასწავლო პლატფორმებზე და სწავლების პროცესში ამ მეთოდების გამოყენების უპირატესობა. ტრენინგზე დაიგეგმა ერთობლივი საპილოტე პროექტის განხორციელება, რომლის საფუძველზეც უნივერსიტეტის მედიცინის აკადემიურ პერსონალს ექნება შესაძლებლობა ერთი თვის განმავლობაში ჰქონდეს წვდომა სატესტო რეჟიმში McGraw Hill -ის პლატფორმზე - „Acces Medicine“ https://gruni.edu.ge/main/news/1639071995 2022 წლის 12 მაისს გრუნის მეცნიერების, ახალგაზრდა მკვლევრებისა და აკადემიური პერსონალისათვის გაიმართა ვებინარი ელსევიერის სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით. ვებინარის მონაწილეები გაეცნენ ელსევიერის ელექტრონულ ბაზებზე წვდომას, სასურველი სამეცნიერო მასალების ძიებას, სამეცნიერო სტატიების მომზადებას და ელსევიერის ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. ვებინარს უძღვებოდა ელსევიერის ბაზების მომწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი მაქსიმ ფილატოვი. https://gruni.edu.ge/main/news/1652418404 გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტმა, აზერბაიჯანის განათლების ინსტიტუტთან თანამშრომლობის ფარგლებში, დაიწყო ტრენინგების ციკლი ***კვლევის მეთოდები,*** სამართლისა და საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის მეცნიერ-ხელმძღვანელებისა და დოქტორანტებისათვის. უძღვებოდა აზერბაიჯანის განათლების ინსტიტუტის პროფესორი **ანარ ვალიევი.** სესია მიეძღვნა სოციალური კვლევის პრაქტიკას, რომელიც მოიცავდა მეცნიერებისა და კვლევის ძირითად ასპექტებს, კვლევის პარადიგმებს, თეორიული და სოციალური კვლევის, კვლევის ეთიკისა და სტრატეგიის, კვლევის დიზაინის, კონცეპტუალიზაციის, ოპერაციონალიზაციისა და გაზომვის საკითხებს. https://gruni.edu.ge/main/news/1651648232 2021 წლის 10 ნოემბერს მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის ონლაინ ფორმატით ჩატარდა სემინარი საბიბლიოთეკო რესურსის გამოყენების საკითხებზე. სემინარს უძღვებოდნენ EBSCO დირექტორი ნანა ხუსკივაძე და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის

	დირექტორი გულიკო ყეინიშვილი. სემინარის მიმდინარეობა ჩაიწერა ვიდეოფორმატით და დაეგზავნა ყველა სტუდენტს, ვინც ვერ დაესწრო სწავლებას. https://gruni.edu.ge/main/news/1650505725 სამეცნიერო ბაზების მომწოდებელმა კომპანიამ „ელსევიერი“ მეცნიერებს, ახალგაზრდა მკვლევრებს, აკადემიურ პერსონალს მისცა მათ ბაზებზე დისტანციურად წვდომის შესაძლებლობა და გაცნო ინსტრუქცია, ჩატრებულ ვებინარებში გრუნის აკადემიური პერსონალიც მონაწილეობდა. https://gruni.edu.ge/main/news/1637250550 **2022 წლის 27 მარტს** მედიცინის სკოლის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, გრუნის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით, ჩატარდა პროფესიული განვითარების ტრენინგი - *პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა (PBL)*. ტრენინგზე განიხილეს უახლესი მიდგომები, რომლებიც დაკავშირებულია *PBL სესიის,* მათ შორის, ონლაინ ფორმატით სწავლების პირობებში, *ეფექტიანად ორგანიზებასა და ჩატარებასთან.* ტრენინგს უძღვებოდა ლუნდის უნივერსიტეტის (შვედეთი) პროფესორი, სამედიცინო განათლების საერთაშორისო ექსპერტი, გრუნის საპატიო დოქტორი, **ზაალ კოკაია.** **https://gruni.edu.ge/main/news/1648359333** **2021 წლის 8 ოქტომბერს** უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის ორგანიზებით გაიმართა ტრენინგი აპლიკაცია google meet-ის გამოყენების შესახებ იმ პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის, ვინც ჯერ კიდევ არ სარგებლობს აღნიშნული აპლიკაციით, რათა სასწავლო პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობდეს. https://gruni.edu.ge/main/news/1635227617 აშშ-ის საელჩო ყოველწლიურად ახორციელებს მედიაგანათლების პროგრამას MEDIA EDUCATION PROGRAM (MEP) ჟურნალისტიკის მიმართულების პროფესორ-მასწავლებლებისათვის, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში ჟურნალისტიკის სწავლების გაძლიერებასა და თანამედროვე მედიასტანდარტების დანერგვას. წელს, **2021 წლის 3 ნოემბერს,** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტიდან პროგრამაში მონაწილეობდა უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი და მულტიმედიაცენტრის ხელმძღვანელი მაია (თათია) პაჭკორია.

	მონაწილეები გაეცნენ ჩიკაგოსა და ქალაქ ნორმალის საუნივერსიტეტო ველს, ოცდაათამდე ამერიკელი კოლეგის გამოცდილებას და ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: დისტანციური სწავლების სტრატეგიული, ტაქტიკური და ოპერატიული მიმართულებები, საინფორმაციო ინტერნეტპორტალების საქმიანობა, სხვადასხვა პლატფორმაზე ამბის თხრობა და საერთაშორისო მოვლენების გაშუქება, მულტიმედიური საშუალებების გავლენა, ონლაინ დღის წესრიგის განსაზღვრა, ახალი ამბების ვიზუალური და ტექსტური კონსტრუქცია, „ფეიკ ნიუსების“ ზრდა და მათი ეპისტემიოლოგიური შედეგები და სხვა საკითხები. https://gruni.edu.ge/main/news/1635971168 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად**

აქტივობა 2.3.7	**ნიჭიერ დოქტორანტებთან ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც გულისხმობს უნივერსიტეტის მიერ მათი სწავლის დაფინანსებას და დოქტორანტის მუშაობის დაწყებას აკადემიურ თანამდებობაზე ხარისხის მინიჭების შემდეგ.**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა, დოკუმენტების ანალიზი. საანგარიშო პერიოდში გამოიკითხა დოქტორანტები, სადოქტორო პროგრამების კოორდინატორი, დეკანები, სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი , ადამიანური რესურსების სამსახურის ხელმძღვანელი (34). შემოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია: დოქტორანტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, ბრძანებები და სხვა დოკუმენტაცია.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხვითა და დოკუმენტების შესწავლით დადგინდა, რომ საანგარიშო პერიოდში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შედეგებითა და გრუნის რექტორის, პროფესორ მამუკა თავხელიძის ბრძანებით (01-07/025) 2022 წლის 24 თებერვალს სამართლის დოქტორი ია ხურციძე დაინიშნა სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე. 2019-2020 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრში შესაბამისი სამსახურისა და სამართლის სკოლის მიერ, დაკვირვების შემდეგ, შეირჩა და სამეცნიერო საბჭოს წარედგინა ია ხურციძის კანდიდატურა, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება დაფინანსებისა და ხარისხის

	მინიჭების შემდეგ, კონკურსის საფუძველზე, აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ. მიმდინარეობს დაკვირვება სხვა დოქტორანტებთან მიმართებით. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 2.4.1	**პლაგიატის აღმოჩენის პროგრამის -TURNITINI, ინტენსიურად გამოყენება და, ეტაპობრივად, ყველა საგანმანათლებლო საფეხურზე დანერგვა**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი/ ივლისი, 2022
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა სწავლის შედეგების შესასწავლად და შესაფასებლად გამოყენებულ იქნა ონლაინგამოკითხვის მეთოდი (სტრუქტურირებული ინტერვიუ) და დოკუმენტური ანალიზის მეთოდი. გამოიკითხა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სკოლების სწავლების ხარისხზე პასუხისმგებელი პირები, სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელები.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	სანგარიშო პერიოდში მიმდინარეობს პლაგიატის აღმოჩენის პროგრამის -TURNITINI-ის გამოყენება უნივერსიტეტის სადოქტორო და სამაგისტრო საგანმანათლებლო საფეხურებზე. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 2.4.2	**პლაგიატის აღმოჩენის უნარის გამომუშავების მიზნით ტრენინგების ორგანიზება მეცნიერ-ხელმძღვანელებისა და სტუდენტებისთვის**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	საანგარიშო პერიოდში გძელდება პლაგიატის აღმოჩენის პროგრამის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისთვის გაცნობა. ამავე პერიოდში მოხდა სტუდენტებისთვის როგორც ჯგუფური, ისე ინდივიდუალური შეხვედრების ორგანიზება პლაგიატის საკითხებთან დაკავშირებით.

	მომდევნო საანგარიშო პერიოდებშიც გაგრძელდება მუშაობა აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მექანიზმების გაძლიერების მიმართულებით. **2022 წლის 10 მაისს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში ჩატარდა ონლაინ ვებინარი პლაგიარიზმის შესახებ. ღონისძიებაზე განხილული ინფორმაცია თანაბრად იყო განკუთვნილი როგორც დოქორანტურის, ისე მაგისტრატურისა და ბაკალავარიატის სტუდენტებისთვის, ვინაიდან თითოეული საფეხურის სტუდენტს ინტენსიურად აქვს შეხება ნაშრომებსა და სხვა წერილობით დავალებთან, შესაბამისად, პლაგიარიზმთან დაკავშირებული მიმდინარე ტენდენციების განხილვა მნიშვნელოვანია მაღალი სტანდარტის აკადემიური სამუშაო ეთიკის ჩამოყალიბებაში. ვებინარის ფარგლებში განხილული იყო პლაგიარიზმის მნიშვნელობა, მისი ვარიაციები და რაც მთავარია აღნიშნული ნებით თუ უნებლიედ დაშვებული დარღვევის თავიდან აცილების საშუალებები. https://gruni.edu.ge/main/news/1652849013 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 2.4.3	**ანტიპლაგიატის მიმართულებით განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაციის მომზადება და აკადემიური კომიტეტის სხდომაზე განხილვა**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	დოკუმენტაციის ანალიზი აკადემიური კომიტეტის სხდომის ოქმი
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	აკადემიური კომიტეტის სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი ანტიპლაგიატის შესახებ განხორციელებული საქმიანობის შესახებ. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 3.1.2	**ბაზრის კვლევა პროფესიებზე მოთხოვნის შესასწავლად და შესაბამისი გადამზადების პროგრამების შემუშავება და განხორციელება**

მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	**გამოკითხვა, დოკუმენტების კვლევა** მონიტორინგის ჯგუფმა გამოიკითხა სამიზნე ჯგუფის წევრები/ სტუდენტები, შეისწავლა უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული კვლევები და შემუშავებული რეკომენდაციები
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული ფუნდამენტური კვლევების საფუძველზე, მომზადდა და ჩატარდა აკადემიური პეროსონალის გადამზადების სხვადასხვა პროგრამა, კერძოდ: **აგვისტო, 2022 წელი.** სამედიცინო საზოგადოებრიობის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გრუნის მედიცინის სკოლის ბაზაზე მომზადებული და დღემდე მოქმედი სასწავლო პროგრამა *სტაციონარული დაწესებულებების მუშაობის ადმინისტრირება*, რომელსაც 5 წელია წარმატებით უძღვება პროფესორი ოთარ გერზმავა. პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ ჯერ კიდევ 2017 წელს (2021 წელს პროგრამამ ხელმეორედ წარმატებით მიიღო ფუნქციონირების უფლება). პროგრამის ფარგლებში განხილული საკითხები შერჩეულია ქვეყნის ჯანდაცვის პოლიტიკისა და ძირითადი სტრატეგიული მიმართულებების გათვალისწინებით. პროგრამა ხორციელდება წელიწადში 4 ნაკადად 8 კვირის ხანგრძლივობით და ითვალისწინებს 150 სალექციო და სემინარული მეცადინეობების ჩატარებას, სასწავლო პროექტის მომზადებასა და დაცვას. პროგრამა ხორციელდება როგორც უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის, ისე უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობის ბაზაზე. განვლილი დროის განმავლობაში სასწავლო პროგრამა წარმატებით დაასრულა ჯანდაცვის სისტემის 400-ზე მეტმა ხელმძღვანელმა მუშაკმა. ნიშანდობლივია, რომ პანდემიის მიუხედავად, მხოლოდ 2020-2022 წლებში სასწავლო კურსი მოისმინა 200-ზე მეტმა ექიმმა და კლინიკის მენეჯერმა. https://gruni.edu.ge/main/news/1659498130 **2022 წლის 15-17 ივნისს,** პირველად საქართველოში რამბამის (ისრაელი, ჰაიფა) სამედიცინო-სასწავლო ცენტრმა უპრეცედენტო პროექტი - „მასობრივი კატასტროფების მართვა პრეჰოსპიტალურ და პოსპიტალურ ეტაპზე“ - განახორციელა გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტს, ჯანდაცვის პროფესიონალთა ფონდსა და

	ამერიკულ ჰოსპიტალთან ერთად. ტრენინგი მიზნად ისახავდა საგანგებო სიტუაციების მართვაში ჩართული პერსონალისა და სტუდენტების პროფესიული უნარ-ჩვევების **უწყვეტ განვითარებასა და გაღრმავებას, თანამედროვე მიღწევებზე დაფუძნებულ პრაქტიკულ სწავლებას.** მასობრივი კატასტროფების მართვის 3-დღიან სწავლებას ატარებდა რამბამის ტრავმაცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი მიხეილ ჰელბერტალი და ტოპ ტრენერთა 5 -კაციანი ჯგუფი. https://gruni.edu.ge/main/news/1655702417 ~~~~~~~~~~~~ **2022 წლის 10-11 ივნისს,** ბათუმში, პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში, ჩატარდა გრუნის წარმომადგენლობის ინგლისური ენის ლექტორთა ფასილიტაციის სესია, რომელსაც ფასილიტაციას უწევდა გრუნიში, აშშ-ს ასისტენტ-მასწავლებლის პროგრამით (ETA) მომუშავე ბრენდონ ჰარდინგი. სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ ბათუმის წარმომადგენლობის ინგლისური ენის ლექტორები და ინგლისური ენის ლექტორი თბილისის კამპუსიდან ანა აბესაძე. კოლეგებმა განიხილეს უცხოური ენის სწავლებაში არსებული მეთოდური და ფსიქო-ლინგვისტური საკითხები, წარმოადგინეს საკუთარი გამოცდილება და გაანალიზეს მეთოდური ასპექტებით. https://gruni.edu.ge/main/news/1654676188 2022 წლის 11-12 თებერვალს მედიცინის სკოლის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჰიბრიდული ფორმატით ჩატარდა ტრენინგი *სამედიცინო განათლების მოდერნიზაციის ძირითადი ასპექტები - (OSCE/OSPE).* ტრენინგის მონაწილეები დეტალურად გაეცნენ სამედიცინო განათლების ახალი სტრატეგიის არსს, რაც ითვალისწინებს შედეგზე ორიენტირებული საგანმანათლებლო ჩარჩოს შემუშავებას, ასევე, დეტალურად იქნა განხილული მილერის პირამიდის პრინციპი (კომპეტენციების ჩარჩო–მოდელი), რომელზე დაყრდნობითაც ვაფასებთ სტუდენტის, როგორც კოგნიტურ, ისე კლინიკურ უნარებს. https://gruni.edu.ge/main/news/1644849111 ტრენინგზე დიდი ადგილი დაეთმო სტუდენტის კლინიკური უნარების შეფასების ოქროს სტანდარტის OSCE-ს და მისი ერთერთი მოდიფიკაციის OSPE-ს დაგეგმვის, ორგანიზების და იმპლემენტაციის ძირითადი პრინციპების განხილვას. ტრენინგის მონაწილეებმა ვორქშოპის ფარგლებში მონაწილეობა მიიღეს OSCE-ს სადგურების დაგეგმვაში, სტუდენტის მეგზურისა და თითოეული სადგურისთვის შეფასების კრიტერიუმების შემუშავებაში.

	განხილული იყო სტანდარტიზებული პაციენტისა და შემფასებლების მომზადების ძირითადი პრინციპები. https://gruni.edu.ge/main/news/1644849111 **2022 წლის 8 ივნისს,** პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში, მედიცინის სკოლის პერსონალის მონაწილეობით (14 პირი) ჩატარდა ფასილიტაციის სესია. კონსულტანტის რანგში, მოწვეული იყო ექსპერტი, ია ავალიშვილი, რომელმაც სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტში (University of Santiago de Compostela, ესპანეთი) გავლილი სწავლების შედეგად მიღებული უახლესი ცოდნა გაუზიარა ტრენინგის მონაწილეებს, ხოლო გრუნის პროფესორმა თამარ ვახტანგაძემ და პროფესორმა ხათუნა კალაძემ, სესიის მონაწილეებს წარუდგინეს OSCE-ს ორგანიზებისა და ჩატარების საკუთარი გამოცდილება. https://gruni.edu.ge/main/news/1655026444 **2022 წლის საგაზაფხულო სემესტრი.** განვითარების პროგრამის ფარგლებში, ჩატარდა პროგრამა ETA-ს ფასილიტაციის სესია, ამერიკელი მოხალისეს, ბრენდონ ჰარდინგის ხელმძღვანელობით. მონაწილეებმა განიხილეს ინგლისურის, როგორც უცხოური ენის სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენების პრაქტიკა გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში. ეს იყო ETA პროგრამის დაწყებიდან განვლილ პერიოდში დაგროვილი გამოცდილების ურთიერთგაზიარება პრობლემებისა და აპრობირებული მეთოდების რეალური შედეგების ჩვენებით. სესიის მუშაობაში მონაწილეობდა ბათუმის წარმომადგენლობის ლექტორიც. ანალოგიური სესია, ლექტორთა სრული შემადგენლობით, გაიმართება ივნისში, ბათუმის წარმომადგენლობაში . https://gruni.edu.ge/main/news/1654676188 **2022 წლის 12 მაისს** გრუნის მეცნიერების, ახალგაზრდა მკვლევრებისა და აკადემიური პერსონალისათვის გაიმართა ვებინარი ელსევიერის სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით. ვებინარის მონაწილეები გაეცნენ ელსევიერის ელექტრონულ ბაზებზე წვდომას, სასურველი სამეცნიერო მასალების ძიებას, სამეცნიერო სტატიების მომზადებას და ელსევიერის ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. ვებინარს უძღვებოდა ელსევიერის ბაზების მომწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი მაქსიმ ფილატოვი. https://gruni.edu.ge/main/news/1652418404 **2022 წლის 8 მაისს** მედიცინის სკოლის აკადემიური და მოწვეული პერსონალის თხოვნით, გრუნის ხარისხის უზრუნველყოფის

	სამსახურის ორგანიზებით, ჩატარდა პროფესიული განვითარების მიმოხილვითი ტრენინგი - *პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა (PBL)*. ტრენინგზე განხილულ და დაზუსტებულ იქნა PBL სესიის მოდელები, პრინციპები და ორგანიზაციული საკითხები. აღნიშნულ ტრენინგს წინ უძღვოდა ონლაინტრენინგი. ტრენინგს უძღვებოდა ლუნდის უნივერსიტეტის (შვედეთი) პროფესორი, სამედიცინო განათლების საერთაშორისო ექსპერტი, გრუნის საპატიო დოქტორი, **ზაალ კოკაია.** ტრენინგის მონაწილეებმა მაღალი შეფასება მისცეს ჩატარებულ სწავლებას და აღნიშნეს, რომ ტრენინგის ფარგლებში *მათ PBL სესიის ჩატარების პრაქტიკული უნარები გამოუმუშავდათ, რასაც სასწავლო პროცესში ეფექტურად გამოიყენებენ.* https://gruni.edu.ge/main/news/1652419864 **2022 წლის 27 მარტს** მედიცინის სკოლის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, გრუნის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით, ჩატარდა პროფესიული განვითარების ტრენინგი - *პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა (PBL)*. ტრენინგზე განიხილეს უახლესი მიდგომები, რომლებიც დაკავშირებულია *PBL სესიის,* მათ შორის, ონლაინ ფორმატით სწავლების პირობებში, *ეფექტიანად ორგანიზებასა და ჩატარებასთან.* ტრენინგს უძღვებოდა ლუნდის უნივერსიტეტის (შვედეთი) პროფესორი, სამედიცინო განათლების საერთაშორისო ექსპერტი, გრუნის საპატიო დოქტორი, **ზაალ კოკაია.** https://gruni.edu.ge/main/news/1648359333 **2021 წლის 6 დეკემბერს,** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში, კომპანია English Book Education -ის ორგანიზებით, ამერიკის სასწავლო-საგანამანთლებლო კომპანიის - McGraw Hill რეგიონალურმა მენეჯერმა გაიე ბაირსაგჯისმა ჩაატარა ტრენინგი მედიცინის სკოლის პროფესორ-მასწავლებლებიათვის. ტრენინგის მუშაობაში მონაწილეობდა English Book Education-ის გაყიდვების გუნდის ხელმძღვანელთან ზვიად დეკანოიძესთან. ტრენინგის მიზანი იყო მედიცინის მიმართულების აკადემიური პერსონალისათვის სწავლა-სწავლების პროცესის მოდერნიზებული სასწავლო რესურსებისა და პლატფორმების, ასევე, იმ თანამედროვე, ამერიკული გამოცდილების გაცნობა, რომელსაც McGraw Hill-ი სთავზობს ქართულ საგანამანათლებლო სექტორს. ტრენინგზე განიხილეს მედიცინის სხვადასხვა მიმართულების თანამედროვე სასწავლო ლიტერატურა, ვიდეო და აუდიომასალები, წვდომა ამ პლატფორმებზე და სწავლების პროცესში ამ მეთოდების გამოყენების უპირატესობა. ტრენინგზე დაიგეგმა ერთობლივი საპილოტე პროექტის განხორციელება, რომლის

	საფუძველზეც უნივერსიტეტის მედიცინის აკადემიურ პერსონალს ექნება შესაძლებლობა ერთი თვის განმავლობაში ჰქონდეს წვდომა სატესტო რეჟიმში McGraw Hill -ის პლატფორმზე - „Acces Medicine“. https://gruni.edu.ge/main/news/1639071995 **2022 წლის 11 აპრილს** მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის, ონლაინ ფორმატით, ჩატარდა სემინარი საბიბლიოთეკო რესურსის გამოყენების საკითხებზე. სემინარს უძღვებოდნენ EBSCO დირექტორი ნანა ხუსკივაძე და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი გულიკო ყეინიშვილი. სემინარის მიმდინარეობა ჩაიწერა ვიდეო ფორმატით და დაეგზავნა ყველა სტუდენტს, ვინც ვერ დაესწრო სწავლებას. https://gruni.edu.ge/main/news/1650505725 **2021 წლის 8 ოქტომბერს** უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის ორგანიზებით გაიმართა ტრენინგი აპლიკაცია google meet-ის გამოყენების შესახებ იმ პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის, ვინც ჯერ კიდევ არ სარგებლობს აღნიშნული აპლიკაციით, რათა სასწავლო პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობდეს. https://gruni.edu.ge/main/news/1635227617 აშშ-ის საელჩო ყოველწლიურად ახორციელებს მედიაგანათლების პროგრამას MEDIA EDUCATION PROGRAM (MEP) ჟურნალისიტიკის მიმართულების პროფესორ-მასწავლებლებისათვის, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში ჟურნალისტიკის სწავლების გაძლიერებასა და თანამედროვე მედიასტანდარტების დანერგვას. პროექტი მოიცავს ორკვირიან სასწავლო ვიზიტს აშშ-ში და ამერიკელი კოლეგების გამოცდილების გაზიარებას. წელს, **2021 წლის 3 ნოემბერს,** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტიდან პროგრამაში მონაწილეობდა უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი და მულტიმედიაცენტრის ხელმძღვანელი მაია (თათია) პაჭკორია. მონაწილეები გაეცნენ ჩიკაგოსა და ქალაქ ნორმალის საუნივერსიტეტო ველს, ოცდაათამდე ამერიკელი კოლეგის გამოცდილებას და ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: დისტანციური სწავლების სტრატეგიული, ტაქტიკური და ოპერატიული მიმართულებები, საინფორმაციო ინტერნეტპორტალების საქმიანობა. https://gruni.edu.ge/main/news/1635971168 ახლად არჩეული და მოწვეული პერსონალის საუნივერსიტეტო გარემოსთან სწრაფი ადაპტაციის მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, **2022 წლის 21-23 სექტემბერს,** ჩაატარა სწავლება, რომელშიც თბილისის კამპუსის თანამშრომლებთან ერთად, ბათუმის

	წარმომადგენლობის პერსონალიც მონაწილეობდა. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ახალ აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს გააცნეს უნივერსიტეტის მისია, ორგანიზაციული სტრუქტურა, საუნივერსიტეტო საზოგადოების ეთიკის კოდექსი, აკადემიური თავისუფლების პრინციპები, სტუდენტებთან ურთიერთობის ტაქტიკა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეგულაციები; განუმარტეს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, პერსონალის შეფასების შედეგების გამოყენებისა და უკუკავშირის პრინციპები, პროგრამის/სილაბუსის შემუშავების, ცვლილებების შეტანისა და დამტკიცების წესები, სწავლება-სწავლის ინტერაქტიური მეთოდები, პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმები, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში (ნექსუსი) მუშაობის პრინციპები და ფორმები, უპასუხეს მათ შეკითხვებს. https://gruni.edu.ge/main/news/1668443186 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 3.2.2	**სკოლის მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო - შემეცნებითი აქტივობების განხორციელება „ Teen Academy”-ის ფარგლებში.**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	2022 წლის „Teen Academy” უნივერსიტეტის პროფესურისა და საორგანიზაციო ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც: საუკეთესო მოსწავლეთა შემადგენლობით, შემოქმედებითი და გამორჩეული აქტიურობით. პროექტი წინა წლებისაგან რამდენადმე განსხვავებულიც იყო: წელს პირველად ჩატარდა ჰიბრიდულ ფორმატში და მან საშუალება მისცა რეგიონების მოსწავლეებს ჩართულიყვნენ პროექტის შემოქმედებით საქმიანობაში, ყოველი მეცადინეობა უფრო მეტად იყო დატვირთული პრაქტიკული კომპონენტებით, განსხვავებული იყო პრიზებიც. სულ პროექტში მონაწილეობდა 156 მოსწავლე, მათ შორის, რეგიონებიდან - 67. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა მოისმინეს ინფორმაცია არჩეული სპეციალობების შესახებ, შემდეგ კი პრაქტიკულად შეასრულეს მიღებული დავალებები. ჟურნალისტიკისა და სამართლის მიმართულებების მოსწავლეები კრიმინალისტიკასა და მულტიმედიაცენტრში მუშაობდნენ, სტომატოლოგიის მიმართულების მოსწავლეებმა ადგილზე შეასრულეს მარტივი სტომატოლოგიური

	პროცედურები. ფსიქოლოგიის, საჯაროსა და ბიზნესის მოსწავლეებმა კი მცირე ფსიქოლოგიურ ტესტებსა და პროექტებზე იმუშავეს. https://gruni.edu.ge/main/news/1650601653 გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში დასრულდა პრაქტიკული ინგლისურის ორთვიანი კურსი მოსწავლეებისათვის, რომელსაც ამერიკელი მოხალისე პედაგოგი ბრენდონ ჰარდინგი უძღვებოდა. ბერნდონ ჰარდინგი საქართველოში ამერიკის საელჩოს სპეციალური მოწვევით ჩამოვიდა, გრუნის სტუდენტებისთვის პრაქტიკული ინგლისურის ენის ცოდნის გასაძლიერებლად. ეს უპრეცედენტო შეთავაზება უნივერსიტეტის ყველაზე მასშტაბური პროექტის Teen Academy- ს იმ მოსწავლეებმაც მიიღეს, რომლებსაც გააჩნდათ ენის ცოდნის შესაბამისი დონე. მეცადინეობებზე, რომელიც კვირაში ორჯერ იმართებოდა, ამერიკელი პედაგოგი ახალგაზრდებისათვის საინტერესო და აქტუალურ თემებს განიხილავდა და მასში აქტიურად იყვნენ ჩართული თბილისის, აბაშის, ახალციხის, ლანჩხუთის, ზესტაფონის, კასპის, გორის მოსწავლეები. ბრენდონ ჰარდინგს ასისტენტობას უწევდა პროგრამა ფლექსის კურსდამთავრებული მანანა კაპანაძე. 30 ივნისს, კურსის საზეიმო დახურვის ცერემონიაზე, პედაგოგებმა: ბრენდონ ჰარდინგმა და მანანა კაპანაძემ შეაჯამეს შედეგები და მადლობა გადაუხადეს თითოეულ მონაწილესა და უნივერსიტეტს ამ შესაძლებლობისათვის. მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ ყოველი შეხვედრა იყო საინტერესო და მნიშვნელოვანი და მათ: მიიღეს უცხოური გამოცდილება, გაიმდიდრეს ლექსიკა, გაიუმჯობესეს მეტყველება, შეიძინეს მეგობრები. დამშვიდობების ცერემონია იყო მეტად ემოციური და ამაღელვებელი. მოსწავლეებს სასწავლო კურსის წარმატებით დასრულება მიულოცეს და შემდგომი წარმატებას უსურვეს: უნივერსიტეტის რექტორმა მამუკა თავხელიძემ, პრორექტორმა გულიკო გალდავამ, რექტორის მრჩეველმა ანა აბესაძემ, სტრატეგიული განვითარებისა და მარკეტინგული კვლევის სამსახურის უფროსმა მერი ლომიამ. თითოეულ მონაწილეს გადაეცა სერტიფიკატი. https://gruni.edu.ge/main/news/1657513495 https://gruni.edu.ge/main/news/1658819592 **Teen Academy -2022** **პროექტის ფარგლებში მოსწავლეები 6 სხვადასხვა სპეციალობას გაეცნენ:** • "გახდი საჯარო მოხელე" • „გახდი ფსიქოლოგი"; • „გახდი ჟურნალისტი" ;

	• **„გახდი იურისტი“;** • **„გახდი სტომატოლოგი“;** • **„ბიზნესის ადმინისტრირება, ფინანსები, მარკეტინგი, ტურიზმი“;** **სულ. 156 მონაწილე, 67 -რეგიონებიდან** საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის მიმართულებით ჩართულმა მოსწავლეებმა საუკეთესო საკანონმდებლო ინიციატივისათვის დამატებით მიიღეს სასწავლო გრანტი 1500 ლარის ოდენობით. საკონკურსო კომისიამ გრანტი მიანიჭა ფრაქციას „ილიას გზა“: ანა ფრუიძის, მარიამ მექვაბიძის, ლუკა ონიანისა და დეა ხუნდაძის შემადგენლობით. რექტორის გადაწყვეტილებით, როგორც განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ და პროექტის წარმატებულ მოსწავლეებს, გიორგი მორჩილაძესა და ნატალი ვახანიას გადაეცათ სასწავლო გრანტი. ლანჩხუთის რაიონის სოფელ აკეთის მეთორმეტეკლასელმა გიორგი მორჩილაძემ მიიღო 90%-იანი საუნივერსიტეტო გრანტი, ნატალი ვახანია კი გრუნიში ისწავლის სახელმწიფო უნივერსიტეტებისათვის განსაზღვრული საფასურის ფარგლებში. **სხვა პრიზები:** „Teen Academy”-ის ყველა მონაწილეს გადაეცა სერტიფიკატი და **20-%-იანი საუნივერსიტეტო გრანტი.** ინტერესისა და სურვილის შესაბამისად, დეკანატებთან შეთანხმებით, ყველამ მიიღო **ლექციებზე დასწრების უფლება.** პროექტის ერთ-ერთი პრიზი - **ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების ორთვიანი პრაქტიკული კურსი,** რომელსაც უხელმძღვანელებს ამერიკელი პედაგოგი ბრენდონ ჰარდინგი, რომელიც უნივერსიტეტმა სტუდენტებისათვის საგანგებოდ მოიწვია ამერიკიდან. ნაყოფიერი პარტნიორული თანამშრომლობისათვის სერტიფიკატები გადაეცათ თბილისის კლასიკური გიმნაზიის, თბილისის 98-ე, 179-ე, რუსთავის მე-5 საჯარო სკოლების დირექტორებს, აგრეთვე, კერძო სკოლა ახალ ქართულ განათლებასა და ტყიბულის განვითარების ფონდს. https://gruni.edu.ge/main/news/1647878535, https://gruni.edu.ge/main/news/1650601653 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 3.2.3	**საჯარო სამსახურის მოხელეთა საკონსულტაციო ცენტრის მუშაობის გაგრძელება და სამართლებრივი საკონსულტაციო მომსახურების პლატფორმის დამატება**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ ონლაინ გამოიკითხნენ: აკადემიური პერსონალი, სტუდენტები (26).
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის დღის წესრიგში მუდმივად განიხილება უწყვეტი განათლების ხელშეწყობის მიზნით სასწავლო, საკონსულტაციო-ექსპერტული საქმიანობის განხორციელება. აჭარის მთავრობასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, უნივერსიტეტი ყოველწლიურად უსასყიდლოდ ახორციელებს საჯარო მოხელეების მომზადებისა და გადამზადების სხვადასხვა პროექტს. 2021 წლის 1 დეკემბერს ბათუმის წარმომადგენლობაში ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეებისათვის გაიმართა ტრენინგი „საჯარო ფინანსების ეფექტური მართვა", რომელშიც მონაწილეობდნენ მერიის სამსახურების უფროსები და სპეციალისტები. ტრენინგკურსს უძღვებოდა უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის პროფესორი თამარ გამსახურდია. შეხვედრაზე განიხილეს: სახელმწიფო პროექტების შეფასება, შემოსავლისა და სარგებლის ანალიზის კონცეფცია, ფინანსური ანალიზის განხორციელების მეთოდები და ინსტრუმენტები, პროექტის რისკისა და განუსაზღვრელობის შეფასების კრიტერიუმები და სხვ. კურსის დასრულების შემდეგ საჯარო მოხელეები შეძლებენ ხარჯისა და სარგებლის ანალიზის ჩატარებას ინფრასტრუქტურის, წყალმომარაგების, გარემოსდაცვითი, განათლებისა და ა.შ. პროექტების შესაფასებლად. ამ მეთოდის გამოყენება ასევე შესაძლებელია სახელმწიფო პოლიტიკის შესაფასებად. შეხვედრის ბოლოს გაიმართა დისკუსია. https://gruni.edu.ge/main/news/1638776139 უნივერსიტეტი კვლავაც განაგრძობს ამ მიმართულებით საქმიანობას. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 3.2.4	**საექსპერტო მომსახურების გაფართოება სამართლისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით**

მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი / ივნისი, 2022
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	პანდემიის შემდგომ, 2021-2022 სასწავლო წელს, აღდგა სამართლის მიმართულებით საექსპერტო საქმიანობა, რომელსაც ხელმძღვანელობს კრიმინალისტიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელი გია დეკანოზიშვილი. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა ნაწილობრივ**

აქტივობა 3.2.5	**სოციალურად მოწყვლადი მოსახლეობისთვის უფასო ან შეღავათიანი მომსახურების გაგრძელება უნივერსიტეტის სტომატოლოგიურ კლინიკაში**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი / ივნისი, 2022
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტომატოლოგიის საუნივერსიტეტო ცენტრი „გრუნივერსი“ გრუნის ყველა თანამშრომელსა და სტუდენტს სთავაზობს -20% ფასდაკლებას სტომატოლოგიური მომსახურების სრულ სპექტრზე. სტომატოლოგიური ცენტრი აღჭურვილია უახლესი აპარატურით და ატარებს ყველა სახის დიაგნოსტიკასა და მკურნალობას. https://gruni.edu.ge/main/news/1701276963 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 3.3.1	**სტუდენტთა მივლინება ევროპაში სასერტიფიკაციო კურსების გასავლელად**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი/ აგვისტო, 2022
კვლევის მეთოდი	**გამოკითხვა** **მონიტორინგის ჯგუფმა გამოიკითხა სამიზნე ჯგუფის წევრები/**

	სტუდენტები, საერთაშორისო ინტეგრაციის ცენტრის თანამშრომლები, პარტნიორი უნივერსიტეტები.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური ვითარების გაუმჯობესების შემდეგ, 2022 წლიდან, უნივერსიტეტი აქტიურად ჩაერთო საერთაშორისო პროექტებში, მიიღო დასავლური გამოცდილება როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების საკითხებთან დაკავშირებით, კერძოდ: **2022 წლის 28 ივლისს,** ახალგაზრდულ ასოციაცია „დრონისთან" პარტნიორობის ფარგლებში, გრუნის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი სალომე ლომიძე იმყოფებოდა გერმანიაში, საერთაშორისო სემინარზე, რომელიც კლიმატის ცვლილების საკითხების განხილვას მიეძღვნა. ერთკვირიანი საერთაშორისო ტრენინგი, რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდები ესწრებოდნენ, ევროკავშირის მიერ იყო სრულად დაფინანსებული. https://gruni.edu.ge/main/news/1661142027 **2021 წლის 29 ნოემბერს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის დოქტორანტი, ასისტენტი, ნინო საჩალელი, საკონკურსო პირობების წარმატებით გადალახვის შემდეგ, მონაწილეობდა გაიზენჰეიმის (გერმანია) უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ მევენახეობა-მეღვინეობის საერთაშორისო ონლაინ სეზონური სკოლის მუშაობაში. სკოლა დააფინანსა გერმანიის განათლებისა და კვლევის ფედერალურმა სამინისტრომ და მისი მხარდამჭერი იყო გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახური (DAAD). https://gruni.edu.ge/main/news/1642912977 ***2022 წლის 11-15 ივლისს*** *გრუნიმ, როგორც ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს პარტნიორმა, ფრანკოფონი სტუდენტების საერთაშორისო ფესტივალზე, რომელიც გაიმართება ქალაქ ბუქარესტში, მიავლინა ერთი სტუდენტი.* https://gruni.edu.ge/main/news/1658988495 **2022 წლის 11 მარტი.** პირველი პროექტი, რომელიც ამერიკის მთავრობის გაცვლითი პროგრამების საქართველოს მონაწილეთა ასოციაციასთან თანამშრომლობის ფარგლებში დაიგეგმა, მენტორობის პროგრამაა, რომელიც გულისხმობს მენტორის, მრავალწლიანი გამოცდილების მქონე წარმატებული სპეციალისტის, თანამშრომლობას მისივე სპეციალობის სტუდენტთან, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებასა და კონსულტაციის გაწევას, დახმარებას

	პროფესიულ დაოსტატებაში, პიროვნული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და მომავალი კარიერისათვის უკეთ მომზადებაში. მენტორობის პროგრამის მეორე ნაკადისთვის გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტიდან 11 სტუდენტი შეირჩა, ისინი მენტორებთან ერთი სემესტრის განმავლობაში იმუშავებენ. https://gruni.edu.ge/main/news/1647350455 *აქვე უნდა აღინიშნოს, საერთაშორისო პროექტები, რომლებიც უცხოელ პარტნიორებთან ერთად უნივერსიტეტში განხორციელდა: პრაქტიკული ინგლისური ენის კურსები სტუდენტებისთვის ენის ამერიკელი ექსპერტის ხელმძღვანელობით და ერთობლივი იმიტირებული პროცესი:* „მასობრივი კატასტროფების მართვა პრეჰოსპიტალურ და ჰოსპიტალურ ეტაპზე“ - ისრაელის მედიკოსებთან ერთად და *სხვა.* **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 3.3.2	**სტუდენტთა გამოკითხვის საფუძველზე შემუშავებული სასერტიფიკაციო პროგრამების განხორციელება**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ საკითხის შესასწავლად გამოყენებულ იქნა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდი: სტრუქტურირებული ინტერვიუ, დახურული კითხვარის მეშვეობით შეგროვდა რაოდენობრივი ინფორმაცია და გამოიკითხნენ სტუდენტები და აკადემიური პერსონალი(29).
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	სტუდენტთა გამოკითხვის საფუძველზე შექმნილი სასერტიფიკაციო პროგრამები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე: http://www.gruni.edu.ge/footer_content/index/337/1447832303 **საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სწავლებები:** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი უკვე ორი წელია სასწავლო-სალექციო კურსს, ძირითადად, აპლიკაცია google meet-ის გამოყენებით წარმართავს. მიმდინარე წლის 8 ოქტომბერს

	უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის ორგანიზებით გაიმართა ტრენინგი აპლიკაცია google meet-ის გამოყენების შესახებ იმ პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის, ვინც ჯერ კიდევ არ სარგებლობს აღნიშნული აპლიკაციით, რათა სასწავლო პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობდეს. აპლიკაციის სამუშაო რეჟიმის გაცნობის შემდეგ საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის თანამშრომლებმა უპასუხეს შეკითხვებს და მონაწილეებს გაუზიარეს სპეციალური ინსტრუქცია სახელმძღვანელოდ. https://gruni.edu.ge/main/news/1635227617 **2021 წლის 10 ნოემბერს,** მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის, ონლაინ ფორმატით, ჩატარდა სემინარი საბიბლიოთეკო რესურსის გამოყენების საკითხებზე. სემინარს უძღვებოდნენ EBSCO დირექტორი ნანა ხუსკივაძე და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი გულიკო ყეინიშვილი. სემინარის მიმდინარეობა ჩაიწერა ვიდეოფორმატით და დაეგზავნა ყველა სტუდენტს, ვინც ვერ დაესწრო სწავლებას. https://gruni.edu.ge/main/news/1650505725 **2021 წლის 26 ნოემბერს** გაიმართა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის პროფესორ-მასწავლებლების შეხვედრა ორგანიზაცია English Book Education-ისა და ამერიკის სასწავლო-საგანამანთლებლო კომპანიის - McGraw Hill, წარმომადგენლებთან. შეხვედრის მიზანი იყო იმ თანამედროვე, ამერიკული გამოცდილების გაცნობა/გაზიარება, რომელსაც McGraw Hill-ი სთავაზობს ქართულ საგანმანათლებლო სექტორს. კერძოდ, მედიცინის მიმართულების აკადემიური პერსონალისათვის იმ რესურსებისა და სიახლეების გაცნობა, რომელიც დღეს ამ სფეროში სწავლებისა და კვლევების თანამედროვე გამოცდილებასა უკავშირდება. შეხვედრაზე უცხოელმა სტუმრებმა გრუნის აკადემიურ პერსონალს მისცეს ერთი თვით მათ სასწავლო და სამეცნიერო ბაზებზე წვდომის უფლება. English Book Education წარმოდგენს საქართველოში ბრიტანულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო ორგანიზაციებს, როგორებიც არიან: Macmillan Education, Pearson, Oxford university Press, National Geographic Learning, Cambridge University Press, ასევე, ETS GLOBAL TOEFL- ის რეგიონალური საგამოცდო ცენტრი. https://gruni.edu.ge/main/news/1637900035 **2021 წლის 6 დეკემბერს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში, კომპანია English Book Education-ის ორგანიზებით, ამერიკის სასწავლო-საგანამანთლებლო კომპანიის - McGraw Hill რეგიონალურმა მენეჯერმა გაიე ბაირსაგჯისმა ჩაატარა მეორე ტრენინგი მედიცინის სკოლის პროფესორ-მასწავლებლებიათვის. ტრენინგის მიზანი იყო მედიცინის

	მიმართულების აკადემიური პერსონალისათვის სწავლა-სწავლების პროცესის მოდერნიზებული სასწავლო რესურსებისა და პლატფორმების გაცნობა, ასევე, განიხილეს მედიცინის სხვადასხვა მიმართულების თანამედროვე სასწავლო ლიტერატურა, ვიდეო და აუდიომასალები, წვდომა ამ პლატფორმებზე და სწავლების პროცესში ამ მეთოდების გამოყენების უპირატესობა. ტრენინგზე დაიგეგმა ერთობლივი საპილოტე პროექტის განხორციელება, რომლის საფუძველზეც უნივერსიტეტის მედიცინის აკადემიურ პერსონალს ექნება შესაძლებლობა ერთი თვის განმავლობაში ჰქონდეს წვდომა სატესტო რეჟიმში McGraw Hill -ის პლატფორმზე - „Acces Medicine".საპილოტე პროექტის ფარგლებში, ასევე, დაიგეგმა ტრენინგი McGrow Hill - ის ექსპერტების მონაწილეობით ინტერაქტიულ პლატფორმებთან მუშაობის გამოცდილების გასაზიარებლად. https://gruni.edu.ge/main/news/1639071995 **2022 წლის 11-12 თებერვალს** მედიცინის სკოლის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჰიბრიდული ფორმატით ჩატარდა ტრენინგი *სამედიცინო განათლების მოდერნიზაციის ძირითადი ასპექტები - (OSCE/OSPE).* ტრენინგის მონაწილეები დეტალურად გაეცნენ სამედიცინო განათლების ახალი სტრატეგიის არსს, რაც ითვალისწინებს შედეგზე ორიენტირებული საგანმანათლებლო ჩარჩოს შემუშავებას, შეფასდა ინტეგრირებული კურიკულუმის მნიშვნელობა, რომელიც თავიდან გვაცილებს ცოდნის ფრაგმენტაციას და სწავლის შედეგებზე გასვლის შესაძლებლობას გვაძლევს. განიხილეს სწავლება-სწავლისა და შეფასების რელევანტური მეთოდები. ასევე დეტალურად იქნა განხილული მილერის პირამიდის პრინციპი (კომპეტენციების ჩარჩო–მოდელი), რომელზე დაყრდნობითაც ვახდენთ სტუდენტის, როგორც კოგნიტური, ისე კლინიკურ უნარების შეფასებას. ტრენინგზე დიდი ადგილი დაეთმო სტუდენტის კლინიკური უნარების შეფასების ოქროს სტანდარტის OSCE-ს და მისი ერთერთი მოდიფიკაციის OSPE-ს დაგეგმვის, ორგანიზების და იმპლემენტაციის ძირითადი პრინციპების განხილვას. ტრენინგის მონაწილეებმა ვორქშოპის ფარგლებში მონაწილეობა მიიღეს OSCE-ს სადგურების დაგეგმვაში, სტუდენტის მეგზურისა და თითეული სადგურისთვის შეფასების კრიტერიუმების შემუშავებაში. განხილული იყო სტანდარტიზებული პაციენტისა და შემფასებლების მომზადების ძირითადი პრინციპები. ამავე ტრენინგზე მსმენელებმა წამოაყენეს წინადადება უნივერსიტეტში OSCE-ს კომიტეტის შეიქმნის თაობაზე, რაც ხელს შეუწყობს შეფასების სისტემის კიდევ უფრო სრულყოფას. ტრენინგს უძღვებოდნენ პროფესორი ნინო წილოსანი - სამედიცინო განათლების ექსპერტი, AMME (ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაცია) სერტიფიკატების მფლობელი და პროფესორი ზაზა ბერიშვილი, მედიცინის პროგრამის ხელმძღვანელი. რენინგის მუშაობაში მონაწილეობდა მედიცინის სკოლის 22 აკადემიური და მოწვეული პერსონალი. https://gruni.edu.ge/main/news/1644849111

	2022 წლის 25-27 თებერვალს მედიცინის პროგრამის 10 სტუდენტმა, უნივერსიტეტის სრული დაფინანსებით, მონაწილეობა მიიღო არითმიის სკოლის მიერ ორგანიზებული სტუდენტური ტრენინგის მუშაობაში, რომელიც ბაკურიანში გაიმართა. ტრენინგზე სტუდენტებმა გაიღრმავეს ცოდნა და განივითარეს პრაქტიკული უნარები გულსისხლძარღვთა დაავადებების მართვის საკითხებზე. ტრენინგის ბოლოს ჩატარდა ინტერაქტიური თამაში-კონკურსი, რომელშიც გრუნის სტუდენტმა აბჰაი აჯაი ვიბჰუტემ გაიმარჯვა და გადაეცა შესაბამისი სერტიფიკატი. სტუდენტებმა სწავლასთან ერთად კარგადაც დაისვენეს და შეიძინეს ახალი მეგობრები. გრუნი კვლავ გააგრძელებს მსგავს ღონისძიებებში სტუდენტთა მონაწილეობის ხელშეწყობას https://gruni.edu.ge/main/news/1646408912 გრუნის წარჩინებულმა სტუდენტებმა - მაია კოპაძემ და თამთა აბულაძემ, წარმატებით დაასრულეს ზამთრის ონლაინსკოლა თურქეთში, აიდინის უნივერსიტეტში. ონლაინსკოლა ორი კვირის განმავლობაში, **2022 წლის 24 იანვრიდან 5 თებერვლის** ჩათვლით, მიმდინარეობდა და ბიზნესისა და საჯარო მმართველობის სტუდენტებისთვის იყო განკუთვნილი. შეთავაზება გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტმა მიიღო, როგორც პარტნიორმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ. სტუდენტებმა პროგრამის ფარგლებში გაიარეს სასწავლო კურსები: "Brand Management", „Current issue in International Politics". ონლაინსკოლის წარმატებით დასრულების შემდეგ მათ გადაეცათ სერტიფიკატები. სტუდენტების მონაწილეობა აიდნის უნივერსიტეტის ზამთრის ონლაინსკოლაში სრულად დაფინანსდა გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის მიერ, წარჩინებული სტუდენტების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში. https://gruni.edu.ge/main/news/1646382699 **2022 წლის 11 მაისს** გრუნიმ დაიწყო პრაქტიკული ინგლისურის ორთვიანი სასწავლო კურსი მოსწავლეებისათვის. ეს უპრეცედენტო გადაწყვეტილება უნივერსიტეტმა მიიღო პროექტ „Teen Academy"-ის მონაწილეებისათვის და ის ერთ-ერთ პრიზად შესთავაზა პროექტის გამორჩეულ და აქტიურ მოსწავლეებს, რომლებსაც გააჩნიათ ენის ცოდნის შესაბამისი დონე. სასწავლო კურსს უძღვება ამერიკელი პედაგოგი ბრენდონ ჰარდინგი, რომელსაც ასისტესტობას უწევს გრუნის სტაჟიორი და ფლექსის პროგრამის კურსდამთავრებული მანანა კაპანაძე. მასში მონაწილეობენ მიიღებს თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 35 მოსწავლე. https://gruni.edu.ge/main/news/1652419214 **2022 წლის 28 ივლისს,** ახალგაზრდულ ასოციაცია „დრონისთან" პარტნიორობის ფარგლებში, გრუნის ტურიზმის საბაკალავრო

	პროგრამის სტუდენტი სალომე ლომიძე იმყოფებოდა გერმანიაში, საერთაშორისო სემინარზე, რომელიც კლიმატის ცვლილების საკითხების განხილვას მიეძღვნა. ერთკვირიანი საერთაშორისო ტრენინგი, რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდები ესწრებოდნენ, ევროკავშირის მიერ იყო სრულად დაფინანსებული. სემინარზე დეტალურად განიხილეს კლიმატის ცვლილების მიზეზები, ამ საკითხზე დადებული პარიზის შეთანხმება და ახალგაზრდების როლი ამ პროცესში. მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ ჯგუფურად ემუშავათ და ერთმანეთისათვის გაეზიარებინათ თავიანთი ქვეყნების გამოცდილება. ეს მეორე პროექტია, რომელიც გრუნიმ ახალგაზრდულ ასოციაციასთან ერთად განახორციელა. პირველი იყო გრუნის რექტორის მრჩევლის, ანა აბესაძის, ვიზიტი ესპანეთში. 2022 წლის 24-29 მაისს ის ახალგაზრდული ასოციაცია „დრონის“ წარმომადგენლებთან ერთად იმყოფებოდა სეგოვიაში შეხვედრებზე, რომელიც განიხილავდა ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ევროპულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობას. https://gruni.edu.ge/main/news/1661142027 გრუნის ფინანსური მხარდაჭერით რეგიონის სკოლების ინგლისური ენის მასწავლებლები ჩაერთნენ ტეხას ა&მ უნივერსიტეტის გადამზადების TESOL პროგრამაში. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 4.1.2	**უნივერსიტეტის ბიუჯეტის გაზრდა ქონების გაქირავებისა და მომსახურებიდან მიღებული შემოსავლებით**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	**დოკუმენტაციის ანალიზი.** საკითხის შესასწავლად გამოყენებულ იქნა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდი: დოკუმენტაციის ანალიზი. შემოწმდა გრუნის ქონების გაქირავებისა და მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	შემოწმებით დადგინდა, რომ გრუნის ქონების გაქირავებითა და სხვადასხვა მომსახურებით მიღებულმა შემოსავალმა 2021 წლის მონაცემებით შეადგინა **- 74 792 ლარი (წლის მონაცემები);**

	დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.

აქტივობა 4.1.3	**უნივერსიტეტის ბიუჯეტის გაზრდა გადამზადების სხვადასხვა პროგრამით მიღებული შემოსავლებით**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	**დოკუმენტაციის ანალიზი.** საკითხის შესასწავლად გამოყენებულ იქნა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდი: დოკუმენტაციის ანალიზი. შემოწმდა გრუნის გადამზადების პროგრამებით მიღებული შემოსავლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ გრუნის გადამზადების პროგრამებით მიღებულმა შემოსავლებმა, 2021 წლის მონაცემებით, შეადგინა **- 11 847 ლარი** (წლის მონაცემები). **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 4.1.5	**უნივერსიტეტის ბიუჯეტის გაზრდა ბათუმის წარმომადგენლობის სტუდენტური საცხოვრებლიდან მიღებული შემოსავლებით**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი / 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	დოკუმენტაციის ანალიზი. საკითხის შესასწავლად გამოყენებულ იქნა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდი: დოკუმენტაციის ანალიზი. შემოწმდა გრუნის ბათუმის წარმომადგენლობის სტუდენტური საცხოვრებლიდან მიღებული შემოსავლების

	დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	შემოწმებით დადგინდა, რომ გრუნის ბათუმის წარმომადგენლობის საერთო საცხოვრებელი, ძირითადად, გამოყენებულია სალექციო კურსის ჩასატარებლად თბილისიდან ჩასული უნივერსიტეტის პროფესორ - მასწავლებლების დასაბინავებლად, ასევე, ბათუმის წარმომადგენლობაში ჩატარებული კონფერენციებისა და აქტივობების პერიოდში ჩასული სტუმრებისათვის, ანუ ბათუმის წარმომადგენლობის სტუდენტური საცხოვრებლი გამოყენებამ უნივერსიტეტის მიზნებისთვის არაპირდაპირ უზრუნველყო უნივერსიტეტის შემოსავლების ზრდა. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი არ შესრულდა**

აქტივობა 4.3.2	**აფილირებული აკადემიური პერსონალის ეტაპობრივი გადაყვანა მუდმივ საშტატო ანაზღაურების სისტემაზე**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	დოკუმენტაციის ანალიზი. საკითხის შესასწავლად გამოყენებულ იქნა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდი: დოკუმენტაციის ანალიზი. შემოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	აფილირებული აკადემიური პერსონალის მუდმივ საშტატო ანაზღაურების სისტემაზე გადაყვანის პროცესი მიმდინარეობს. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა მეტწილად**

აქტივობა 4.4.1	**1C დოკუმენტბრუნვის პროგრამაში პერსონალის საქმიანობის მონიტორინგის პლატფორმის გააქტიურება**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი / ივნისი, 2022
კვლევის მეთოდი	შემთხვევის ანალიზი.

კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	საანგარიშო პერიოდში, უნივერსიტეტმა შეცვალა პერსონალის საქმიანობის მონიტორინგის პლატფორმა და 1C დოკუმენტბრუნვის პროგრამის ნაცვლად შექმნა ახალი - DocFlow, რომელიც გააქტიურებელია. მიმდინარეობს დამატებითი ბლოკების ფორმირება. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა მეტწილად,**

აქტივობა 4.4.2	**მართვისა და მისი ეფექტიანობის შეფასების ელექტრონული პლატფორმის შექმნა და დანერგვა**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი / ივნისი, 2022
კვლევის მეთოდი	შემთხვევის ანალიზი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	პლატფორმის შექმნა დაიწყო, მიმდინარეობს ბლოკების დამუშავება. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა ნაწილობრივ.**

აქტივობა 4.4.3	**პროფესიული განვითარების დიფერენცირებული პროგრამების განხორციელება აკადემიური პერსონალისთვის**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ საკითხის შესასწავლად გამოყენებულ იქნა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდი: სტრუქტურირებული ინტერვიუ , დოკუმენტაციის ანალიზი. გამოიკითხა სწავლებაში მონაწილე აკადემიური პერსონალი (19) , შემოწმდა გრუნის ოფიციალური ვებგვერდი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	პროფესიული განვითარების პროგრამებიდან საანგარიშო პერიოდში ტრენინგები ჩატარდა ონლაინფორმატით: **საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სწავლება:**

	2022 წლის 11-12 თებერვალს მედიცინის სკოლის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჰიბრიდული ფორმატით ჩატარდა ტრენინგი *სამედიცინო განათლების მოდერნიზაციის ძირითადი ასპექტები - (OSCE/OSPE).* ტრენინგის მონაწილეები დეტალურად გაეცნენ სამედიცინო განათლების ახალი სტრატეგიის არსს, რაც ითვალისწინებს შედეგზე ორიენტირებული საგანმანათლებლო ჩარჩოს შემუშავებას, შეფასდა ინტეგრირებული კურიკულუმის მნიშვნელობა, რომელიც თავიდან გვაცილებს ცოდნის ფრაგმენტაციას და სწავლის შედეგებზე გასვლის შესაძლებლობას გვაძლევს. განიხილეს სწავლება-სწავლისა და შეფასების რელევანტური მეთოდები. ასევე დეტალურად იქნა განხილული მილერის პირამიდის პრინციპი (კომპეტენციების ჩარჩო–მოდელი), რომელზე დაყრდნობითაც ვახდენთ სტუდენტის, როგორც კოგნიტური, ისე კლინიკურ უნარების შეფასებას. ტრენინგზე დიდი ადგილი დაეთმო სტუდენტის კლინიკური უნარების შეფასების ოქროს სტანდარტის OSCE-ს და მისი ერთერთი მოდიფიკაციის OSPE-ს დაგეგმვის, ორგანიზების და იმპლემენტაციის ძირითადი პრინციპების განხილვას. ტრენინგის მონაწილეებმა ვორქშოპის ფარგლებში მონაწილეობა მიიღეს OSCE-ს სადგურების დაგეგმვაში, სტუდენტის მეგზურისა და თითეული სადგურისთვის შეფასების კრიტერიუმების შემუშავებაში. განხილული იყო სტანდარტიზებული პაციენტისა და შემფასებლების მომზადების ძირითადი პრინციპები. ამავე ტრენინგზე მსმენელებმა წამოაყენეს წინადადება უნივერსიტეტში OSCE-ს კომიტეტის შეიქმნის თაობაზე, რაც ხელს შეუწყობს შეფასების სისტემის კიდევ უფრო სრულყოფას. ტრენინგს უძღვებოდნენ პროფესორი ნინო წილოსანი - სამედიცინო განათლების ექსპერტი, AMME (ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაცია) სერტიფიკატების მფლობელი და პროფესორი ზაზა ბერიშვილი, მედიცინის პროგრამის ხელმძღვანელი. რენინგის მუშაობაში მონაწილეობდა მედიცინის სკოლის 22 აკადემიური და მოწვეული პერსონალი. https://gruni.edu.ge/main/news/1644849111 გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი უკვე ორი წელია სასწავლო-სალექციო კურსს, ძირითადად, აპლიკაცია google meet-ის გამოყენებით წარმართავს. მიმდინარე წლის 8 ოქტომბერს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის ორგანიზებით გაიმართა ტრენინგი აპლიკაცია google meet-ის გამოყენების შესახებ იმ პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის, ვინც ჯერ კიდევ არ სარგებლობს აღნიშნული აპლიკაციით, რათა სასწავლო პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობდეს. აპლიკაციის სამუშაო რეჟიმის გაცნობის შემდეგ საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის თანამშრომლებმა უპასუხეს შეკითხვებს და მონაწილეებს გაუზიარეს სპეციალური ინსტრუქცია სახელმძღვანელოდ. https://gruni.edu.ge/main/news/1635227617

	2021 წლის 10 ნოემბერს, მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის, ონლაინ ფორმატით, ჩატარდა სემინარი საბიბლიოთეკო რესურსის გამოყენების საკითხებზე. სემინარს უძღვებოდნენ EBSCO დირექტორი ნანა ხუსკივაძე და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი გულიკო ყეინიშვილი. სემინარის მიმდინარეობა ჩაიწერა ვიდეოფორმატით და დაეგზავნა ყველა სტუდენტს, ვინც ვერ დაესწრო სწავლებას. https://gruni.edu.ge/main/news/1650505725 ახლად არჩეული და მოწვეული პერსონალის საუნივერსიტეტო გარემოსთან სწრაფი ადაპტაციის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატარა სწავლება, რომელშიც თბილისის კამპუსის თანამშრომლებთან ერთად, ბათუმის წარმომადგენლობის პერსონალიც მონაწილეობდა. ტრენინგის ცალკეულ თემატურ სექციას უძღვებოდნენ: რექტორი მამუკა თავხელიძე, რექტორის მოადგილე გულნაზ გალდავა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მოგელი შენგელია, საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი გიორგი მირიანაშვილი, ელექტრონული ბაზების ადმინისტრატორი ნათია ტაბატაძე. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ახალ აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს გააცნეს უნივერსიტეტის სტრუქტურა, საუნივერსიტეტო საზოგადოების ეთიკის კოდექსი, აკადემიური თავისუფლების პრინციპები, სტუდენტებთან ურთიერთობის ტაქტიკა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეგულაციები; განუმარტეს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, პერსონალის შეფასების შედეგების გამოყენებისა და უკუკავშირის პრინციპები, პროგრამის/სილაბუსის შემუშავების, ცვლილებების შეტანისა და დამტკიცების წესები, სწავლება-სწავლის ინტერაქტიური მეთოდები, პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმები. ელექტრონული ბაზების ადმინისტრატორმა ნათია ტაბატაძემ ტრენინგის მონაწილეებს გააცნო სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში - „ნექსუსი“, მუშაობის პრინციპები და ფორმები. https://gruni.edu.ge/all_news/index/630 **2022 წლის 11 აპრილს** მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის, ონლაინ ფორმატით, ჩატარდა სემინარი საბიბლიოთეკო რესურსის გამოყენების საკითხებზე. სემინარს უძღვებოდნენ EBSCO დირექტორი ნანა ხუსკივაძე და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი გულიკო ყეინიშვილი. სემინარის მიმდინარეობა ჩაიწერა ვიდეო ფორმატით და დაეგზავნა ყველა სტუდენტს, ვინც ვერ დაესწრო სწავლებას. https://gruni.edu.ge/main/news/1650504973 გრუნის ინგლისური ენის ლექტორებისთვის, პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში, ჩატარდა ფასილიტაციის სესია ETA პროგრამის, ამერიკელი მოხალისეს, ბრენდონ ჰარდინგის ფასილიტაციით. მონაწილეებმა განიხილეს ინგლისურის, როგორც უცხოური ენის

	სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენების პრაქტიკა გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში. ეს იყო ETA პროგრამის დაწყებიდან (2022 წლის საგაზაფხულო სემესტრი) განვლილ პერიოდში დაგროვილი გამოცდილების ურთიერთგაზიარება პრობლემებისა და აპრობირებული მეთოდების რეალური შედეგების ჩვენებით.სესიის მუშაობაში მონაწილეობდა ბათუმის წარმომადგენლობის ლექტორიც. ანალოგიური სესია, ლექტორთა სრული შემადგენლობით, გაიმართება ივნისში, ბათუმის წარმომადგენლობაში. https://gruni.edu.ge/main/news/1654676188 **2022 წლის 12 მაისს** გრუნის მეცნიერების, ახალგაზრდა მკვლევრებისა და აკადემიური პერსონალისათვის გაიმართა ვებინარი ელსევიერის სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით. ვებინარის მონაწილეები გაეცნენ ელსევიერის ელექტრონულ ბაზებზე წვდომას, სასურველი სამეცნიერო მასალების ძიებას, სამეცნიერო სტატიების მომზადებას და ელსევიერის ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.ვებინარს უძღვებოდა ელსევიერის ბაზების მომწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი მაქსიმ ფილატოვი. ვებინარი წარიმართა ინგლისურ ენაზე. https://gruni.edu.ge/main/news/1652418404 მედიცინის სკოლის აკადემიური და მოწვეული პერსონალის თხოვნით, გრუნის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით, ჩატარდა პროფესიული განვითარების მიმოხილვითი ტრენინგი - *პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა (PBL)*. ტრენინგზე განხილულ და დაზუსტებულ იქნა PBL სესიის მოდელები, პრინციპები და ორგანიზაციული საკითხები. აღნიშნულ ტრენინგს წინ უძღვოდა ონლაინტრენინგი. ტრენინგს უძღვებოდა ლუნდის უნივერსიტეტის (შვედეთი) პროფესორი, სამედიცინო განათლების საერთაშორისო ექსპერტი, გრუნის საპატიო დოქტორი, **ზაალ კოკაია.** ტრენინგის მონაწილეებმა მაღალი შეფასება მისცეს ჩატარებულ სწავლებას და აღნიშნეს, რომ ტრენინგის ფარგლებში *მათ PBL სესიის ჩატარების პრაქტიკული უნარები გამოუმუშავდათ, რასაც სასწავლო პროცესში ეფექტურად გამოიყენებენ.*https://gruni.edu.ge/main/news/1652419864 გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტმა, აზერბაიჯანის განათლების ინსტიტუტთან თანამშრომლობის ფარგლებში, დაიწყო ტრენინგების ციკლი ***კვლევის მეთოდები,*** სამართლისა და საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის მეცნიერ-ხელმძღვანელებისა და დოქტორანტებისათვის. პირველი გაცნობითი ხასიათის სესია, რომელიც მიმდინარე წლის 18 აპრილს გაიმართა, ტრენინგში მონაწილეთა ზუსტი საჭიროებებისა და მოთხოვნების დადგენას დაეთმო. მეორე სესია გაიმართა მ/წ 4 მაისს, რომელსაც უძღვებოდა აზერბაიჯანის განათლების ინსტიტუტის პროფესორი **ანარ ვალიევი.** სესია მიეძღვნა სოციალური

	კვლევის პრაქტიკას, რომელიც მოიცავდა მეცნიერებისა და კვლევის ძირითად ასპექტებს, კვლევის პარადიგმებს, თეორიული და სოციალური კვლევის, კვლევის ეთიკისა და სტრატეგიის, კვლევის დიზაინის, კონცეპტუალიზაციის, ოპერაციონალიზაციისა და გაზომვის საკითხებს. პროფესორი **ანარ ვალიევი** ადას უნივერსიტეტის საჯარო მმართველობისა და საერთაშორისო ურთიერთობების სკოლის დეკანია, მინიჭებული აქვს ბაქოსა და ინდიანას უნივერსიტეტების მაგისტრის ხარისხი და ლუისვილის უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხი. იგი, ასევე, **ჟან მონეს ევროპული კვლევების კათედრის ხელმძღვანელია.** https://gruni.edu.ge/main/news/1651731684 **2022 წლის 21 მაისს** ჩატარდა მედიცინის სკოლის ტრენინგი ***OSCE ორგანიზაცია და მართვა.*** ტრენინგზე, კონსულტანტის რანგში, მოწვეული იყო ექსპერტი, ია ავალიშვილი, რომელმაც სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტში (ესპანეთი) გავლილი სწავლების შედეგად მიღებული უახლესი ცოდნა გაუზიარა ტრენინგის მონაწილეებს. University of Santiago de Compostela ცნობილია, როგორც OSCE-ს ორგანიზებისა და მართვის საუკეთესო გამოცდილების მქონე უნივერსიტეტი. ტრენინგს უძღვებოდა მედიცინის პროგრამის ხელმძღვანელი პროფესორი ზაზა ბერიშვილი. https://gruni.edu.ge/main/news/1653894041 **2022 წლის 8 ივნისს,** პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში, მედიცინის სკოლის პერსონალის მონაწილეობით (14 პირი) ჩატარდა ფასილიტაციის სესია. კონსულტანტის რანგში, მოწვეული იყო ექსპერტი, ია ავალიშვილი, რომელმაც სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტში (University of Santiago de Compostela, ესპანეთი) გავლილი სწავლების შედეგად მიღებული უახლესი ცოდნა გაუზიარა ტრენინგის მონაწილეებს, ხოლო გრუნის პროფესორმა თამარ ვახტანგაძემ და პროფესორმა ხათუნა კალაძემ, სესიის მონაწილეებს წარუდგინეს OSCE-ს ორგანიზებისა და ჩატარების საკუთარი გამოცილება. სესიას ესწრებოდა უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი მამუკა თავხელიძე.https://gruni.edu.ge/main/news/1655026444 **2022 წლის 15-17 ივნისს,** პირველად საქართველოში, **პროფესორ ხათუნა კალაძის** იდეით, რამბამის (ისრაელი, ჰაიფა) სამედიცინო-სასწავლო ცენტრმა უპრეცედენტო პროექტი განახორციელა გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტს, ჯანდაცვის პროფესიონალთა ფონდსა და ამერიკულ ჰოსპიტალთან ერთად: „მასობრივი კატასტროფების მართვა პრეჰოსპიტალურ და პოსპიტალურ ეტაპზე“. ტრენინგი მიზნად ისახავდა საგანგებო სიტუაციების მართვაში ჩართული პერსონალისა და სტუდენტების პროფესიული უნარ-ჩვევების უწყვეტ განვითარებასა და გაღრმავებას, თანამედროვე მიღწევებზე დაფუძნებულ პრაქტიკულ სწავლებას. მასობრივი კატასტროფების მართვის 3-დღიან სწავლებას

	ატარებდა რამბამის ტრავმაცენტრის ხელმძღვანელი, **პროფესორი მიხეილ ჰელბერტალი** და ტოპ ტრენერთა 5 -კაციანი ჯგუფი. ტრენინგში მონაწილეობდნენ: საქართველოს გადაუდებელი სამედიცინო სამსახურისა და საგანგებო სიტუაციების მართვის პასუხისმგებელი პირები, გრუნის მედიცინის სკოლის აკადემიური პერსონალი, სხვადასხვა კლინიკის ექიმები, ექთნები, მაშველები, პოლიციელები. სწავლების პირველი დღე, მასობრივი კატასტროფების მართვა პრეჰოსპიტალურ ეტაპზე, გაიმართა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში, რომელიც გახსნა ისრაელის ელჩმა საქართველოში, მისმა **აღმატებულებამ რან გიდორმა.** პანელურ დისკუსიაზე უცხოელმა და ქართველმა მონაწილეებმა თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს ერთმანეთს, რომლის შემდეგ ქართველმა სპეციალისტებმა უნივერსიტეტის ეზოში წარმოადგინეს კატასტროფის სიმულაცია. სწავლება გაგრძელდა ჩატარებული სიმულაციის განხილვით, უცხოელმა ტრენერებმა დეტალურად ისაუბრეს და შეაფასეს შესრულებული ქმედებები და რჩევები მისცეს ქართველ კოლეგებს. სწავლების მეორე დღე ამერიკულ ჰოსპიტალში - თბილისი, გაგრძელდა. 17 ივნისს გრუნიში გამართულ შეხვედრაზე უცხოელმა სტუმრებმა შეაჯამეს სამდღიანი სწავლება, მაღალი შეფასება მისცეს ქართველი სპეციალისტების მომზადებას და მადლობა გადაუხადეს მასპინძლებს გულთბილი დახვედრისათვის. https://gruni.edu.ge/main/news/1655702417 სამედიცინო საზოგადოებრიობის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გრუნის მედიცინის სკოლის ბაზაზე მომზადებული და დღემდე მოქმედი სასწავლო პროგრამა ***სტაციონარული დაწესებულებების მუშაობის ადმინისტრირება***, რომელსაც 5 წელია წარმატებით უძღვება პროფესორი ოთარ გერზმავა. პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ ჯერ კიდევ 2017 წელს (2021 წელს პროგრამამ ხელმეორედ წარმატებით მიიღო ფუნქციონირების უფლება). პროგრამის განხორციელების საწყის ეტაპებზე მისი მსმენელები იყვნენ მოქმედი სტაციონარების ხელმძღვანელები და კლინიკური მენეჯერები, რომელთა თანამდებობაზე დამტკიცება ითვალისწინებს სასწავლო კურსის ***სტაციონარული დაწესებულებების მუშაობის ადმინისტრირება*** - აუცილებელ გავლას. მოგვიანებით მსურველთა რიცხვი გაიზარდა და მათ შეემატნენ სხვა ხელმძღვანელი თანამდებობების პირი ექიმებიც. პროგრამის ფარგლებში განხილული საკითხები შერჩეულია ქვეყნის ჯანდაცვის პოლიტიკისა და ძირითადი სტრატეგიული მიმართულებების გათვალისწინებით. პროგრამა ხორციელდება წელიწადში 4 ნაკადად 8 კვირის ხანგრძლივობით და ითვალისწინებს 150 სალექციო და სემინარული მეცადინეობების ჩატარებას, სასწავლო პროექტის მომზადებასა და დაცვას. პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ, როგორც უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, ისე

	ცნობილი სპეციალისტები, მათ შორის: საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს, თბილისის მერიისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის პასუხისმგებელი მუშაკები. პროგრამა ხორციელდება როგორც უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის, ისე უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობის ბაზაზე. განვლილი დროის განმავლობაში სასწავლო პროგრამა წარმატებით დაასრულა ჯანდაცვის სისტემის 400-ზე მეტმა ხელმძღვანელმა მუშაკმა. ნიშანდობლივია, რომ პანდემიის მიუხედავად, მხოლოდ 2020-2022 წლებში სასწავლო კურსი მოისმინა 200-ზე მეტმა ექიმმა და კლინიკის მენეჯერმა. https://gruni.edu.ge/main/news/1659498130 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**